*დანართი №5*

# ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

*(სსიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ცაიშის საჯარო სკოლა)*

**ექსპერტთა ჯგუფის წევრები**

თავმჯდომარე: რაინდი როდონაია

**წევრები:**
თეონა ბუხიაშვილი-ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი
დიმიტრი პოპოვი -ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი
კობა დეკანაძე -სპორტის საგნობრივი ექსპერტი
ეკატერინე ჟვანია -საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი
რუსუდან ნიპარიშვილი-უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი
თეონა ჯაფარიძე -ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი
შორენა ნიკოლეიშვილი -მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი
მზია შევარდნაძე-სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი
მზევინარ დარბაისელი -საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი
მანანა როსტომაშვილი-ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი

# ნაწილი I. შესავალი

## I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

| ინფორმაცია დაწესებულების შესახებ | |
|---|---|
| ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება | სსიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ცაიშის საჯარო სკოლა |
| ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა | საჯარო სამართლის იურიდიული პირი |
| ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი | 220373753 |

## II. საკონტაქტო ინფორმაცია

| საკონტაქტო ინფორმაცია | |
|---|---|
| მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი) | ზუგდიდის მუნიციპალიტეტი / სოფელი ცაიში |
| ფაქტობრივი მისამართი | ზუგდიდის მუნიციპალიტეტი, სოფელი ცაიში გოგებეშვილის ქ.N17<br><br>ზუგდიდის მუნიციპალიტეტი, სოფელი ცაცხვი თბილისის ქ.N 264 |
| საფოსტო ინდექსი | 2141 |
| ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი | Skolebi.emis.ge |
| ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა | tsaishi@mes.gov.ge |

| | |
|---|---|
| ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი | 577 62 85 85 |

## III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

| | |
|---|---|
| ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი) | სსიპ ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანება N113050, 04/02/2026წ. |
| ვიზიტის პერიოდი (თარიღი) | 25 და 26 თებერვალი 2026 წ. |

## IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

*„ზოგადი განათლების შესახებ“* საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

| N | **ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება** | **ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური** | **ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა** | **სასწავლო მიზნებისთვის გამოსაყენებელი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი** (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის/ქუჩის და თითოეულ მისამართზე შენობა-ნაგებობების რაოდენობის მითითებით) |
|---|---|---|---|---|
| 1 | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დაწყებითი საფეხური | დაწყებითი | ქართული ენა | ზუგდიდი, სოფელი ცაიში გოგებაშვილის N17 (1 შენობა ) ძირითადი სკოლა |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | | | ზუგდიდის მუნიციპალიტეტის<br><br>სოფელი ცაცხვი თბილისის ქ. N 264<br><br>(1 შენობა) შერწყმული სკოლა |
| 2 | ზოგადსაგანმანათლებლო<br><br>პროგრამის საბაზო<br><br>საფეხური | საბაზო | ქართული ენა | ზუგდიდი, სოფელი ცაიში<br><br>გოგებაშვილის N17<br><br>(1 შენობა) |
| 3 | ზოგადსაგანმანათლებლო<br><br>პროგრამის საშუალო<br><br>საფეხური | საშუალო | ქართული ენა | ზუგდიდი, სოფელი ცაიში<br><br>გოგებაშვილის N17<br><br>(1 შენობა) |

## V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

*მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.*

2026 წლის 25 და 26 თებერვალს შედგა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი სსიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ცაიშის საჯარო სკოლაში. ვიზიტის დაწყებამდე ექსპერტები გაეცნენ სკოლის მიერ გამოგზავნილ დოკუმენტაციას და გამოითხოვეს დამატებითი მასალები. სკოლაში ადგილზე იმყოფებოდნენ ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტები რაინდი როდონაია და თეონა ბუხიაშვილი. წინასწარ შემუშავებული დღის წესრიგის შესაბამისად ექსპერტები შეხვდნენ სკოლის წარმომადგენელებს და დაათვალიერეს სკოლის ინფრასტრუქტურა. საგნობრივი ექსპერტები გაესაუბრნენ მასწავლებლებს ონლაინ, კომუნიკაციის თანამედროვე საშუალებების გამოყენებით. ვიზიტი წარიმართა თანამშრომლობით გარემოში, დაწესებულებამ ხელი შეუწყო ექსპერტების საქმიანობის განხორციელებას და უზრუნველყო გარკვეული მტკიცებულებების წარმოდგენა, ექსპერტების მიერ გაიცა რჩევები, წარმოების ფარგლებში შესწავლილი დოკუმენტების ანალიზისა და ინტერვიუების შედეგად

ჩამოყალიბებული მიგნებები ვიზიტის ბოლოს გაცნობილ იქნა დაწესებულების წარმომადგენლებისთვის. ვიზიტის დასრულების შემდეგ ექსპერტთა ერთობლივი მუშაობით მომზადდა დასკვნა.

## VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

*ცხრილი არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე.*

| წინა ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა | აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა | ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა |
|---|---|---|
| | | |

## VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს(ასეთის არსებობის შემთხვევაში).

# ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

## I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

| სტანდარტი/კომპონენტი | ექსპერტთა ჯგუფის შეფასება<br>*(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|
| **სტანდარტი 1**<br>სკოლის ფილოსოფია | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 1.1**<br>სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 1.2**<br>სკოლის დაგეგმვა და განვითარება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება |

| | |
|---|---|
| | ☐ არ შეესაბამება |
| **სტანდარტი 3**<br><br>სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა | ☐ შეესაბამება<br><br>☐ მეტწილად შეესაბამება<br><br>☒ ნაწილობრივ შეესაბამება<br><br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.1**<br><br>პერსონალის მართვა | ☐ შეესაბამება<br><br>☒მეტწილად შეესაბამება<br><br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br><br>☐არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.2**<br><br>პერსონალის განვითარება | ☒ შეესაბამება<br><br>☐ მეტწილად შეესაბამება<br><br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br><br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.3**<br><br>პროცესების მართვა | ☒ შეესაბამება<br><br>☐ მეტწილად შეესაბამება |

| | |
|---|---|
| | ☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br><br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.4**<br><br>ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება | ☐ შეესაბამება<br><br>☐ მეტწილად შეესაბამება<br><br>☒ ნაწილობრივ შეესაბამება<br><br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.5**<br><br>მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა | ☐ შეესაბამება<br><br>☐ მეტწილად შეესაბამება<br><br>☒ ნაწილობრივ შეესაბამება<br><br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.6**<br><br>საინფორმაციო რესურსები | ☒ შეესაბამება<br><br>☐ მეტწილად შეესაბამება<br><br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br><br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.7**<br><br>ფინანსური რესურსები | ☒ შეესაბამება<br><br>☐ მეტწილად შეესაბამება |

| | |
|---|---|
| | ☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br><br>☐ არ შეესაბამება |
| **სტანდარტი 4**<br><br>**მოსწავლეთა მხარდაჭერა** | ☒ შეესაბამება<br><br>☐ მეტწილად შეესაბამება<br><br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br><br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 4.1**<br><br>მოსწავლეთა უფლებების დაცვა | ☒ შეესაბამება<br><br>☐ მეტწილად შეესაბამება<br><br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br><br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 4.2**<br><br>მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები | ☒ შეესაბამება<br><br>☐ მეტწილად შეესაბამება<br><br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br><br>☐ არ შეესაბამება |

## II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

| | ექსპერტთა | აღწერა |
|---|---|---|

| მოსწავლეთა რაოდენობა: 600 | ჯგუფი ეთანხმება ☐ | *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)* |
|---|---|---|
| 1 შენობა 350<br>2 შენობა 250 | ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☒ | სკოლის მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობა არის 600. პირველ შენობაში სკოლის მიერ მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას (350) ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება, ხოლო მეორე შენობაში სკოლის მიერ მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას (250) არა. მეორე შენობა ორსართულიანია, პირველ სართულზე არის მხოლოდ 3 საკლასო ოთახი და სწავლობს 8 მოსწავლე. მეორე სართული დაკეტილია, ვინაიდან საჭიროებს რეაბილიტაციას. ავტორიზაციის განაცხადში სკოლას მეორე შენობაში მოთხოვნა გაკეთებული აქვს 250 მოსწავლეზე, სკოლას არ აქვს მატერიალური და ტექნიკური რესურსი, რათა უზრუნველყოს მოთხოვნილი მოსწავლეთა რაოდენობისთვის სასწავლო პროცესის წარმართვა. მოსწავლეთა მაქსიმალური რაოდენობა რის უზრუნველყოფასაც სკოლის მეორე შენობა შეძლებს არის 50 მოსწავლე. აღნიშნულიდან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფი დაეთანხმა მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის 400 მოსწავლით განსაზღვრას. |

## III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

*გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.*

| *სტანდარტი N1* | სკოლის ფილოსოფია | *ხარვეზი* |
|---|---|---|
| *ინდიკატორი N* | | |
| | | |
| *სტანდარტი N3* | სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული | *ხარვეზი* |

| | | |
|---|---|---|
| | და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა | |
| | | |
| | | |
| *სტანდარტი N4* | მოსწავლეთა მხარდაჭერა | *ხარვეზი* |
| *ინდიკატორი N* | | |
| | | |

| | | |
|---|---|---|
| *სტანდარტი N2* | სასკოლო კურიკულუმი | *ხარვეზი* |
| | | |
| | | |
| | | |

## IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

*გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)*[1]

| | | |
|---|---|---|
| *სტანდარტი N1* | სკოლის ფილოსოფია | *სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია* |
| *ინდიკატორი N....* | | |

*1* გარდა მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.

| | | |
|---|---|---|
| | | |
| | | |
| | | |
| *სტანდარტი N3* | *სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა* | *სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია* |
| *ინდიკატორი N3.4.1.1* | სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა | 1. სკოლამ უზრუნველყოს მეორე შენობაში უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის დამტკიცება. **2026 წლის სექტემბერი.**<br><br>2. სკოლამ უზრუნველყოს მეორე შენობაში ვიდეოსათვალთვალო სისტემის დამონტაჟება შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში. **2026 წლის სექტემბერი.**<br><br>3. სკოლამ უზრუნველყოს ეზოში მდებარე შენობის შემოღობვა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში **2026 წლის სექტემბერი.**<br><br>4. სკოლამ უზრუნველყოს მეორე შენობის მეორე სართულის სრული რეაბილიტაცია შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში. **2028 წლის მარტი.** |
| *ინდიკატორი N3.1.2.4* | პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და | სკოლამ უზრუნველყოს კანონმდებლობისა და სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისი კვალიფიკაციის დაწყებითი საფეხურის (ქართული, მათემატიკა, ბუნებისმეტყველება, მუსიკა, ხელოვნება) მასწავლებლების შერჩევა შესაბამისობის გეგმით |

| | | |
|---|---|---|
| | დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს | გათვალისწინებულ ვადებში. **2026 წლის სექტემბერი.** |
| *ინდიკატორი N3.5.1.1* | სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს | სკოლამ უზრუნველყოს სკოლის ორივე შენობაში პანდუსის ან ლიფტის მოწყობა შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში **2028 წლის მარტი.** |
| | | |
| ***სტანდარტი N4*** | **მოსწავლეთა მხარდაჭერა** | ***სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*** |
| *ინდიკატორი N....* | | |
| | | |
| | | |
| | | |

| ***სტანდარტი N2*** | **სასკოლო კურიკულუმი**<br><br>*(დაწყებითი საფეხური)* | ***სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*** |
|---|---|---|
| ინდიკატორი N 2.2.2.4. | სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი | სკოლამ უზრუნველყოს კანონმდებლობისა და სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისი კვალიფიკაციის დაწყებითი საფეხურის მასწავლებლების (ქართული, მათემატიკა, ბუნებისმეტყველება, მუსიკა, ხელოვნება) შერჩევა შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში. **2026 წლის სექტემბერი.** |
| | | |
| | | |
| ***სტანდარტი N2*** | **სასკოლო კურიკულუმი** | ***სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*** |

| | | |
|---|---|---|
| | *(საბაზო საფეხური)* | |
| | | |
| | | |
| *სტანდარტი N2* | *სასკოლო კურიკულუმი*<br><br>*(საშუალო საფეხური)* | *სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია* |
| ინდიკატორი N **2.1.2.5** | მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს | სკოლამ უზრუნველყოს საშუალო საფეხურის მათემატიკის კათედრის მიერ სრულყოფილი შეფასების რუბრიკების წარმოდგენა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში. **2026 წლის სექტემბერი.** |
| ინდიკატორი N **2.2.1.3.** | შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი | სკოლამ უზრუნველყოს საშუალო საფეხურის მათემატიკის კათედრის მიერ სრულყოფილი შეფასების რუბრიკების წარმოდგენა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში. **2026 წლის სექტემბერი.** |
| | | |

## V. რჩევა

*გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.*

| *სტანდარტი N1* | *სკოლის ფილოსოფია* | *რჩევა* |
|---|---|---|
| *ინდიკატორი N....* | | |

| | | |
|---|---|---|
| *სტანდარტი N3* | *სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა* | *რჩევა* |
| *ინდიკატორი N3.4.1.1* | სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა | სასურველია სკოლას ჰყავდეს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი |
| ინდიკატორი N3.3.1.2 | იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები | სასურველია სკოლამ ხარისხის უზრუნველყოფის დოკუმენტშ კონკრეტულად აღწეროს სკოლის მმართველობითი, ძირითადი დ დამხმარე პროცესები. |
| ინდიკატორი | სკოლას აქვს საჭიროებებზე | სასურველია სკოლამ შიდა სასკოლო მარეგულირებელ დოკუმენტში |

| | | |
|---|---|---|
| N3.1.2.2 | დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა | ასახოს პრევენციული და ინტერვენციული პოლიტიკის განხორციელების პროცედურები |
| *სტანდარტი N4* | **მოსწავლეთა მხარდაჭერა** | *რჩევა* |
| *ინდიკატორი N....* | | |
| | | |

| | | |
|---|---|---|
| *სტანდარტი N2* | სასკოლო კურიკულუმი<br><br>*(ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური)* | *რჩევა* |
| ინდიკატორი **N2.1.2.5** | **მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს** | **ფიზიკური აღზრდა და სპორტი:**<br>სკოლის მიერ წარმოადგენილი განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები ფიზიკურ აღზრდასა და სპორტში არის ზოგადი ხასიათის. შეფასების რუბრიკები გაწერილი უნდა იყოს თემების მიხედვით და უნდა მიემართებოდეს სამიზნე ცნებებისაკენ კურიკულუმში მოცემული თემების შესაბამისად. სკოლამ დახვეწოს შეფასების რუბრიკები და მოიყვანოს სტანდარტთან შესაბამისობაში. |
| ინდიკატორი **N2.1.2.5** | **მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს** | **ტექნოლოგიები:**<br>კათედრამ ცალკე შეიმუშაოს ტექნოლოგიების სასწავლო მიზნებზე (ესგ) მორგებული შეფასება სხვადასხვა ტიპის დავალებებისთვის (პროგრამირება, ციკლის ცნება). ამ რუბრიკების საშუალებით კი მასწავლებელი სასწავლო პროცესის დროს შეძლებს შექმნას კონკრეტულ დავალებაზე მორგებული შეფასების რუბრიკა. ასევე გაითვალისწინონ რას ამოწმებს დავალება და შეიმუშაონ შეფასების განმსაზღვრელი და განმავითარებელი რუბრიკები სხვადასხვა ტიპის დავალებებისთვის. |
| ინდიკატორი **N2.1.2.1** | **შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე** | **სახელმწიფო ენა:**<br>სასურველია დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილ |

| | | |
|---|---|---|
| | **ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას** | კურიკულუმებში:<br>ა) მოწესრიგდეს და სწორად განისაზღვროს სტრუქტურული ერთეულების შინაარსი.კერძოდ, გაიმიჯნოს კონტექსტ-მაგალითები სასწავლო რესურსებისაგან დასაკითხი შემოქმედებითი დავალების იდეისაგან;<br>ბ) სასურველია, დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში შენარჩუნდეს კურიკულუმის ერთიანი ჩარჩო. მაგალითისათვის- მისაღებია მე-2 და მე-6 კლასის ჩარჩოს ფორმა და სწორედ ასეთი ტიპის ჩარჩოზე იყოს ორიენტაცია. |
| ინდიკატორი **N2.1.2.2.** | **კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს** | **სახელმწიფო ენა:**<br>სასურველია, კურიკულუმში დავალებების კიდევ უფრო გამრავალფეროვნება, რათა გაძლიერდეს მიზნის, აქტივობისა და სასწავლო შედეგის პირდაპირი კავშირი და სწავლება გახდეს მოსწავლისთვის მეტად მოტივაციური, შემოქმედებითი და კონტექსტზე დაფუძნებული. |
| ინდიკატორი **N2.1.2.3.** | **კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები,მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას** | **სახელმწიფო ენა:**<br>სასურველია, მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებისა და სასწავლო პროცესის საინტერესოდ წარმართვის მიზნით, განსაკუთრებით დაწყებითი საფეხურის კურიკულუმში გაწერილ იქნას მრავალფეროვანი რესურსები, რათა უზრუნველყოფილ იქნას კურიკულუმით გათვალისწინებული შედეგების მიღწევა. |
| ინდიკატორი **N2.1.2.5** | **მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს** | **სახელმწიფო ენა:**<br>დაწყებითი საფეხურის (I-IV კლასის) შეფასების რუბრიკების შედგენისას სასურველია სკოლამ იხელმძღვანელოს 1-ელი კლასის შეფასების რუბრიკით, რომელიც მორგებულია კონკრეტულ დავალებას და დანართის სახით მოჰყვება I კლასის კურიკულუმს. |
| ინდიკატორი **N2.2.2.1** | **კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო** | **სახელმწიფო ენა:**<br>სასურველია ყველა კლასის კურიკულუმებში წარმოდგენილი საკითხის შესაბამისად უზრუნველყოფილ იქნას ელექტრონული თუ |

| | | |
|---|---|---|
| | **პროცესში** | მატერიალური რესურსების მრავალფეროვნება. |
| ინდიკატორი **N2.1.2.1.** | **შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას** | **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები:**<br>სასურველია საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კათედრაზე შემუშავდეს კურიკულუმის ჩარჩოს ერთიანი ვერსია, გადაიხედოს კონტექსტ-მაგალითების შინაარსი, განისაზღვროს შედარების მაგალითები საკითხების სიღრმისეულად გააზრების და დეკონტექსტუალიზაციის მიზნით. |
| ინდიკატორი N **2.1.2.2** | **კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს** | **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები:**<br>შემაჯამებელ დავალებების წარმოდგენილ ნიმუშებში განსაზღვრულია მხოლოდ ფაქტობრივი და პროცედურული ცოდნის შესამოწმებელი დავალებები. სასურველია დაემატოს პირობისეულ ცოდნაზე ორიენტირებული სავარჯიშოები. |
| ინდიკატორი N **2.1.2.3** | **კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები,მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას** | **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები:**<br>სასურველია, სამივე საფეხურზე დაკონკრეტდეს რომელ სახელმძღვანელოს იყენებენ სასწავლო პროცესში, ასევე სრულად წარმოჩინდეს სახელმძღვანელოს რეკვიზიტები, ავტორი/ავტორები, გამოცემის წელი, გამომცემლობა. |
| ინდიკატორი N **2.1.2.4** | **სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულმიდგომებს** | **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები:**<br>ინდივიდუალური სასწავლო გეგმები და შესაბამისი დავალებები შედგეს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ ცნებებთან მიმართებაში.საეტაპო აქტივობებში, შეკითხვების სტილში გათვალისწინებულ იქნეს მსწავლელის ტიპი მოსწავლეებს მიეცეთ შემოქმედებითი დავალების პროდუქტის არჩევანის შესაძლებლობა, რაც ხელს შეუწყობს მათი უნარების, ინტერესების და პოტენციალის რეალიზებას. |
| ინდიკატორი **N2.1.2.3.** | **კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები,მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი,** | **უცხოური ენები:**<br>სასურველია, კათედრამ მომავალი სასწავლო წლისთვის მოახდინოს დამხმარე რესურსების ვალიდაცია და ეს ყველაფერი ასახოს კათედრის სხდომის ოქმში. |

| | | |
|---|---|---|
| | **უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას** | |
| ინდიკატორი **N2.2.2.2** | **სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას** | **საზოგადოებრივი მეცნიერებები:** დაწყებით საფეხურზე კომპლექსურ დავალებებში ჩაშენებული ელექტრონული რესურსები სასურველია წინასწარ შემოწმდეს: რამდენად არის ხელმისაწვდომი, არის თუ არა მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით შერჩეული ან შექმნილი და კომპლექსური დავალების განხორციელებისთვის რელევანტური. |
| ინდიკატორი **N2.1.2.1.** | **შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას** | **მათემატიკა:** სასურველია კათედრამ სამომავლოდ მუშაობისას გაითვალისწინოს ინდიკატორის აღწერით ნაწილში მოცემული გარემოებები და დოკუმენტს მისცეს სრულყოფილი სახე. |
| ინდიკატორი **N2.1.2.2.** | **კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს** | **მათემატიკა:** სასურველია კათედრამ განახორციელოს პროექტებიმაღალი სააზროვნო, ასევე სხვადასხვა ფუნქციური უნარების გასავითარებლად. |
| ინდიკატორი **N2.1.2.4.** | **სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს** | **მათემატიკა:** სასურველია სასწავლო პროცესში მეტად დაინერგოს დიფერენცირებული მიდგომები. სკოლამ უზრუნველყოს კურიკულუმით დაგეგმილი დავალებების პირობის, აქტივობების ადაპტირება მოსწავლეების მზაობის, ინტერესების, შესაძლებლობების გათვალისწინებით. |
| ინდიკატორი **N2.1.2.5.** | **მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს** | **მათემატიკა:** კათედრამ შექმნას სასწავლო პროცესში განხორციელებული შემოქმედებითი დავალებების შესაბამისი განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. ასევე, მეტი ინტენსივობით გამოიყენოს დაწყებით საფეხურზე განმავითარებელი შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტები. |

| | | |
|---|---|---|
| ინდიკატორი **N2.2.1.1.** | **სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად** | **მათემატიკა:**<br>სასურველია კათედრამ  განახორციელოს  სხვადასხვა პროექტი მოსწავლეთა აქტიურ სასწავლო-შემოქმედებით პროცესებში ჩართულობისათვის, ასევე მოსწავლეებში შინაგანი მოტივაციის გაზრდისათვის, |
| ინდიკატორი **N2.2.2.1.** | **კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში** | **მათემატიკა:**<br>სასურველია კათედრამ  მეტი სიხშირით გამოიყენოს სხვადასხვა  ელექტრონული რესურსი. |
| ინდიკატორი **N2.2.2.2.** | **სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას** | **მათემატიკა:**<br>სასურველია კათედრამ  შექმნას დოკუმენტი, რომლითაც  უზრუნველყოფს დამხმარე რესურსების ვალიდაციას. |
| ინდიკატორი **N2.1.2.1.** | **შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას** | **ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური:**<br>ქართულ ენაში: ა) მე-4 კლასის კურიკულუმში სწორად ჩამოყალიბდეს სტრუქტურული ერთეულების შინაარსი, გაიმიჯნოს კონტექსტმაგალითები სასწავლო რესურსებისაგან და საკითხი - შემოქმედებითი დავალების იდეისაგან;<br>გ) სასურველია, დაწყებით საფეხურზე დაცულ იქნას კურიკულუმების ერთიანი ჩარჩო და საორიენტაციოდ გამოყენებულ იქნას მე-2 კლასის კურიკულუმი.<br>დ) მე-3 კლასის ქართულის კურიკულუმი გამდიდრდეს რესურსებით.<br>ბუნებისმეტყველებაში:  მე-3 და მე-4 კლასის კურიკულუმებში დაზუსტდეს სავალდებულო თემები მოქმედი სტანდარტის შესაბამისად, განისაზღვროს მის ფარგლებში დასამუშავებელი ცნება/ქვეცნება და აღარ გამეორდეს ისინი თემების გრაფაში, ასევე გაიმიჯნოს ისინი საკითხებისაგან. |
| ინდიკატორი **N2.1.2.2.** | **კურიკულუმი  მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ  მიზნებს** | **ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური:**<br>ბუნებისმეტყველების III-IV კლასების კურიკულუმები საჭიროებს სავალდებულო თემებისა და გრძელვადიანი |

| | | |
|---|---|---|
| | | მიზნების ურთიერთშესაბამისობაში მოყვანას, სტრუქტურული ერთეულების გამართვას.<br>სასურველია განახლდეს და დაიხვეწოს მე-4 კლასის კურიკულუმი სახელმწიფო ენაში სტრუქტურული ერთეულების შესაბამისად. |
| ინდიკატორი **N2.1.2.3.** | **კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას** | **ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური:**<br>სასურველია, სახელმწიფო ენის მე -3 კლასის კურიკულუმი გამდიდრდეს სხვადასხვა ტიპის რესურსებით თითოეული შესასწავლი<br>თემის ფარგლებში. ხოლო მე-4 კლასის კურიკულუმში ჩაშენდეს აღნიშნული რესურსების ბმულები. |
| ინდიკატორი **N2.1.2.4.** | **სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულმიდგომებს** | **ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური:**<br>სასურველია კათედრამ დაგეგმოს და განახორციელოს სადიაგნოსტიკო შეფასებები, რაც ხელს შეუწყობს საბაზისო უნარების (კითხვა და მათემატიკური წიგნიერება) ზუსტ და დროულ შეფასებას ინტერვენციების ასამოქმედებლად. |
| ინდიკატორი N **2.2.2.1.** | **კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში** | **ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური:**<br>სასურველია კათედრამ გაამდიდროსკურიკულუმები მრავალფეროვანი და საინტერესო რესურსებით. მოსწავლეებს ჰქონდეთ წვდომა სხვადასხვა საგანმანათლებლო პლატფორმებზე განთავსებულ რესურსებზე. |
| | | |

| *სტანდარტი N2* | *სასკოლო კურიკულუმი*<br><br>*(ზოგადი განათლების საბაზო საფეხური)* | *რჩევა* |
|---|---|---|
| ინდიკატორი N | **მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო** | **ფიზიკური აღზრდა და სპორტი:**<br>სკოლის მიერ წარმოადგენილი განმსაზღვრელი შეფასების |

| | | |
|---|---|---|
| **2.1.2.5** | **გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს** | რუბრიკები ფიზიკურ აღზრდასა და სპორტში არის ზოგადი ხასიათის. შეფასების რუბრიკები გაწერილი უნდა იყოს თემების მიხედვით და უნდა მიემართებოდეს სამიზნე ცნებებისაკენ კურიკულუმში მოცემული თემების შესაბამისად. სკოლამ დახვეწოს შეფავების რუბრიკები და მოიყვანოს სტანდარტთან შესაბამისობაში. |
| ინდიკატორი N **2.1.2.1** | **შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას** | **სახელმწიფო ენა:**<br>სასურველია საბაზო საბაზო საფეხურზე წარმოდგენილ კურიკულუმებში:<br>ა) მოწესრიგდეს და სწორად განისაზღვროს სტრუქტურული ერთეულების შინაარსი.კერძოდ, გაიმიჯნოს კონტექსტმაგალითები სასწავლო რესურსებისაგან დასაკითხი შემოქმედებითი დავალების იდეისაგან;<br>კათედრამ საბაზო საფეხურზე შუალედური დავალების სვეტში გაწერილი სამიზნე ცნებები უნდა გადაიტანოს სამიზნე ცნებების ველში.<br>ბ) საბაზო საფეხურის კურიკულუმებში მითითებული ჯამური საათობრივი დატვირთვა უნდა გადატანილ იქნას თავფურცელში წლიურიან სემესტრული საათობრივი დატვირთვის სახით;<br>გ) სასურველია, საბაზო საფეხურის კურიკულუმებში შენარჩუნდეს კურიკულუმის ერთიანი ჩარჩო. |
| ინდიკატორი N**2.1.2.2.** | **კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს** | **სახელმწიფო ენა:**<br>სასურველია, კურიკულუმში დავალებების კიდევ უფრო გამრავალფეროვნება, რათა გაძლიერდეს მიზნის, აქტივობისა და სასწავლო შედეგის პირდაპირი კავშირი და სწავლება გახდეს მოსწავლისთვის მეტად მოტივაციური, შემოქმედებითი და კონტექსტზე დაფუძნებული. |

| | | |
|---|---|---|
| ინდიკატორი N 2.1.2.3. | **კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები,მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას** | **სახელმწიფო ენა:**<br>სასურველია,მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებისა და სასწავლო პროცესის საინტერესოდ წარმართვის მიზნით, განსაკუთრებით საბაზო საფეხურის კურიკულუმში გაწერილ იქნას მრავალფეროვანი რესურსები,რათა უზრუნველყოფილ იქნას კურიკულუმით გათვალისწინებული შედეგების მიღწევა. |
| ინდიკატორი N2.2.2.1 | **კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში** | **სახელმწიფო ენა:**<br>სასურველია ყველა კლასის კურიკულუმებში წარმოდგენილი საკითხის შესაბამისად უზრუნველყოფილ იქნას ელექტრონული თუ მატერიალური რესურსების მრავალფეროვნება. |
| ინდიკატორი N2.1.2.1. | **შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას** | **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები:**<br>სასურველია საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კათედრაზე შემუშავდეს კურიკულუმის ჩარჩოს ერთიანი ვერსია, გადაიხედოს კონტექსტმაგალითების შინაარსი, განისაზღვროს შედარების მაგალითები საკითხების სიღრმისეულად გააზრების და დეკონტექსტუალიზაციის მიზნით. მაგ. ბიოლოგიის საბაზო საფეხურის კურიკულუმში კონტექსტმაგალითში წერია - მონაცემების განსჯა და ანალიზი. შესასწავლ საკითხად წარმოდგენილია - თავის ტვინი/ზურგის ტვინი. ამ საკითხების შესწავლის მიზნით კონტექსტად განისაზღვროს რაიმე შემთხვევა ადამიანის ყოველდღიური ცხოვრებიდან. მონაცემების განსჯა და ანალიზი იქნება საეტაპო აქტივობების ჩამონათვალში. ასევე - ფიზიკის კურიკულუმში კონტექსტმაგალითში მითითებულია - არათანაბარი მოძრაობა, საშუალო სიჩქარე. ეს არის საკითხების ჩამონათვალი და საკითხების სვეტში არის კიდეც მითითებული. კონტექსტად განისაზღვროს ასევე რაიმე შემთხვევა, სადაც ამ საკითხების ცოდნა იქნება საჭირო. |
| ინდიკატორი N 2.1.2.2 | **კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს** | **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები:**<br>კათედრის მიერ წარმოდგენილი შემაჯამებელ დავალებების ნიმუშებში<br>განსაზღვრულია მხოლოდ ფაქტობრივი და პროცედურული |

| | | |
|---|---|---|
| | | ცოდნის შესამოწმებელი დავალებები. სასურველია დაემატოს პირობისეულ ცოდნაზე ორიენტირებული სავარჯიშოები. |
| ინდიკატორი N **2.1.2.3** | **კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები,მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას** | **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები:**<br>სასურველია, სამივე საფეხურზე დაკონკრეტდეს რომელ სახელმძღვანელოს იყენებენ სასწავლო პროცესში, ასევე სრულად წარმოჩინდეს სახელმძღვანელოს რეკვიზიტები, ავტორი/ავტორები, გამოცემის წელი, გამომცემლობა. |
| ინდიკატორი N **2.1.2.4** | **სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს** | **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები:**<br>სასურველია ინდივიდუალური სასწავლო გეგმები და შესაბამისი დავალებები შედგეს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ ცნებებთან მიმართებაში.საეტაპო აქტივობებში, შეკითხვების სტილში გათვალისწინებულ იქნას მსწავლელის ტიპი მოსწავლეებს მიეცეთ შემოქმედებითი დავალების პროდუქტის არჩევანის შესაძლებლობა, რაც ხელს შეუწყობს მათი უნარების, ინტერესების და პოტენციალის რეალიზებას. |
| ინდიკატორი N **2.2.1.1** | **სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად** | **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები:**<br>თანამშრომლობითი გარემოს უკეთ ასახვის მიზნით, სასურველია, შემუშავდეს ერთიანი მიდგომა კურიკულუმების დიზაინის შექმნის დროს. |
| ინდიკატორი N **2.1.2.3.** | **კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას** | **საზოგადოებრივი მეცნიერებები:**<br>1.სასურველია, კათედრის ოქმს დანართის სახით ახლდეს საგნების მიხედვით შერჩეული გრიფირებული სახელმძღვანელოები, თემატური რუკები, მხატვრული თუ სამეცნიერო ლიტერატურა.<br>2.მე-8 კლასი (ისტორია), კომპლექსურ დავალებაში: საქართველოს გაერთიანება X-XI საუკუნეებში, შეცდომით მითითებული XV საუკუნის<br>რუკა ჩანაცვლდეს შესაბამისი ისტორიული ეპოქის რუკით.<br>3.მე-8 კლასის მოქალაქეობის კურიკულუმში მისათითებელია კათედრის მიერ შერჩეული სახელმძღვანელო, გამომცემლობისა და ავტორების მითითებით. |
| ინდიკატორი | **კურიკულუმით გათვალისწინებული** | **უცხოური ენები:** |

| | | |
|---|---|---|
| N **2.1.2.3.** | **რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას** | სასურველია, კათედრამ მომავალი სასწავლო წლისთვის მოახდინოს დამხმარე რესურსების ვალიდაცია და ეს ყველაფერი ასახოს კათედრის სხდომის ოქმში. |
| ინდიკატორი N **2.1.2.4.** | **სასწავლოპროცესიარისინკლუზიურიდა ითვალისწინებსდიფერენცირებულმიდგომებს** | **საზოგადოებრივი მეცნიერებები:**<br>1.მე-7 კლასი, ისგ. ისტორია - ინდივიდუალური სასწავლო გეგმის აქტივობები საჭიროებს უფრო მეტად გამარტივებას და ნაბიჯებად გაწერას.<br>2.მე-8 კლასი, ისგ. გეოგრაფია - ჩასამატებელია წლის განმავლობაში განსახორციელებელი შემოქმედებითი ტიპის დავალებები, მიმყვანი აქტივობებითა და შესაბამისი რესურსებით. |
| ინდიკატორი N **2.2.2.2** | **სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას** | **საზოგადოებრივი მეცნიერებები:**<br>სასურველია საბაზო საფეხურზე კომპლექსურ დავალებებში ჩაშენებული ელექტრონული რესურსები წინასწარ შემოწმდეს: რამდენად არის ხელმისაწვდომი, არის თუ არა მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით შერჩეული ან შექმნილი და კომპლექსური დავალების განხორციელებისთვის რელევანტური. |
| ინდიკატორი N **2.1.2.1.** | **შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას** | **მათემატიკა:**<br>სასურველია კათედრამ სამომავლოდ მუშაობისას გაითვალისწინოს ინდიკატორის აღწერით ნაწილში მოცემული გარემოებები და დოკუმენტს მისცეს სრულყოფილი სახე. |
| ინდიკატორი N **2.1.2.2.** | **კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს** | **მათემატიკა:**<br>სასურველია კათედრამ განახორციელოს პროექტები მაღალი სააზროვნო და სხვადასხვა ფუნქციური უნარის განსავითარებლად. |
| ინდიკატორი N **2.1.2.4.** | **სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულმიდგომებს** | **მათემატიკა:**<br>სასურველია სასწავლო პროცესში მეტად დაინერგოს დიფერენცირებული მიდგომები. სკოლამ უზრუნველყოს კურიკულუმით დაგეგმილი დავალებების პირობის, აქტივობების ადაპტირება მოსწავლეების მზაობის, ინტერესების, შესაძლებლობების გათვალისწინებით. |

| | | |
|---|---|---|
| ინდიკატორი N **2.1.2.5.** | **მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს** | **მათემატიკა:**<br>სასურველია კათედრამ შექმნას სასწავლო პროცესში განხორციელებული შემოქმედებითი დავალებების შესაბამისი განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. ასევე, მეტი ინტენსივობით გამოიყენოს დაწყებით საფეხურზე განმავითარებელი შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტები. |
| ინდიკატორი N **2.2.1.1.** | **სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად** | **მათემატიკა:**<br>მოსწავლეთა აქტიურ სასწავლო-შემოქმედებით პროცესებში ჩართულობისათვის, ასევე მოსწავლეებში შინაგანი მოტივაციის გაზრდისათვის, სასურველია კათედრამ განახორციელოს სხვადასხვა პროექტი. |
| ინდიკატორი N **2.2.2.1.** | **კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში** | **მათემატიკა:**<br>სასურველია კათედრამ მეტი სიხშირით გამოიყენოს სხვადასხვა ელექტრონული რესურსი. |
| ინდიკატორი N **2.2.2.2.** | **სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას** | **მათემატიკა:**<br>სასურველია კათედრამ შექმნას დოკუმენტი, რომლითაც უზრუნველყოფს დამხმარე რესურსების ვალიდაციას. |
| | | |
| **სტანდარტი N2** | **სასკოლო კურიკულუმი**<br>(ზოგადი განათლების საშუალო საფეხური) | **რჩევა** |
| ინდიკატორი **N2.1.2.5** | **მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს** | **ფიზიკური აღზრდა და სპორტი:**<br>სკოლის მიერ წარმოადგენილი განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები ფიზიკურ აღზრდასა და სპორტში არის ზოგადი ხასიათის. შეფასების რუბრიკები გაწერილი უნდა იყოს თემების მიხედვით და უნდა მიემართებოდეს სამიზნე ცნებებისაკენ კურიკულუმში მოცემული თემების შესაბამისად. სკოლამ დახვეწოს შეფასების რუბრიკები და მოიყვანოს სტანდარტთან შესაბამისობაში. |
| ინდიკატორი **N2.1.2.2.** | **კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ** | **სახელმწიფო ენა:**<br>სასურველია, კურიკულუმში დავალებების კიდევ უფრო |

| | | |
|---|---|---|
| | **მიზნებს** | გამრავალფეროვნება, რათა გაძლიერდეს მიზნის, აქტივობისა და სასწავლო შედეგის პირდაპირი კავშირი და სწავლება გახდეს მოსწავლისთვის მეტად მოტივაციური, შემოქმედებითი და კონტექსტზე დაფუძნებული. |
| ინდიკატორი N **2.1.2.3.** | **კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას** | **სახელმწიფო ენა:**<br>სასურველია, მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებისა და სასწავლო პროცესის საინტერესოდ წარმართვის მიზნით, განსაკუთრებით დაწყებითი და საბაზო საფეხურის კურიკულუმში გათვალისწინებულ იქნას მრავალფეროვანი რესურსები, რათა უზრუნველყოფილ იქნას კურიკულუმით გათვალისწინებული შედეგების მიღწევა. |
| ინდიკატორი **N2.2.2.1** | **კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში** | **სახელმწიფო ენა:**<br>სასურველია ყველა კლასში კურიკულუმებში წარმოდგენილი საკითხის შესაბამისად უზრუნველყოფილ იქნას ელექტრონული თუ მატერიალური რესურსების მრავალფეროვნება. |
| ინდიკატორი **N2.1.2.1.** | **შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას** | **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები:**<br>სასურველია საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კათედრაზე შემუშავდეს კურიკულუმის ჩარჩოს ერთიანი ვერსია, გადაიხედოს კონტექსტმაგალითების შინაარსი, განისაზღვროს შედარების მაგალითები საკითხების სიღრმისეულად გააზრების და დეკონტექსტუალიზაციის მიზნით. |
| ინდიკატორი N **2.1.2.2** | **კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს** | **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები:**<br>კათედრის მიერ წარმოდგენილ შემაჯამებელ დავალებების ნიმუშებში<br>განსაზღვრულია მხოლოდ ფაქტობრივი და პროცედურული ცოდნის შესამოწმებელი დავალებები. სასურველია დაემატოს პირობისეულ ცოდნაზე ორიენტირებული სავარჯიშოები. |
| ინდიკატორი N **2.1.2.3** | **კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები,მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული** | **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები:**<br>სასურველია სამივე საფეხურზე დაკონკრეტდეს რომელ სახელძღვანელოს იყენებს სკოლა სასწავლო პროცესში, ასევე სრულად წარმოჩინდეს სახელმძღვანელოს რეკვიზიტები, ავტორი/ავტორები, გამოცემის წელი, გამომცემლობა. |

| | | |
|---|---|---|
| | **სწავლის შედეგების მიღწევას** | |
| ინდიკატორი N **2.1.2.4** | **სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს** | **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები:** სასურველია ინდივიდუალური სასწავლო გეგმები და შესაბამისი დავალებები შედგეს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ ცნებებთან მიმართებაში.საეტაპო აქტივობებში, შეკითხვების სტილში გათვალისწინებულ იქნეს მსწავლელის ტიპი მოსწავლებს მიეცეთ შემოქმედებითი დავალების პროდუქტის არჩევანის შესაძლებლობა, რაც ხელს შეუწყობს მათი უნარების, ინტერესების და პოტენციალის რეალიზებას. |
| ინდიკატორი N **2.2.1.1** | **სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად** | **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები:** თანამშრობლობითი გარემოს უკეთ ასახვის მიზნით, სასურველია, შემუშავდეს ერთიანი მიდგომა კურიკულუმების დიზაინის შექმნის დროს. |
| ინდიკატორი N **2.1.2.3.** | **კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები,მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას** | **უცხოური ენები:** სასურველია, კათედრამ მომავალი სასწავლო წლისთვის მოახდინოს დამხმარე რესურსების ვალიდაცია და ეს ყველაფერი ასახოს კათედრის სხდომის ოქმში. |
| ინდიკატორი N **2.2.2.2** | **სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას** | **საზოგადოებრივი მეცნიერებები:** სასურველია საშუალო საფეხურზე კომპლექსურ დავალებებში ჩაშენებული ელექტრონული რესურსები წინასწარ შემოწმდეს: რამდენად არის ხელმისაწვდომი, არის თუ არა მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით შერჩეული ან შექმნილი და კომპლექსური დავალების განხორციელებისთვის რელევანტური. |
| ინდიკატორი N **2.1.2.1.** | **შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას** | **მათემატიკა:** სასურველია კათედრამ სამომავლოდ მუშაობისას გაითვალისწინოს ინდიკატორის აღწერით ნაწილში მოცემული გარემოებები და დოკუმენტს მისცეს სრულყოფილი სახე. |
| ინდიკატორი N **2.1.2.2.** | **კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ** | **მათემატიკა**: სასურველია კათედრამ განახორციელოს სხვადასხვა პროექტი |

| | | |
|---|---|---|
| | **მიზნებს** | მაღალი სააზროვნო, ასევე სხვადასხვა ფუნქციური უნარების განსავითარებლად. |
| ინდიკატორი N **2.1.2.4.** | **სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულმიდგომებს** | **მათემატიკა:**<br>სასურველია სასწავლო პროცესში მეტად დაინერგოს დიფერენცირებული მიდგომები. სკოლამ უზრუნველყოს კურიკულუმით დაგეგმილი დავალებების პირობის, აქტივობების ადაპტირება მოსწავლეების მზაობის, ინტერესების, შესაძლებლობების გათვალისწინებით. |
| ინდიკატორი N **2.1.2.5.** | **მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს** | **მათემატიკა:**<br>სასურველია კათედრამ შექმნას სასწავლო პროვესში განხორციელებული შემოქმედებითი დავალებების შესაბამისი განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. ასევე, მეტი ინტენსივობით გამოიყენოს საშუალო საფეხურზე განმავითარებელი შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტები. |
| ინდიკატორი N **2.2.1.1.** | **სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად** | **მათემატიკა:**<br>მოსწავლეთა აქტიურ სასწავლო-შემოქმედებით პროცესებში ჩართულობისათვის, ასევე მოსწავლეებში შინაგანი მოტივაციის გაზრდისათვის, სასურველია კათედრამ განახორციელოს სხვადასხვა პროექტი. |
| ინდიკატორი N **2.2.2.1.** | **კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში** | **მათემატიკა:**<br>სასურველია კათედრამ მეტი სიხშირით გამოიყენოს სხვადასხვა ელექტრონული რესურსი. |
| ინდიკატორი N **2.2.2.2.** | **სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას** | **მათემატიკა:**<br>სასურველია კათედრამ შექმნას დოკუმენტი, რომლითაც უზრუნველყოფს დამხმარე რესურსების ვალიდაციას. |

## VI. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

## VII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

*გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.*

სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციაში წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან დაფიქსირებულ ხარვეზებთან მიმართებით. გეგმაში გაწერილია ხარვეზების აღმოსაფხვრელად გასატარებელი აქტივობები, პასუხისმგებელი პირები, ვადები და საჭირო რესურსები, ასევე გათვალისწინებულია რისკები. ექსპერტთა ჯგუფმა წარმოდგენილი შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა მიიჩნია რელევანტურად, გაიზიარა სკოლის არგუმენტირებული პოზიცია და ცვლილებები ასახა დასკვნაში, სტანდარტის შესაბამისად რიგი კომპონენტებისა სრულად შესაბამისად, რიგი კომპონენტებისა მეტწილ და ნაწილობრივ შესაბამისად.

# ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

## 1. სკოლის ფილოსოფია

### 1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

#### 1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს

სსიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ცაიშის საჯარო სკოლის მისიაა ,,შექმნას სასკოლო საზოგადოებისთვის პოზიტიური, უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებული სოციო-კულტურული სივრცე, დაეხმაროს მოსწავლეებს საკუთარი თავის ძიებაში, შეუქმნას პირობა ეფექტური თვითგანვითარებისთვის, ფორმალური და არაფორმალური განათლების ინტეგრაციით, ინოვაციურ-ეფექტური სასწავლო მეთოდების საშუალებით აღზარდოს კონკურენტუნარიანი მოქალაქე, რომელიც შეძლებს თანამედროვე სამყაროში პიროვნულ რეალიზებას“. სკოლის მისია არის განაცხადი შექმნას უსაფრთხო, პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებული სოციო-კულტურული სივრცე, აღზარდოს კონკურენტიანი მოქალაქე, რომელიც შეძლებს „თანამედროვე სამყაროში პიროვნულ რეალიზებას“, რაც შესაბამისობაშია ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებთან.

სკოლის ხედვაა: ,,უზრუნველყოს სწავლების მაღალი ხარისხი, იყოს მდგრადი და მუდმივ განვითარებაზე ორიენტირებული საგანმანათლებლო დაწესებულება. ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების, თანამედროვე მოთხოვნებისა და გამოწვევების შესაბამისად, ზრუნავდეს თავისუფალი, კომპეტენტური, ეროვნული თვითშეგნებისა და იდენტობის მოქალაქის აღზრდაზე, წვლილი შეჰქონდეს ქვეყნის სამეცნიერო, კულტურულ, სოციალურ და ეკონომიკურ განვითარებაში. სკოლა 2030 წლისთვის თავის კურსდამთავრებულებს ხედავს თავისუფალ, კონკურენტუნარიან რეალიზებულ მოქალაქეებად“. სკოლის ხედვა მოიცავს ქვეყნის „სამეცნიერო, კულტურულ, სოციალურ და ეკონომიკურ განვითარებაში“ წვლილის შეტანას და ითვალისწინებს „ეროვნული თვითშეგნებისა და იდენტობის მოქალაქის აღზრდას“, რაც ასევე თანხვედრაშია ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებთან,

აღნიშნულიდან გამომდინარე, სკოლის ფილოსოფია ეფუძნება სახელმწიფოს მიერ განსაზღვრულ პრიორიტეტებს და შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

2. **სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს**

სკოლის მისიაა „შექმნას სასკოლო საზოგადოებისთვის პოზიტიური, უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებული სოციო-კულტურული სივრცე". სკოლა მიზნად ისახავს დაეხმაროს მოსწავლეებს საკუთარი თავის ძიებაში და შეუქმნას პირობები ეფექტური თვითგანვითარებისთვის. სკოლის ხედვა ითვალისწინებს „მუდმივ განვითარებაზე ორიენტირებული საგანმანათლებლო დაწესებულების" სტატუსს, რომელიც ზრუნავს თავისუფალი, კომპეტენტური, ეროვნული თვითშეგნებისა და იდენტობის მოქალაქის აღზრდაზე. პიროვნული რეალიზებისთვის სკოლა იყენებს ფორმალური და არაფორმალური განათლების ინტეგრაციასა და ინოვაციურ-ეფექტურ სასწავლო მეთოდებს. შესაბამისად, სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებული სოციო-კულტურული სივრცე. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

3. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით**

სკოლის დირექტორის ბრძანებით სკოლის ფილოსოფიის (მისია, ხედვა ღირებულებები) შემუშავებისთვის საჭირო ღონისძიებების განხორციელების მიზნით შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელიც შედგებოდა მასწავლებლების, მშობლებისა და მოსწავლეებისგან. აღნიშნულმა ჯგუფმა სასკოლო საზოგადოების ჩართულობით შეიმუშავა სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

4. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

სკოლის დირექტორის ბრძანებით სკოლის ფილოსოფიის (მისია, ხედვა ღირებულებები) შემუშავებისთვის საჭირო ღონისძიებების განხორციელების მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფი, რომელიც შედგებოდა მასწავლებლების, მშობლებისა და მოსწავლეებისგან, მუშაობდა სკოლის ფილოსოფიის შექმნაზე და სასკოლო საზოგადოების წევრების აზრების ურთიერთშეჯერებით მიღებულ იქნა სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები, ხოლო გაზიარებისთვის გამოყენებულ იქნა შემდეგი საკომუნიკაციო არხები: ვებგვერდი, სოციალური ქსელები, სკოლის საჯარო სივრცე. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

**5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გამოკრულია სკოლაში თვალსაჩინო ადგილას, ასევე განთავსებულია სკოლის ვებგვერდზე, შესაბამისად, სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები ყველა დაინტერესებული პირისთვის საჯაროდაა ხელმისაწვდომი. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

**6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს**

სკოლის სახელწოდება „სსიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ცაიშის საჯარო სკოლა“ სრულად შეესაბამება „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის №448 ბრძანებით განსაზღვრულ სტატუსს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სასკოლო სასწავლო გეგმა
- ბრძანება სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ
- მისია, ხედვა, ღირებულებები
- კითხვარი
- სამეურვეო საბჭოს ოქმი
- პედაგოგიური საბჭოს ოქმი
- ვებგვერდი

**შეფასება:**

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელიამხოლოდერთიშეფასებისმონიშვნა.*

☒ **შეესაბამება**
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

## 1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

### 1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს**

სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია ,,სკოლის მისია, ხედვა, ღირებულებები და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია“, რომელიც განსაზღვრავს მმართველობითი პროცესის - სკოლის მისიის, ხედვის და ღირებულებების შემუშავების, სტრატეგიული დაგეგმვისა და განვითარების ძირითად ეტაპებსა და პროცესში ჩართულ მხარეებს. წესი, ასევე, განსაზღვრავს სკოლის ფილოსოფიის, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხილვის, დამტკიცების, მათში ცვლილებების შეტანის და გაზიარების მექანიზმებს, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მონიტორინგის, შეფასებისა და წლიური ანგარიშის მომზადებასთან დაკავშირებულ საკითხებს, შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შემუშავებას. დოკუმენტის მიხედვით სკოლა სტრატეგიული დაგეგმვის პროცესი ემყარება შემდეგ სამოქმედო პრინციპებს: სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინება, თანამონაწილეობა, გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება. სტრატეგიული დაგეგმვის პროცესის წარმართვის მიზნით, სკოლის დირექტორის ბრძანებით იქმნება სტრატეგიული დაგეგმვის ჯგუფი, რომელიც პასუხისმგებელია სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების პროექტების შემუშავებაზე, ამ პროცესში სკოლის ფართო საზოგადოების ჩართვასა და ინფორმაციის გაზიარებაზე, რაც უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინებას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

2. **სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს**

სკოლამ წარმოადგინა შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა, რომელიც მოიცავს 2023-2030 წლების პერიოდს და განსაზღვრავს, თუ როგორ უნდა მიაღწიოს სკოლამ დასახულ მიზნებს არსებული მატერიალურ-ტექნიკური, ადამიანური და ფინანსური რესურსების ეფექტურად გამოყენების გზითა და საჭირო დამატებითი რესურების მოძიებით. შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა დეტალურად ახდენს სკოლის ძლიერი და სუსტი მხარეების ანალიზს და შეიცავს მისიასთან თავსებად ისეთ მიზნებს, როგორიცაა: სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლება, ადამიანური რესურსის განვითარება, მატერიალურ ტექნიკური ბაზის გამოყენება სახსრების მოსაზიდად, უსაფრთხო, ორგანიზებული და დისციპლინირებული გარემოს უზრუნველყოფა, სასკოლო საზოგადოების ჩართულობა, მოსწავლეთა მხარდაჭერის გაუმჯობესება, ორგანიზაციული განვითარება, პროფესიული განათლების კომპონენტის შემოტანა სკოლაში. შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა ასევე შეიცავს მიზნების შესაბამის ამოცანებს, რომელიც ხელს შეუწყობს სკოლას დაიკავოს მნიშვნელოვანი ადგილი თანამედროვე მოთხოვნათა შესაბამისი და მოსწავლეთა საჭიროებაზე მორგებული სასწავლო პროცესითა და სხვა აქტივობებით. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

3. **სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას**

სკოლამ წარმოადგინა 2025-2026 წლების ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, რომელიც განხილულია პედაგოგიურ საბჭოზე და შემდეგ დამტკიცებულია სამეურვეო საბჭოს მიერ. ერთწლიანი სამოქმედო გეგმა დაფუძნებულია სტრატეგიული განვითარების შვიდწლიან გეგმაზე. ერთწლიან სამოქმედო გეგმაში სტრატეგიული გეგმიდან გადმოტანილია შემდეგი სტრატეგიული მიზნები: სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლება, ადამიანური რესურსის განვითარება, მატერიალურ ტექნიკური ბაზის გამოყენება სახსრების მოსაზიდად, უსაფრთხო, ორგანიზებული და დისციპლინირებული გარემოს უზრუნველყოფა, სასკოლო საზოგადოების ჩართულობა, მოსწავლეთა მხარდაჭერის გაუმჯობესება, ორგანიზაციული განვითარება. ი**ნდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

4. **სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია**

სკოლის მიერ წარმოდგენილი ერთწლიანი სამოქმედო გეგმა მოიცავს სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამის აქტივობების ჩამონათვალს და ამოცანის შესასრულებლად განსახორციელებელ კონკრეტულ ნაბიჯებს, პასუხისმგებელ პირებსა და ვადებს, თუ რა პერიოდის განმავლობაში უნდა შესრულდეს ესა თუ ის აქტივობა, შესრულების გაზომვად ინდიკატორებს და შესაბამის რესურსებს, რომელთა უზრუნველყოფა არის რეალისტური. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

სკოლის ფილოსოფიისა და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია

ბრძანება სკოლის ფილოსოფიისა და სტრატეგიული დაგეგმვის ჯგუფის შექმნის შესახებ

შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა

ერთწლიანი სამოქმედო გეგმა

პედაგოგიური საბჭოს ოქმი

სამეურვეო საბჭოს ოქმი

**1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს**

სკოლას დამტკიცებული აქვს სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია, სადაც გათვალისწინებულია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგი და შეფასება. დოკუმენტის მიხედვით სკოლა სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას ახორციელებს წელიწადში ორჯერ. საჭიროების შემთხვევაში გათვალისწინებულია არაგეგმიური მონიტორინგი, ხოლო სტრატეგიული გეგმის მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება მისი მოქმედების პერიოდში ორჯერ, მისი განხორციელების შუაში და ბოლოს. ასევე, გამოიყენება ანგარიშების წარმოდგენის მეთოდი. სასწავლო წლის ბოლოს სამოქმედო გეგმის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირებმა უნდა წარმოადგინონ წერილობითი ანგარიშები მათ მიერ შესრულებული სამუშაოს შესახებ. ანგარიშის სახით მიღებულ ინფორმაციას სკოლის დირექტორი

წარუდგენს სამეურვეო საბჭოს დასამტკიცებლად. საჯაროობის უზრუნველყოფისათვის კი ანგარიშები უნდა განთავსდეს ვებგვერდზე. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

2. **მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით**

სკოლის მიერ წარმოდგენილ სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიაში განსაზღვრულია მონიტორინგი და შეფასება, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით, მითითებულია ვადები და პასუხისმგებელი პირების წერილობითი ანგარიშები მათ მიერ შესრულებული სამუშაოს შესახებ. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სტრატეგიული/სამოქმედო გეგმების ანგარიშები განიხილება სამეურვეო საბჭოს სხდომაზე და საჯაროობის მიზნით უნდა განთავსდეს სკოლის ვებგვერდზე. ასევე შეფასების შედეგებიდან გამომდინარე, შესაძლოა განხორციელდეს სტრატეგიული მიზნების გადახედვა და სამოქმედო გეგმის ცვლილება. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

3. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა**

სკოლის მიერ წარმოდგენილი სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია ითვალისწინებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგების საჯაროობას. დოკუმენტის მიხედვით, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების ანგარიშე(ბ)ი, განიხილება სამეურვეო საბჭოს სხდომაზე და საჯაროობის უზრუნველყოფის მიზნით უნდა განთავსდეს სკოლის ვებ-გვერდზე, ასევე გაზიარებისათვის შესაძლებელია გამოყენებულ იქნას შემდეგი საშუალებები: ელექტრონული ფოსტა, სოციალური ქსელი, საჯარო განხილვა - ინტერაქტიული ორმხრივი კომუნიკაცია აუდიტორიასთან, სკოლის სტენდი/საინფორმაციო დაფა. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

4. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის**

სკოლის მიერ წარმოდგენილ სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიაში გათვალისწინებულია სტრატეგიული განვითარების საფუძვლიანი შესწავლა, შეფასება და საჭიროების შემთხვევაში გეგმის კორექტირება. ერთ-ერთ აქტივობად მოაზრებულია ანალიზისა და შეფასების შედეგად მიღებული დასკვნების გათვალისწინება მომავალი სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში. ყოველი წლის დასრულების შემდეგ ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე სკოლა ახორციელებს SWOT

ანალიზს, რომლის მეშვეობითაც ხდება სკოლის შესაძლებლობებისა და მომავალი განვითარების პერსპექტივების გამოვლენა. მიღებული შედეგების ანალიზის საფუძველზე ხორციელდება ახალი სამოქმედო გეგმის შემუშავება. სამოქმედო და სტრატეგიული გეგმების შეფასების შედეგები სკოლას აძლევს ინფორმაციას დაგეგმვის პროცესის ხარისხის, არსებული გამოწვევებისა და პრობლემებისა შესახებ, რომელსაც შემდეგში სკოლა გამოიყენებს შემდგომი განვითარებისათვის. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია

ვებგვერდი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელიამხოლოდერთიშეფასებისმონიშვნა.*

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

**3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა**

**3.1. პერსონალის მართვა**

**3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული**

სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია ,,სკოლის სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები“, სადაც განსაზღვრულია სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები. ბრძანებების მიხედვით სკოლის სტრუქტურა მოიცავს: დირექციას, სამეურვეო საბჭოს, პედაგოგიურ საბჭოს, მოსწავლეთა თვითმმართველობას და დისციპლინურ კომიტეტს. ბრძანებებში განსაზღვრულია თითოეული სტრუქტურული ერთეულის/პირების ფუნქციები და მათი უფლება-მოვალეობები. სკოლაში მოქმედი პირების ფუნქციები ასევე გაწერილია სკოლის პერსონალთან გაფორმებულ შრომით ხელშეკრულებებში. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

2. **სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას**

სკოლაში სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციები და პასუხისმგებლობები გადანაწილებულია მოქმედი კანონმდებლობითა და სკოლის მიერ დამტკიცებული ბრძანების ,,სკოლის სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები“ შესაბამისად, რაც ხელს უწყობს სკოლის ძირითადი საქმიანობის ეფექტურად განხორიელებას. სკოლის დირექციის განმარტებით, სტრუქტურულ ერთეულებს შორის მოვალეობები და პასუხისმგებლობების განაწილება ხდება ურთიერთთანამშრომლობის გზით. სკოლამ წარმოადგინა სამეურვეო საბჭოს, პედაგოგიური საბჭოსა და კათედრების ოქმები, საიდანაც ჩანს, რომ თითოეული სტრუქტურული ერთეული/პირი ასრულებს მოქმედი კანონმდებლობითა და სკოლის მიერ დადგანილი წესით განსაზღვრულ სამუშაოს, რაც ხელს უწყობს სკოლას საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებაში. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

სკოლის სტრუქტურა

სკოლის სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები

სამეურვეო საბჭოს ოქმები

პედაგოგიური საბჭოს ოქმები

**3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად**

სკოლა პერსონალის მართვის პროცესებს ახორციელებს მოქმედი კანონმდებლობისა და სკოლის მიერ მიღებული სამართლებრივი აქტების შესაბამისად. სკოლის მიერ დამტკიცებულია ,,ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა“, რომელიც შემუშავებულია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად და განსაზღვრავს ადამიანური რესურსების მართვის პრინციპებსა და პოლიტიკას. სკოლის მიერ პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება აგრეთვე შინაგანაწესით, პერსონალთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებებითა და სხვა სამართლებრივი აქტებით, რომლებიც დადგენილია სკოლის მიერ. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

2. **სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა**

სკოლაში დასაქმებულის არყოფნის შემთხვევაში ხდება მისი ფუნქციების გადანაწილება სხვა დასაქმებულზე. მაგალითად, მასწავლებლის არყოფნის შემთხვევაში საათების გადანაწილება შესაბამისი საგნობრივი ჯგუფის სხვა მასწავლებელზე. მასწავლებლებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში გათვალისწინებულია მასწავლებლის ვალდებულება სკოლის დირექციის მოთხოვნის შემთხვევაში, სხვა მასწავლებლის გაცდენისას ჩაატაროს მისი გაკვეთილები შესაბამისი ანაზღაურების სანაცვლოდ. დირექტორის მიერ თავისი უფლებამოსილების შესრულების შეუძლებლობის შემთხვევაში მის მოვალეობას ასრულებს დირექტორის მოადგილე, რომელიც რეგისტრირებულია განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში. გარდა ამისა, დირექციისა და ადმინისტრაციის წევრები ერთმანეთს ეხმარებიან ფუნქციების შესრულებაში. მასწავლებლების მხრიდან გაცდენები იშვიათია, მაგრამ გაცდენის შემთხვევაში ხდება მყისიერი რეაგირება ფუნქციების შეთავსების კუთხით. სკოლის დირექტორით განმარტებით ფუნქციების დროული გადანაწილება, ხოლო ვაკანტური საათების არსებობის შემთხვევაში დადგენილი წესის შესაბამისად კონკურსის გამოცხადება უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროცესის შეუფერხებლად წარმართვას. სასურველია სკოლამ შიდა სასკოლო მარეგულირებელ დოკუმენტში ასახოს პრევენციული და ინტერვენციული პოლიტიკის განხორციელების პროცედურები. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

3. **პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით**

სკოლას ბრძანებით დამტკიცებული აქვს ,,ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა", სადაც განსაზღვრულია თანამშრომელთა შერჩევის პროცედურები, რომელიც ხორციელდება ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპებზე დაყრდნობით. დოკუმენტის მიხედვით პერსონალის შერჩევის პროცესი არის მკაფიო, თანმიმდევრული და გამჭვირვალე პროცედურა, რომელიც უზრუნველყოფს კვალიფიციური და შესაბამისი კადრების შერჩევას და მოზიდვას. ვაკანტურ თანამდებობებზე კონკურსის ჩატარებისა და კანდიდატის შერჩევის მიზნით, სათანადო კვალიფიკაციის მქონე პირის გამოსავლენად, მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე სკოლა აცხადებს ღია კონკურსს ვებგვერდზე teacherjobs.ge. პორტალზე თავსდება სამუშაოს აღწერა და შერჩევის კრიტერიუმები. კანდიდატურა ირჩევა კანონმდებლობის დაცვით, სკოლის დირექტორის ბრძანებით მტკიცდება შიდა ან ღია კონკურსების ჩატარების წესი და პროცედურები. ექსპერტთა ვიზიტის დროს სკოლაში დასაქმებულთა პირადი საქმეების შემოწმებისას ყველა თანამშრომლის პირად საქმეში იყო კანონმდებლობით გათვალისწინებული სავალდებულო ცნობები. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

**4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს**

ექსპერტთა ჯგუფი ვიზიტისას გაეცნო სკოლის თანამშრომელთა პირად საქმეებს. სკოლას საშტატო ნუსხის შესაბამისად ჰყავს: დირექტორი, დირექტორის მოადგილე, ბუღალტერი, საქმისმწარმოებელი, ბიბლიოთეკარი, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი, ექიმი, 2 სსსმ პირის ასისტენტი, 3 დარაჯი და 4 დამლაგებელი. სკოლაში ასევე დასაქმებულია 29 მასწავლებელი, აქედან 2 წამყვანი, 23 უფროსი და 1 სპეციალური მასწავლებელი. თითოეულ პედაგოგთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულება. აღსანიშნავია, რომ სკოლის სამ მასწავლებელს, რომლებიც დაწყებით საფეხურზე ასწავლიან ქართულს, მათემატიკას, ბუნებისმეტყველებას, მუსიკასა და ხელოვნებას, არ აქვთ საგნობრივი კომპეტენცია დადასტურებული, რაც არ შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციაში წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, სადაც აღნიშნა, რომ უზრუნველყოფს კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისი პედაგოგების შერჩევას კონკურსის წესით 2026 წლის სექტემბრისთვის. **ინდიკატორი მეტწილ შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

**5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს**

სკოლის პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს; მასწავლებლები თანამშრომლობენ ერთმანეთთან, კათედრები ერთობლივად ქმნიან

კურიკულუმებს, განიხილავენ სხვადასხვა საკითხს და ისახავენ მიზნებს. მასწავლებლებთან გასაუბრებით გამოიკვეთა, რომ ისინი თანამშრომლობენ ერთმანეთთან, უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას, საგნობრივი კათედრის თითოეული წევრი ჩართულია კურიკულუმების შემუშავების პროცესში; ხდება გამოცდილების გაზიარება და სხვადასხვა პროექტების ერთობლივი დაგეგმვა. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

**6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი**

სკოლაში ნებისმიერი თანამშრომლის პროფესიული წარმატება განიხილება კათედრებისა და პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე. თანამშრომელთა წახალისების მექანიზმებს განსაზღვრავს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა და სკოლის შინაგანაწესი, რომელთა მიხედვითაც წახალისების ფორმებია: მადლობის გამოცხადება, სიგელები, ფულადი წახალისება და სხვ. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სკოლის მასწავლებელები აქტიურად ღებულობენ მონაწილეობას საგანმანათლებლო სივრცეში პროფესიული განვითარების მიზნით ჩატარებულ ტრენინგებში, კონკურსებში, სემინარებსა და კონფერენციებში. სკოლაში დაბრუნების შემდეგ კოლეგებს კათედრაზე უზიარებენ საკუთარ გამოცდილებასა და მიღებულ ინფორმაციას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა

კონკურსის მასალები

შრომითი ხელშეკრულებები

შინაგანაწესი

საშტატო განრიგი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელიამხოლოდერთიშეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ **მეტწილად შეესაბამება**
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**3.2. პერსონალის განვითარება**
**3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები**

სკოლას შემუშავებული აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები, რომელიც გაწერილია სკოლის მიერ დამტკიცებულ ბრძანებებში ,,ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა“ და ,,შიდა ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფცია“, რომლის მიხედვით სკოლაში დასაქმებულ პირთა შეფასებისა და მათი შემდგომი მოტივაციისათვის დანერგილია გამჭვირვალე და ობიექტური შეფასების სისტემა (მონიტორინგი, კათედრის წევრების ურთიერთდასწრება, შეფასების სისტემების ერთობლივად შემუშავება), რომელიც ხელს შეუწყობს დასაქმებულთა შესაძლებლობების მაქსიმალურ გამოვლენასა და მათ შემდგომ განვითარებას. სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების მექანიზმები. რომლის შემოღებისა და განხორციელების მიზანია, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა, სკოლის მაღალკვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფა და არსებული კადრების პროფესიული დონის ამაღლება. მასწავლებელთა პროფესიული უნარ-ჩვევებისა და ცოდნის შეფასებას ხორციელდება სხვადასხვა კრიტერიუმებით, ხოლო თუ შემოწმების შედეგად გამოვლინდა, რომ სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას გარკვეული ხარვეზებია, ან მასწავლებლები საჭიროებენ გარკვეულ საკითხზე ტრენინგის ჩატარებას ადგილობრივი რესურსით, ან მოწვეული სპეციალისტების დახმარებით, სკოლა უზრუნველყოფს მასწავლებელთათვის ტრენინგების ჩატარებას და მათ პროფესიულ განვითარებას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

**2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად**

სკოლის პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად; ეს საკითხი განხილულია სკოლის მიერ დამტკიცებულ „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკაში“, დოკუმენტის მიხედვით, სკოლა მონიტორინგის, შემოწმება-შეფასების და ანალიზის საფუძველზე ახორციელებს პერსონალის საჭიროებების გამოვლენას, გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად ხდება სხვადასხვა ღონისძიების შერჩევა/დაგეგმვა, ხორციელდება თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლებისთვის საჭირო ღონისძიებების ორგანიზება. დასაქმებულთა მოტივაციის გაზრდის მიზნით იგეგმება წახალისების სისტემის აქტიური გამოყენება. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

**3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას**

სკოლას დამტკიცებული აქვს პერსონალის მართვის პოლიტიკა, რომელიც შეიცავს თანამშრომელთა პროფესიული განვითარების სისტემას. პერსონალის მიზნობრივი პროფესიული განვითარების დაგეგმვისა და განხორციელებისას სკოლა თანამშრომლებს სთავაზობს პროფესიული განვითარების მრავალფეროვან მეთოდებს, როგორც სკოლის ბაზაზე, ასევე გარედან შემოთავაზებული სერვისებით. სკოლის ერთწლიან სამოქმედო გეგმაში აისახება შესაბამისი აქტივობები და საჭირო ბიუჯეტი. სკოლა ასევე ხელს უწყობს მასწავლებელთა მონაწილეობას სხვადასხვა საგანმანათლებლო პროექტებსა და ღონისძიებებში; ერთვება საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ განხორციელებულ სხვადასხვა პროგრამებსა და პროექტებში; უზრუნველყოფს მასწავლებელთა მონაწილეობას პროფესიული და კარიერული განვითარების მიზნით ჩატარებულ ტრენინგებსა თუ სამუშაო შეხვედრებში. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

**4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან**

იმისთვის, რომ სკოლის მიერ შერჩეულმა პირმა შეძლოს საკუთარი ცოდნისა და უნარების სრულად გამოვლენა, მან უნდა გაიაროს ადაპტაციის პროცესი. სკოლის მიერ დამტკიცებული „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა" არეგულირებს თანამშრომლების სამუშაო გარემოსთან ინტეგრაციის საკითხებს, რომელიც შედგება შემდეგი ეტაპებისგან: მოლოდინები, შეხვედრა, ოჯახის წევრობა, რაც ხელს უწყობს ახალი თანამშრომლის გარემოსთან სწრაფ ადაპტაციას, სკოლა ეხმარება მათ გაეცნონ დამკვიდრებულ წესებსა და ტრადიციებს. ახალი თანამშრომლის სოციალიზაციისთვის სკოლა დასაქმებულს აცნობს სკოლის კოლექტივს, შიდა რეგულაციებს, შინაგანაწესს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

**5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები**

სკოლა წახალისების ღონისძიებებს ახორციელებს ობიექტური კრიტერიუმებისა და გამჭვირვალე პროცესის ფარგლებში, სადაც მნიშვნელოვანი აქცენტი კეთდება სამუშაოს შესრულების ხარისხის შეფასების შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე. სკოლის დირექცია და ადმინისტრაცია ეხმარება მასწავლებლებს განახორციელონ ნებისმიერი იდეა და ინიციატივა, რაც ხელს შეუწყობს სწავლა-სწავლების ხარისხის გაზრდას, ამის დამადასტურებელია სკოლის მიერ განხორციელებული პროექტები და ღონისძიებები, გაკვეთილზე მასწავლებელთა ურთიერთდასწრების ფორმები. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა და შინაგანაწესი შეიცავს პერსონალის წახალისების მეთოდებსა და მათი გამოყენების წესს, რაც ადასტურებს, რომ წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*
ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა
ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფცია
ხარისხის განვითარების ჯგუფის შექმნის ბრძანება
შინაგანაწესი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელიამხოლოდერთიშეფასებისმონიშვნა.*

☒ **შეესაბამება**
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**3.3. პროცესების მართვა**

**3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს**

   სკოლას დამტკიცებული აქვს „ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფცია“, რომელიც გულისხმობს საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვასთან, განხორციელებასთან და შემდგომ მის შეფასებასთან დაკავშირებული აქტივობების გაუმჯობესებისაკენ მიმართული ღონისძიებების ერთობლიობას. საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა დაფუძნებულია პროცესულ მიდგომაზე და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად, რომელიც მოიცავს უწყვეტ ციკლს: დაგეგმვა, განხორციელება, მონიტორინგი და განვითარება. ხარისხის უზრუნველყოფა ხორციელდება ეროვნულ სასწავლო გეგმით დადგენილ სტანდარტებთან, სკოლის სასწავლო გეგმის, საგანმანათლებლო პროგრამების, სასწავლო პროცესის, ადამიანური რესურსების, სტრუქტურული ერთეულების ფუნქციონირების ხარისხის სისტემატური შეფასების

გზით. შეფასებას ახორციელებს ხარისხის განვითარების ჯგუფი, რომელიც ადგენს კვლევის საჭიროებებს და შეიმუშავებს განსახორციელებელი აქტივობების გეგმას. შემდეგში გეგმის შესაბამისად განხორციელებული სამუშაო ჯამდება, მუშავდება რეკომენდაციები და წარედგინება სკოლის დირექტორის და სასკოლო საზოგადოების სხვა წევრებს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

**2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები**

სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობით, ძირითად და დამხმარე პროცესები იდენტიფიცირებული და აღწერილია შემდეგ დოკუმენტებში: სასკოლო სასწავლო გეგმა, ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფცია, სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია, უსაფრთხოების პოლიტიკა. დირექტორის ბრძანებით შექმნილი ხარისხის უზრუნველყოფის დოკუმენტი შეიცავს პროცესების დაგეგმვის, განხორციელების, შეფასებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს. სუსტი მხარეებისა და არსებული ხარვეზების აღმოსაფხვრელად, სწავლის/სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის, გაუმჯობესების, განვითარებისა და დადგენილ სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით გასატარებელ ღონისძიებებს, ხოლო ხარვეზების და სტანდარტებთან შეუსაბამობის აღმოჩენის შემთხვევაში, სათანადო რეაგირების მექანიზმებს. სასურველია სკოლამ ხარისხის უზრუნველყოფის დოკუმენტში კონკრეტულად აღწეროს სკოლის მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

**3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა**

სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია „გასაჩივრების დეტალური პროცედურები“ და „საჩივრების განხილვის წესი“, დოკუმენტების მიხედვით სკოლაში წარდგენილი საჩივარი/განცხადება განიხილება ობიექტურობისა და სამართლიანობის, მიუკერძოებლობის პრინციპის დაცვით, რაც უზრუნველყოფს თითოეული მოსწავლის, მშობლისა და მასწავლებლის უფლებას, გაასაჩივროს მასწავლებლისა და სკოლის უკანონო და სხვა არამართლზომიერი ქმედებები. ეს წესი ვრცელდება სკოლაში დასაქმებულ ყველა პირზე, მოსწავლეებზე, მათ მშობელზე/კანონიერ წარმომადგენელზე, აგრეთვე ყველა დაინტერესებულ პირზე, ვისაც სურს განცხადებით/საჩივრით მიმართოს სკოლას. დოკუმენტებში აღწერილია რა პროცედურით უნდა მოხდეს განცხადების/საჩივრის წარდგენა, რა რეკვიზიტებს უნდა შეიცავდეს განცხადება/საჩივარი, განსაზღვრულია განცხადებისა და საჩივრის განხილვის ზოგადი წესი და ვადები. ასევე

განსაზღვრულია მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების წესი. სკოლას კანონმდებლობის შესაბამისად ჰყავს არჩეული დისციპლინური კომიტეტი, რომელიც არის საჩივრების დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი განხილვის ეფექტიანი საშუალება და სისტემა. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

**4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები**

სკოლის თანამშრომლების, მოსწავლეებისა და მათი მშობლების კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმს წარმოადგენს სკოლის დირექტორის ბრძანება ,,გასაჩივრების დეტალური პროცედურები", ,,საჩივრების განხილვის წესი", სკოლის შინაგანაწესი, სკოლაში დასაქმებულებთან და მშობლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები. კანონით დადგენილი წესის შესაბამისად, სამეურვეო საბჭოს მიერ არჩეულია დისციპლინური კომიტეტი, რომლითაც სკოლაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ყველა წევრის კანონიერი უფლებების დაცვა. სკოლას ასევე შემუშავებული აქვს პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და ჰყავს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი, განსაზღვრულია საჯარო ინფორმაციის მომზადება-გაცემაზე პასუხისმგებელი პირი. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფცია

სასკოლო სასწავლო გეგმა

გასაჩივრების დეტალური პროცედურები

საჩივრის განხილვის წესი

პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი

დისციპლინური კომიტეტის არჩევის ოქმი

შინაგანაწესი

### 3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები**

სკოლას შემუშავებული აქვს ,,საზოგადოებასთან კომუნიკაციის წესი“, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით. ეს წესი განსაზღვრავს სკოლის ინტერესებისა და მოთხოვნების გათვალისწინებით საკომუნიკაციო აქტივობების განხორციელების პირობებს, ცნობადობის ამაღლების ღონისძიებების ჩატარების წესს, შიდა და გარე კომუნიკაციის მართვის პრინციპებს, საინფორმაციო საშუალებების (ვებგვერდი, ელფოსტა, სოციალური არხი) მართვისა და განვითარების სტრატეგიებს. წესი აგრეთვე ითვალისწინებს დაინტერესებული მხარეებისგან მიღებული უკუკავშირის ანალიზსა და რეაგირების ფორმებს. სკოლა მართვის პროცესების შესახებ სასკოლო საზოგადოების ინფორმირებას ახორციელებს სოციალური ქსელების საშუალებით. ინფორმაციის მიღება ასევე შესაძლებელია სკოლის საჯარო სივრცეში, სადაც განთავსებულია ყველა ის ძირითადი ინფორმაცია, რომელიც მნიშვნელოვანი სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის. სასწავლო წლის განმავლობაში დამრიგებლები მართავენ მშობელთა კრებებს, რომლებზეც მშობლებს აცნობენ სადამრიგებლო პროგრამას, სკოლის შინაგანაწესს, მოსწავლის ქცევის კოდექსს, სასკოლო სასწავლო გეგმას, მოსწავლეთა შეფასების სისტემას, სახელმძღვანელოების ნუსხას. ასევე, აწვდიან ინფორმაციას სასწავლო წლის განმავლობაში დაგეგმილი აქტივობების, პროექტების, ღონისძიებებისა და ექსკურსიების შესახებ. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

2. **უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა**

სკოლის მართვის კოლეგიალური ორგანოები, რომლის შემადგენლობაში შედიან სასკოლო საზოგადოების წევრები, არის: პედაგოგიური საბჭო, სამეურვეო საბჭო, დისციპლინური კომიტეტი, სკოლაში აგრეთვე ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმმართველობა და მრჩეველთა საბჭო. სკოლამ წარმოადგინა სამეურვეო საბჭოს, პედაგოგიური საბჭოს, მოსწავლეთა თვითმმართველობის, მრჩეველთა საბჭოს ოქმები. ასევე დისციპლინური კომიტეტის არჩევის ოქმი, რაც ადასტურებს, რომ

სკოლის მიერ უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ყველა წევრის ჰქონდეს შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღოს მართვის კოლეგიური ორგანოების საქმიანობაში. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

საზოგადოებასთან კომუნიკაციის წესი

სამეურვეო საბჭოს და პედსაბჭოს ოქმები

დისციპლინური კომიტეტის არჩევის ოქმი

თვითმმართველობის ოქმი

მრჩეველთა საბჭოს ოქმი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელიამხოლოდერთიშეფასებისმონიშვნა.*

☒ **შეესაბამება**
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება**

**3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა**

სსიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ცაიშის საჯარო სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას უზრუნველყოფს მანდატური. ასევე ბრძანებით განსაზღვრულია სასკოლო დროს უსაფრთხოებასა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე პასუხისმგებელი პირი. სკოლაში შექმნილია მრჩეველთა საბჭო, რომლის სხდომებზე აქტიურად განიხილება უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უზრუნველყოფასთან დაკავშირებული საკითხები, იღებენ შესაბამის რეკომენდაციებს და ისმენენ სკოლის დირექტორის ანგარიშს რეკომენდაციების შესრულებასთან დაკავშირებით. სკოლის ძირითადი შენობა აღჭურვილია ვიდეოსათვალთვალო სისტემით, შიდა და გარე პერიმეტრს აკონტროლებს 16 ვიდეო კამერა, სკოლაში განთავსებულია ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი და საევაკუაციო გეგმა. სკოლას ასევე ჰყავს სამი დარაჯი, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შენობის დაცვას. სკოლას ორივე შენობაზე აქვს მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ. ასევე სკოლას ორივე შენობაზე აქვს უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა. სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნის თანახმად სკოლის ორივე შენობის ტექნიკური მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. სკოლას აქვს შემუშავებული პირველ შენობაზე საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, რომელიც შეთანხმებულია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან და დამტკიცებულია სკოლის დირექტორის მიერ, მაგრამ არ აქვს მეორე შენობის საგანგებო მართვის გეგმა შეთანხმებული და დამტკიცებული. სკოლის მეორე შენობაში არ არის დამონტაჟებული ვიდეო სათვალთვალო სისტემა. აღსანიშნავია, რომ სკოლის ძირითადი შენობის ეზოში დგას ერთსართულიანი შენობა, რომლის ნაწილს საცხოვრებლად იყენებს ერთი ოჯახი. შენობას აქვს ცალკე შესასვლელი კარი, მაგრამ ვინაიდან არ არის შემოღობილი, შესაბამისად, ვერ კონტროლდება უცხო პირთა გადაადგილება სკოლის ტერიტორიაზე. სკოლის მეორე შენობაში სასწავლო პროცესი მიმდინარეობს მხოლოდ პირველ სართულზე, ხოლო მეორე სართული არის დაკეტილი და იქ სასწავლო პროცესი არ მიმდინარეობს, ვინაიდან ჩასატარებელია სარეაბილიტაციო სამუშაოები. შესაბამისად, იმისათვის რომ სკოლის მეორე შენობაში სასწავლო პროცესი განხორციელდეს სრულყოფილად, საჭიროა მეორე სართულის სრული რეაბილიტაცია. სასურველია სკოლას ჰყავდეს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი.

არგუმენტირებული პოზიციის დროს სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, სადაც აღნიშნა, რომ უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე მდებარე შენობის გამიჯვნას ღობის საშუალებით, რათა არ მოხდეს უცხო პირთა გადაადგილება სკოლის ტერიტორიაზე 2026 წლის სექტემბრისთვის. სკოლის მეორე შენობაში ვიდეოსათვალთვალო კამერების დამონტაჟება, საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის მომზადება და უფლებამოსილ ორგანოსთან შეთანხმება განხორციელდება 2026 წლის სექტემბრისთვის. ასევე სკოლამ შესაბამისობის გეგმაში მიუთითა, რომ უზრუნველყოფს სკოლის მეორე შენობის რეაბილიტაციას 2028 წლის მარტისთვის. შესაბამისად ინდიკატორი, რომელიც სკოლის არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო როგორც შეუსაბამო, შეფასდა როგორც ნაწილობრივი. **ინდიკატორი ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

**2. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას**

სკოლის ძირითად შენობაში ფუნქციონირებს სამედიცინო კაბინეტი, რომელიც არის კეთილმოწყობილი და აღჭურვილია ყველა საჭირო ინვენტარითა და მედიკამენტით. სკოლას ძირითად შენობაში კონკურსის წესით ჰყავს შერჩეული სათანადო კვალიფიკაციის ექიმი, რომელთანაც გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულება. ხელშეკრულება შეიცავს ექიმის ვალდებულებას, მოახდინოს დაუყოვნებლივი რეაგირება მოსწავლის ან სკოლის პერსონალის ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ გადაუდებელ მდგომარეობაზე, შეაფასოს მისი სიმძიმე და მიიღოს გადაწყვეტილება სასწრაფო სამედიცინო დახმარების გამოძახების შესახებ, ასევე სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია ,,სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესი“, რაც უზრუნველყოფს სკოლის ძირითადი შენობის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას. რაც შეეხება მეორე შენობას, სადაც სწავლობს მხოლოდ 8 მოსწავლე, სკოლას შეძენილი აქვს პირველადი დახმარების სამედიცინო ყუთი, ასევე ჰყავს მასწავლებელი, რომელმაც გავლილი აქვს პირველადი დახმარების საბაზისო კურსი და ჩაბარებული აქვს თეორიული და პრაქტიკული პროგრამით გათვალისწინებული გამოცდები, რაც დასტურდება შესაბამისი სერთიფიკატით. აღნიშნულიდან გამომდინარე, უზრუნველყოფილია სკოლის მეორე შენობაში პირველადი დახმარების აღმოჩენა. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

**3. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას**

სკოლაში საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას უზრუნველსაყოფად დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია უსაფრთხოებასა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე პასუხისმგებელი პირი. კანონიერ წარმომადგენელთან წინასწარი შეთანხმების გარეშე, საგაკვეთილო პროცესის დასრულებამდე მოსწავლეებს ეკრძალებათ სკოლის დატოვება. დირექტორის ბრძანებით შექმნილია მრჩეველთა საბჭო, რომელიც შეხვედრებზე გასცემს რეკომენდაციებს სასკოლო დროს უსაფრთხოებასა

და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასთან დაკავშირებით და იღებს სკოლის დირექტორის ანგარიშს გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე. როგორც დირექტორმა გასაუბრების დროს აღნიშნა, სკოლაში დარღვევები იშვიათია, ხოლო მოსწავლის საგაკვეთილო პროცესზე გამოუცხადებლობის ან დაგვიანების შემთხვევაში დროულად ხდება კანონიერი წარმომადგენლის ინფორმირება. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

**4. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს**

სკოლა მის ხელთ არსებული შესაძლებლობების შესაბამისად ქმნის გარემოს, რომელიც უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო გარემოს შექმნას. სკოლას ჰყავს მანდატური და ასევე მოქმედებს მრჩეველთა საბჭოც, რომელიც სკოლის ადმინისტრაციასთან თანამშრომლობით შეიმუშავებს ქმედით ნაბიჯებს და მონიტორინგს უწევს სკოლაში საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მექანიზმებს. მრჩეველთა საბჭო აქტიურად თანამშრომლობს სასკოლო საზოგადოებასთან და გეგმავს სხვადასხვა სახის აქტივობებს და ღონისძიებებს. სკოლა მართავს საინფორმაციო შეხვედრებს, რაც ხელს უწყობს სასკოლო სივრცეში ძალადობის საწინააღმდეგო ქმედებების შესახებ ცნობიერების ამაღლებას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

**5. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას**

სკოლას შემუშავებული და დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული აქვს ,,სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის წესი“. ჰყავთ კონკურსის წესით შერჩეულია ექიმი, რომელიც მასთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულების პირობების შესაბამისად პასუხისმგებელია სანიტარული და ჰიგიენური ნორმების დაცვაზე და მონიტორინგის განხორციელებაზე. სკოლას ასევე ჰყავს ოთხი დამლაგებელი, რომლებიც პასუხისმგებელი არიან სისუფთავის დაცვაზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, სკოლას აქვს შესაძლებლობა უზრუნველყოს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვა. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

**6. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას**

სკოლას შემუშავებული და დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული აქვს ,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი“, რომელიც აყალიბებს დასაქმებულთა/მოსწავლეთა პერსონალურ მონაცემთა დაცვის სტრატეგიას, მონაცემთა დაცვის ძირითად პრინციპებსა და მონიტორინგის მექანიზმებს. აღნიშნული დოკუმენტის მოქმედება ვრცელდება სკოლაში დასაქმებულ ყველა პირზე, მოსწავლეებზე და სხვა ნებისმიერ პერსონალური მონაცემების მიმღებზე. დოკუმენტი განსაზღვრავს პერსონალურ მონაცემებზე წვდომის უფლების მქონე პირებს და მათ უფლებამოსილებას. მოსწავლეთა და

სკოლის პერსონალის პირადი საქმეების შენახვასა და დაცვაზე პასუხისმგებელია საქმისმწარმოებელი. მოსწავლეთა და სკოლის პერსონალის პირადი საქმეებზე წვდომა აქვთ მხოლოდ უფლებამოსილ პირებს. სკოლას ჰყავს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი, რომელიც ანგარიშვალდებულია დირექტორის წინაშე. სკოლაში დასაქმებულებთან გაფორმებულია შეთანხმებები პერსონალურ მონაცემთა დამუშავების, გამოყენებისა და გავრცელების შესახებ. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

**7. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები**

სკოლის მიერ მისი მიზნებისა და საქმიანობის გათვალისწინებით, შეგროვებული ინფორმაციის დაცვისა და დამუშავების წესები და პროცედურები, უზრუნველყოს დამუშავების პროცესის კანონმდებლობის შესაბამისად წარმართვა. ბრძანებაში დეტალურად არის აღწერილი თითოეული თანამშრომლის ვალდებულება უზრუნველყოს მის ხელთ არსებული ინფორმაციისა და პერსონალური მონაცემების დაცვა, მოსწავლის აკადემიური მოსწრებისა და ყოფაქცევის შესახებ ინფორმაციის სხვა პირთან გაზიარება; თითოეულ მოსწავლეს აქვს ინდივიდუალური წვდომა ელექტრონულ ჟურნალზე; საგნის პედაგოგები თუ დამრიგებლები ინდივიდუალურად აცნობენ მოსწავლის აკადემიურ მოსწრებას თუ ქცევასთან არსებულ პრობლემებს მოსწავლის მშობლებსა და მათ კანონიერ წარმომადგენლებს. სკოლაში არსებულ ყველა კომპიუტერს/კომპიუტერულ მოწყობილობას გააჩნია ანტივირუსული პროგრამა/დამცავი ბარიერი. სკოლაში გამოყენებული ნებისმიერი პროგრამა ლიცენზირებულია; მუდმივად ხორციელდება პროგრამული უზრუნველყოფის განახლება; სკოლა მუშაობის პროცესში იყენებს მხოლოდ სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ მიწოდებულ ინტერნეტს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

**8. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის**

სკოლის მრჩეველთა საბჭოს სხდომებზე აქტიურად განიხილება უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უზრუნველყოფასთან დაკავშირებული საკითხები, იღებენ შესაბამის რეკომენდაციებს და ისმენენ სკოლის დირექტორის ანგარიშს რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობასთან დაკავშირებით. მრჩეველთა საბჭოს სხდომებს სკოლა იყენებს იმ ღონისძიებათა (მათ შორის პრევენციული) დასაგეგმად, რომელიც მიზანშეწონილია ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების გაუმჯობესებისთვის. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*
საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმების წერილი
საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა
სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნა
მიმართვა შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ
მრჩეველთა საბჭოს ოქმები
პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი
პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის დანიშვნა
სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის წესი
ექიმის კონკურსის მასალები
ექიმის ხელშეკრულება
სამედიცინო ყუთის მიღება-ჩაბარების აქტი
პირველადი დახმარების კურსების სერთიფიკატი
საქმისწარმოების წესი
საშტატო ნუსხა

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელიამხოლოდერთიშეფასებისმონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☒ **ნაწილობრივ შეესაბამება**
☐ არ შეესაბამება

**3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა**

**3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**

სკოლაში სასწავლო პროცესი მიმდინარეობს ორი შენობაში, ძირითადი შენობა მდებარეობს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ცაიშში, ხოლო მეორე შენობა მდებარეობს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ცაცხვში. ორივე შენობა სკოლას სახელმწიფოსგან უსასყიდლო სარგებლობის უფლებით აქვს გადაცემული, რაც დასტურდება საჯარო რეესტრიდან ამონაწერით. სკოლის ძირითადი შენობა არის ორსართულიანი და აქვს ასევე ქვედა სართული, სადაც განთავსებულია სპორტული ოთახი და სველი წერტილები. ძირითად შენობაში საკლასო ოთახების რაოდენობა საკმარისია სკოლის მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის (350 მოსწავლე) მოსწავლეებისთვის ერთ ცვლის პირობებში. ძირითად შენობაში არის 13 საკლასო ოთახი, ასევე სამასწავლებლო, სამედიცინო კაბინეტი, ბიბლიოთეკა, კომპიუტერის ოთახი, რესურსოთახი, ქიმიის კაბინეტი, უცხო ენების კაბინეტი, სპორტული მოედანი. სკოლის ძირითად შენობას გააჩნია საჭირო რაოდენობის სასკოლო ინვენტარი: მოსწავლის მერხი და სკამი, დაფა, კომპიუტერული ტექნიკა, სპორტული ინვენტარი, რაც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. რაც შეეხება მეორე შენობას, რომელიც მდებარეობს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ცაცხვში, იქ სწავლობს 8 მოსწავლე. შენობა არის ორსართულიანი, სასწავლო პროცესი მიმდინარეობს მხოლოდ პირველ სართულზე, რომელიც შედგება სამი საკლასო ოთახისა და სააქტო დარბაზისგან. მეორე სართული არის სარეაბილიტაციო და დაკეტილია. შენობაში არ არის მატერიალური და ტექნიკური რესურსი, რათა უზრუნველყოს სკოლის მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა რაოდენობისთვის (250 მოსწავლე) სასწავლო პროცესის წარმართვა. **ინდიკატორია შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

2. **დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის**

სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია ,,რესურსებით სარგებლობის წესი“, სადაც განსაზღვრულია სკოლის მოსწავლეების, მასწავლებლების და სხვა თანამშრომლების მიერ სხვადასხვა რესურსებით სარგებლობის პირობები. დოკუმენტის თანახმად, სკოლის ინფრასტრუქტურა და რესურსები ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების ნებისმიერი წევრისათვის. კომპიუტერი და პრინტერები განთავსებულია სამასწავლებლოში, ბიბლიოთეკაში, კომპიუტერულ ოთახში. სკოლას აქვს მხატვრული წიგნადი ფონდი, რომელიც განთავსებულია ბიბლიოთეკაში. სკოლის ბიბლიოთეკით სარგებლობა ხელმისაწვდომი და შეუზღუდავია სკოლის მოსწავლეებისა და თანამშრომელთათვის. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

3. **სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით**

სკოლაში ფუნქციონირებს ბიბლიოთეკა, შემუშავებული და დამტკიცებულია ,,ბიბლიოთეკის მუშაობის დებულება“, სადაც გაწერილია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი, არსებული რესურსებით სარგებლობისა და გამოყენების, აგრეთვე ბიბლიოთეკაში ქცევის წესი. სკოლას ჰყავს ბიბლიოთეკარი, რომელიც დებულების თანახმად, ვალდებულია უზრუნველყოს მკითხველთა მომსახურება ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდით, პასუხისმგებელია სახელმძღვანელოების მიღებაზე, დამუშავებაზე და აღრიცხვაზე, ასევე დადგენილი წესით საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებაზე. ბიბლიოთეკაში არსებული წიგნები აღრიცხულია სასწავლო რესურსების კატალოგში, სადაც თითოეულ წიგნს მინიჭებული აქვს საინვენტარო ნომერი. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

4. **სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს**

სკოლას ჰყავს 10 სსსმ მოსწავლე და ერთი შშმ პირი. გამოყოფილია რესურსოთახი, რომელიც აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით. ასევე სკოლას აქვს შშმ მოსწავლეების საჭიროებებზე მორგებული და ადაპტირებული სველი წერტილები. სკოლის ორივე შენობის შესასვლელში არის პანდუსები, მაგრამ სკოლის ძირითად შენობას არ აქვს ქვედა სართულზე ჩასასვლელი და მეორე სართულზე ასასვლელი ლიფტი ან პანდუსი. სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც აღნიშნა, რომ უზრუნველყოფს პანდუსის ან ლიფტის მოწყობას 2028 წლის მარტისთვის. **ინდიკატორი ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

5. **სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას**

სკოლის შენობაში არის სააქტო დარბაზი, სადაც სასკოლო საზოგადოება უზრუნველყოფილია შეხვედრების ან ღონისძიებებისთვის აუცილებელი ინვენტარით, მათ შორის, კომპიუტერული ტექნიკის გამოყენებით. სკოლაში ხშირად

ტარდება სხვადასხვა სახის ღონისძიებები მოსწავლეების მონაწილეობით, მასწავლებლებისა და მშობლების ჩართულობით. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის შესაძლებლობას მოსწავლეებმა სკოლის ბაზაზე განახორციელონ სოციალური, კულტურული, სპორტული და შემეცნებითი აქტივობები. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

ბიბლიოთეკის მუშაობის დებულება

ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

რესურსებით სარგებლობის წესი

მიღება-ჩაბარების აქტები

წიგნების კატალოგი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელიამხოლოდერთიშეფასებისმონიშვნა.*

☐ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☒ **ნაწილობრივ შეესაბამება**

☐ არ შეესაბამება

**3.6. საინფორმაციო რესურსები**

**3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას**

სკოლას აქვს კომპიუტერული ლაბორატორია. სკოლის ბალანსზე ირიცხება 41 ლეპტოპი, 3 პროექტორი და 4 პრინტერი. აღნიშნული დასტურდება კომპიუტერების მიღება-ჩაბარების აქტებით, შესაბამისად, სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის შეუფერხებლად წარმართვას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

2. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად**

სკოლას დამტკიცებული აქვს „მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი“ და ასევე აქვს ციფრული განვითარების გეგმა, რომლის ძირითადი პრინციპები და ფუნქციებია სკოლაში არსებული რესურსების ხელმისაწვდომობა მოსწავლეებისა და თანამშრომლებისათვის და ინფორმაციის ხელმისაწვდომობა სასკოლო საზოგადოებისათვის. სკოლა აქვს კომპიუტერული ლაბორატორიის ოთახი და საჭირო რაოდენობის კომპიუტერული ტექნიკა: კომპიუტერები, პრინტერები, სკანერები, რაც უზრუნველყოფს სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის ხელმისაწვდომობას მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*
მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი
ციფრული განვითარების გეგმა
მიღება-ჩაბარების აქტები

**3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი**

სკოლას დამტკიცებული აქვს ,,საქმისწარმოების ერთიანი წესი“, რომელიც განსაზღვრავს ელექტრონული და მატერიალური საქმისწარმოების ორგანიზაციულ სისტემას, ადგენს დოკუმენტებსა და მოქალაქეთა განცხადებებზე, წერილებზე მუშაობის წესს, გასული და შემოსული კორესპონდენციების რეგისტრირებას, ბრძანებების გამოცემისა და მათი აღრიცხვის წესს, შრომითი ხელშეკრულებების აღრიცხვის წესს, დოკუმენტების შედგენას, გაფორმებას, დავალებების შესრულების კონტროლს და გაგზავნას, ინფორმაციის გაცემის წესს, დოკუმენტების შენახვის წესს. დოკუმენტების რეგისტრაცია ხორციელდება ერთიანი ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის (Eflow) საშუალებით. ვიზიტის დროს, ექსპერტები გაეცნენ სკოლის მიერ წარმოებულ სარეგისტრაციო ჟურნალებს, კერძოდ, ბრძანებების სარეგისტრაციო ჟურნალს, გასული დოკუმენტაციის სარეგისტრაციო ჟურნალს, შემოსული დოკუმენტაციის სარეგისტრაციო ჟურნალს, შრომითი ხელშეკრულებების სარეგისტრაციო ჟურნალს. საქმისწარმოებასთან დაკავშირებულ საქმიანობას ახორციელებს სკოლის საქმისმწარმოებელი, რომელთანაც გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი შრომითი ხელშეკრულება. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

2. **სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა**

სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები. სკოლაში შემოსული წერილები იტვირთება და რეგისტრირდება ელექტრონული დოკუმენტბრუნვის (eFLow) საშუალებით. საქმისმწარმოებლის მიერ ხორციელდება ყველა სახის დოკუმენტის მომზადება და გაშვება შესაბამის მისამართზე. დაცულია ყველა სახის დოკუმენტის მომზადებისა და გაცემის წესი, მათ შორის, ბრძანებების, წერილების, ოქმების, ხელშეკრულებებისა და სხვა. ასევე, სკოლას აქვს ელექტრონული ფოსტა, რომლითაც ასევე ახორციელებს წერილების მიღებას, რეგისტრაციას და გაგზავნას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

3. **სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში**

სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში. ყველა საჭირო ინფორმაცია სრულყოფილად ასახულია განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში, კანონმდებლობით დადგენილი წესით და ვადის დაცვით, რაც დადასტურდა სკოლის ელექტრონული ბაზის დათვალიერების შედეგად. შესაბამისად, აღნიშნული **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

4. **სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან**

სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან. დროულად იღებს და გასცემს ინფორმაციებს, აქვს საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებასთან ანგარიშგებისა და თანამშრომლობის ეფექტიანი ფორმა და დროულად აგზავნის ამ უწყებებთან ანგარიშებს, კერძოდ, 10 დეკემბრამდე ანგარიშის წარდგენა პრეზიდენტისთვის, პრემიერ მინისტრისა და პარლამენტის თავმჯდომარისთვის, ანგარიშის საკანონმდებლო მაცნეზე გამოქვეყნება, დირექტორი ყოველი წლის 10 დეკემბრამდე სამეურვეო საბჭოს წარუდგენს ანგარიშს წინა პერიოდის სასწავლო პროცესის მიმდინარეობისა და ფინანსური მდგომარეობის შესახებ, რაც დასტურდება სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*
საქმისწარმოების წესი
დირექტორის ანგარიში სამეურვეო საბჭოს
10 დეკემბრის ანგარიშები

**3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებგვერდისა/ვებგვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით**

   სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია ,,საზოგადოებასთან კომუნიკაციის წესი“, რომელიც განსაზღვრავს დაინტერესებული მხარეების ინფორმირების მექანიზმებს, აღწერს შიდა და გარე კომუნიკაციის წარმართვის პროცესს. სკოლას საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ახორციელებს ოფიციალური ვებგვერდის საშუალებით, სადაც განთავსებულია ინფორმაცია დაწესებულების საქმიანობისა და მის მიერ განხორციელებული აქტივობების შესახებ.

დირექტორის განცხადებით, სკოლა მშობლებთან და საზოგადოებასთან საკომუნიკაციოდ იყენებენ აგრეთვე მესენჯერს, თიმსის პლატფორმასა და ელექტრონულ ჟურნალს. შემუშავებულია მშობლებთან ურთიერთობის/კომინიკაციის წესი, სადაც ჩამოთვლილია მშობლებისთვის ინფორმაციის მიწოდების გზები: მშობელთა კრებები, ონლაინ პლატფორმები, ელექტრონული ფოსტა, სოციალური ქსელები, ინდივიდუალური შეხვედრები და სხვა. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

2. **სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას**

სკოლა უზრუნველყოფს განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას და ამისთვის იყენებს სხვადასხვა საკომუნიკაციო საშუალებებს (სოციალური ქსელები, ელფოსტა, თიმსი) სკოლის დირექციასთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ ინფორმაცია, რომელიც უნდა გავრცელდეს ძირითადად დამრიგებლების მეშვეობით, თანხმდება სკოლის დირექტორთან, რის შემდეგაც ხდება მისი გავრცელება. სკოლის მიერ დაინტერესებული პირებისთვის მიწოდებული ინფორმაცია მოსწავლეებისთვის განკუთვნილი სასწავლო თუ შემეცნებითი ღონისძიებები, არის სანდო, რამდენადაც ყველა ინფორმაცია გავრცელებულია ოფიციალური გვერდებიდან. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

3. **საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად**

დაწესებულება სხვადასხვა არხიდან მიღებულ უკუკავშირს, მათ შორის სკოლის facebook გვერდზე, დახურული სოციალური ქსელებიდან, თიმსის პლატფორმაზე, ელექტრონულ ჟურნალში მოცემულ ინფორმაციას იყენებს საკუთარი საქმიანობის გასაუმჯობესებლად. სკოლა ატარებს სხვადასხვა სახის გამოკითხვებს მოსწავლეებსა და მშობლებში. ხდება მიღებული ინფორმაციის ანალიზი და შემდგომში გათვალისწინება საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

4. **სკოლას აქვს მოქმედი ვებგვერდი/ვებგვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას**

სკოლას აქვს საკუთარი ვებგვერდი, რომელიც არის მოქმედი და სადაც შესაბამის გვერდზე ინფორმაცია განთავსებულია ქართულ ენაზე. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

5. **ვებგვერდი/ვებგვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია**

სკოლის ვებგვერდზე განთავსებული დოკუმენტები მოიცავს ყველა სავალდებულო ინფორმაციას: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრატეგიული გეგმა, სამოქმედო გეგმა, სტრუქტურა, პროგრამების სახელწოდებები და ჩარიცხვის პროცედურები, სასკოლო სასწავლო გეგმა, შინაგანაწესი, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ბიუჯეტი. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

საზოგადოებასთან კომუნიკაციის წესი

ვებგვერდი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელიამხოლოდერთიშეფასებისმონიშვნა.*

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

**3.7. ფინანსური რესურსები**

### 3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება**

სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება, სკოლამ წარმოადგინა შესყიდვების წლიური გეგმის დამტკიცების ბრძანება, სადაც კანონმდებლობის შესაბამისადაა აღწერილი სკოლის მიერ შესყიდვების განხორციელების წესი და გეგმის ფორმა; დამტკიცებულია წლიური შესყიდვების გეგმა და ბაზრის კვლევაზე პასუხისმგებელი პირი. წარმოდგენილია საჭირო ნივთების შესყიდვისთვის სამსახურებრივი ბარათები. სკოლის ბიუჯეტით განსაზღვრული თანხა ხმარდება ყველა იმ საჭირო საქონელსა და მომსახურებას, რომლებიც სასკოლო საზოგადოების საჭიროებების გათვალისწინებით, აუცილებელია სასწავლო პროცესის ორგანიზებისა და ნორმალურად წარმართვისათვის. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

2. **სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა**

სკოლა მომავალი წლის ბიუჯეტს გეგმავს წინა წლების გამოცდილების გათვალისწინებით. სკოლის ბიუჯეტი და შესყიდვების გეგმა დგება წინა წლების გამოცდილების გაზიარებით. სკოლის ბიუჯეტზე გათვალისწინებით, სკოლა ყოველწლიურად ამტკიცებს სახელმწიფო შესყიდვების გეგმას. როგორც სკოლის დირექციასთან გასაუბრებით დადგინდა, სახელმწიფო შესყიდვების დაგეგმვის ეტაპზე ხორციელდება ინფორმაციის მოძიება საჭიროებების შესახებ. საჭიროებების დადგენას ძირითადად ახდენს სკოლის დირექტორი და ბუღალტერი. საჭიროებისა და მოცულობების კვლევის შედეგად ხდება შესყიდვების გეგმის ფორმირება. სკოლას დანერგილი აქვს ფინანსური ანგარიშგების სისტემა, კერძოდ, ყოველი წლის 10 დეკემბრამდე, სამეურვეო საბჭოს დირექტორი წარუდგენს ფინანსური საქმიანობის შესახებ ანგარიშს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

სკოლის ბიუჯეტი

შესყიდვების წლიური გეგმა და წესი

10 დეკემბრის ანგარიშები
დირექტორის ანგარიში სამეურვეო საბჭოს
ინვენტარიზაცია

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელიამხოლოდერთიშეფასებისმონიშვნა.*

☒ **შეესაბამება**
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არშეესაბამება

**4. მოსწავლეთა მხარდაჭერა**
**4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა**
**4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა**

სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია ,,გასაჩივრების დეტალური პროცედურები“, რომელიც ვრცელდება სკოლაში დასაქმებულ ყველა პირზე, მოსწავლეზე, მის მშობელზე/კანონიერ წარმომადგენელზე. ასევე ნებისმიერ დაინტერესებულ პირზე, რომელსაც სურს სკოლას მიმართოს განცხადებით/საჩივრით. თითოეულ დაინტერესებულ პირს აქვს შესაძლებლობას მიიღოს ამომწურავი ინფორმაცია თავისი უფლებების, სკოლაში არსებული საჩივრების სისტემისა და პროცედურების შესახებ. აღნიშნული დოკუმენტში დეტალურად არის აღწერილი თუ ვის და როგორ შეუძლია შემოიტანის

განაცხადი/საჩივარი, რომელი სტრუქტურული ერთეულია უფლებამოსილი განიხილოს განცხადება/საჩივარი და რა ვადებია ამისათვის განსაზღვრული. მოსწავლეთა კანონით გათვალისწინებულ უფლებების დაცვასა და გარანტიებს უზრუნველყოფს აგრეთვე სკოლის შინაგანაწესი. მოსწავლის უფლებები კანონით არის დაცული, მათ აქვთ გასაჩივრების უფლება, მონაწილეობენ სკოლის მართვაში, შინაგანაწესში დეტალურად არის გაწერილი მოსწავლეთა დისციპლინური დევნის თავისებურებები და დისციპლინური სახდელები, მოსწავლეებსა და მშობლებს ამის შესახებ მიეწოდებათ ინფორმაცია დამრიგებლების საშუალებით. შინაგანაწესი გამოკრულია სკოლაში თვალსაჩინო ადგილზე. მშობელთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან დადებულია ხელშეკრულებები და გაფორმებულია შეთანხმებები პერსონალური მონაცემების გამოყენების თაობაზე. სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი, რაც მიუთითებს, რომ მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები არის დაცული. სკოლა უქმნის ყველა მოსწავლეს პირობებს, რომ მათი უფლებები იყოს დაცული, განსხვავებული შესაძლებლობებისა და სოციალური მდგომარეობის მიუხედავად. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

**2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან**

მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან, კერძოდ, სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებული შინაგანაწესი გამოკრულია სკოლის საჯარო სივრცეში ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილას, მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია ხელშეკრულებები. მოსწავლის მობილობის ან პირველ კლასში შესვლის შემთხვევაში ადმინისტრაცია მშობლებს და მოსწავლეებს აცნობს შინაგანაწესს, სადაც განსაზღვრულია მხარეთა უფლება-მოვალეობები. ინფორმაციის გაზიარება ასევე ხდება კლასის დამრიგებლების მიერ მშობელთა კრებებზე, სოციალური ქსელების მეშვეობით, ელ. ფოსტის საშუალებით, კლასის საათის ფარგლებში და სხვ. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

**3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება**

მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან სკოლას გაფორმებული აქვს კანონმდებლობის შესაბამისი გამჭირვალე და მკაფიო ხელშეკრულებები. ხელშეკრულებაში ასახულია მხარეთა უფლება-მოვალეობები, მოსწავლის უფლებები და ვალდებულებები. სასწავლო და დასვენების, უქმე დღეების შესახებ, ხელშეკრულების მოქმედების ვადა და

შეწყვეტის წესი, დავის გადაწყვეტა, მხარეთა რეკვიზიტები და დამატებითი პირობები. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*
გასაჩივრების დეტალური პროცედურები
საჩივრების განხილვის წესი
შინაგანაწესი
მშობელთან გაფორმებული ხელშეკრულებები

**4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები**

სკოლა მოსწავლეთა ჩარიცხვას, საფეხურის დაძლევას, მობილობას, სტატუსის შეჩერებასა და აღდგენას ახორციელებს კანონმდებლობის შესაბამისად, რაც ასახულია სკოლის დირექტორის ბრძანებაში „მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერების წესი“. ამ დოკუმენტში სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და აღდგენის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები. დოკუმენტში გაწერილია პირველკლასელთა რეგისტრაციის ეტაპები, ასევე მოსწავლეთა ჩარიცხვის წესი და პროცედურები. ბრძანებაში ასევე არის გაწერილი სტატუსის შეჩერების საფუძვლები, სტატუსის აღდგენისა და მობილობის წესები. მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, სტატუსის შეჩერების საკითხებთან დაკავშირებით სკოლა ხელმძღვანელობს კანონმდებლობის შესაბამისად დადგენილი წესებით. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

**2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს**

სკოლა მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და აღდგენის პროცესს ახორციელებს კანონის შესაბამისად. სკოლის დირექტორის მიერ გამოცემული ბრძანებები ,,მოსწავლის სტატუსის შეჩერებისა და აღდგენის შესახებ", ,,მოსწავლის ჩარიცხვის", ,,საფეხურის დაძლევის", ,,მობილობის შესახებ" ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესის მიხედვით. აღნიშნული დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და მართვის ელექტრონული ბაზის შემოწმების შედეგად. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

**3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

სკოლას მომსახურების სახეები, პირობები, პროგრამები და მათი სპეციფიკა განსაზღვრული აქვს სასკოლო სასწავლო გეგმაში, შინაგანაწესში და სკოლის მიერ მიღებულ სხვა დოკუმენტებში. დამატებით საგანმანათლებლო ან/და სააღმზრდელო მომსახურებებს ამ ეტაპზე სკოლა არ ახორციელებს. სკოლის საქმიანობის შესახებ ინფორმაცია გავრცელება ძირითადად ხდება ვებგვერდისა და სოციალური ქსელების საშუალებით, სადაც ყველა დაინტერესებულ პირს შეუძლია გაიგოს სკოლაში მიმდინარე სიახლეები. სკოლის შიდა პოლიტიკისა და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია გამოკრულია შენობაში თვალსაჩინო ადგილას, რაც უზრუნველყოფს მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების ინფორმირებას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

**4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული**

სკოლას ჰყავს პერსონალური მონაცემების დაცვის ინსპექტორი, დამტკიცებულია ,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი", რაც უზრუნველყოფს, რომ სკოლისა და მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაციები იყოს კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე და არადისკრიმინაციული. ასევე სკოლა მოსწავლეების მონაწილეობით განხორციელებული ღონისძიებების შესახებ ინფორმაციის გასაჯაროებამდე მშობლებისგან იღებს წერილობით ნებართვას, ინფორმაციის გავრცელებასთან დაკავშირებით, რაც უზრუნველყოფს მოსწავლეთა უფლებებისა და პერსონალური მონაცემების დაცვას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*
მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერების წესი
ბრძანება მოსწავლის ჩარიცხვის თაობაზე
ბრძანება მოსწავლის სტატუსის შეჩერების თაობაზე
ბრძანება მოსწავლის სტატუსის აღდგენის თაობაზე
ბრძანება საფეხურის დაძლევის შესახებ
პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი
შინაგანაწესი
ვებგვერდი

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელიამხოლოდერთიშეფასებისმონიშვნა.*

☒ **შეესაბამება**
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები**
**4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი**

სკოლას ბრძანებით დამტკიცებული აქვს ,,მოსწავლეთა ადაპტაციის წესი“, რომლის მიზანია ხელი შეუწყოს მოსწავლეთა ადაპტაციას სკოლაში და გააადვილოს სასკოლო პროცესში პირველკლასელთა და მობილობის წესით გადმოსული მოსწავლეების ჩართულობა. დოკუმენტი ასევე განსაზღვრავს სკოლის მიერ მისი მიზნებისა და საქმიანობის გათვალისწინებით მოსწავლეთა სასკოლო ცხოვრებაში ადაპტაციის მექანიზმებს და მათი განხორციელების პროცედურებს. ბრძანრბა შეიცავს პირველკლასელთა ადაპტაციისათვის განსაზღვრულ ღონისძიებებს, სსსმ მოსწავლეთა ადაპტაციას, ასევე სხვა სკოლიდან გადმოსულ მოსწავლეთა ადაპტაციას. ასევე შემუშავებულია რეკომენდაციები მშობლებისათვის, რომელიც ხელს შეუწყობს მათი შვილების სკოლასთან ადაპტაციას. სკოლას პირველკლასელთა მიღებისას ატარებს მრავალფეროვან სხვადასხვა სახის ღონისძიებებს და აქტივობებს, კერძოდ, სასწავლო წლის დაწყებამდე კლასის დამრიგებელი ხვდება მშობლებს, იგეგმება ვიზიტი სკოლაში, ათვალიერებენ სკოლის ინფრასტრუქტურას, დამრიგებელი აცნობს მათ სკოლის სპეციფიკას და მიღება ხდება საზეიმო ვითარებაში. მოსწავლეს ექმნება ყველანაირი პირობა, რათა მისთვის სტრესული არ აღმოჩნდეს ახალ გარემოში ყოფნა. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

**2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან**

სკოლას ბრძანებით დამტკიცებული აქვს ,,მოსწავლეთა ადაპტაციის წესი“, სადაც განსაზღვრულია პირველკლასელთა ადაპტაცია. სკოლა წესის შესაბამისად სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან, კერძოდ, უზრუნველყოფს ახლად ჩარიცხული მოსწავლისათვის სასკოლო გარემოს დათვალიერებას (საკლასო ოთახების, სააქტო დარბაზის, სპორტული ოთახის, ეზოს და სხვა ტერიტორიების გაცნობას), სასწავლო წლის დაწყებისას პირველ დღეს ტარდება განსხვავებული ფორმატით. სკოლის ეზოში ეწყობა საზეიმო დახვედრა. აღნიშნული ღონისძიების/აქტივობის მიზანია სხვადასხვა აქტივობების მეშვეობით მოსწავლეების უკეთ გაცნობა და დაახლოება. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

**3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად**

ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა და მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ მოსწავლეები სკოლისაგან იღებენ სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური შედეგების გასაუმჯობესებლად. სკოლის დირექციასთან და მასწავლებლებთან ინტერვიურებით დადგინდა, რომ სწავლაში სირთულეების მქონე მოსწავლეებს, აკადემიური მოსწრების გაუმჯობესების მიზნით, საჭიროების შემთხვევაში ეძლევათ დამატებითი დავალებები და უტარდებათ დამატებითი მეცადინეობებიც ინდივიდუალურად. მასწავლებლები კომპლექსური დავალებებითა და სასწავლო

პროექტებით ცდილობენ მოსწავლეებს გაუწიონ სათანადო დახმარება აკადემიური შედეგების გასაუმჯობესებლად. კათედრები აანალიზებენ შემაჯამებელ დავალებებს, აკვირდებიან მოსწავლეთა პროგრესს და გეგმავენ შესაბამის ღონისძიებებს საუკეთესო შედეგების მისაღწევად, რაც ხელს უწყობს მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის წარმართვას. სკოლას შემუშავებული აქვს რემედიაციის წესი. რემედიაციის პროგრამის ამოქმედების საჭიროება არ ყოფილა, მაგრამ სკოლას აქვს მზაობა საჭიროების შემთხვევაში დამატებითი მხარდაჭერა და დახმარება შესთავაზოს იმ მოსწავლეებს, რომლებსაც სხვადასხვა მიზეზების გამო გარკვეული პრობლემები და ჩამორჩენა ექნებათ სწავლაში. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

**4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით**

სკოლისგან მოსწავლე დადგენილ ვადებში იღებს სათანადო მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით. ასევე, მასწავლებლები მოსწავლეებს აწვდიან ინფორმაციას ოლიმპიადებსა და კონკურსების შესახებ, ხოლო მშობლებს სემესტრული გამოცდებისა და მობილობის შესახებ. სკოლაში ექსტერნატის გამოცდების ჩატარებისა და ექსტერნად რეგისტრაციის ვადების შესახებ ინფორმაცია დროულად განთავსდება სკოლაში თვალსაჩინო ადგილას სასკოლო საზოგადოების ინფორმირების მიზნით. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

**5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას**

სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას. სკოლას ჰყავს აქტიური მოსწავლეთა თვითმმართველობა, რომელსაც აქვს საკუთარი დებულება. მათი ინიციატივით სკოლაში ხშირად ტარდება სხვადასხვა სახის ღონისძიებები. სკოლას აქვს მოსწავლის ინიციატივის მხარდაჭერის გეგმა, რომლის მიზანია მოსწავლის ინიციატივის მხარდაჭერა და მისი იდეის რეალიზებისთვის საჭირო პირობების უზრუნველყოფა. გეგმებისა და სკოლის მოსწავლეთა თვითმმართველობის გეგმის საფუძველზე წინასწარ ხდება მოსწავლეთა ინფორმირება ჩასატარებელი ღონისძიებების შესახებ, რომლებიც ტარდება სკოლის ადმინისტრაციის მხარდაჭერით. სასწავლო წლის განმავლობაში განხორციელდა არაერთი არაფორმალური აქტივობა, პროექტი, ექსკურსია, საქველმოქმედო ღონისძიება, სპორტული შეჯიბრება, მოსწავლეთა ნამუშევრების გამოფენა და სხვა. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

6. **მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას**

სკოლას აქვს მოსწავლეებისა და მშობლების გამოკითხვის გარკვეული პრაქტიკა, რომელსაც იყენებს მომდევნო სასწავლო წლის დაგეგმვის პროცესში, ასევე იღებს უკუკავშირს სხვადასხვა სტრუქტრული ერთეულების მხრიდან, მაგალითად მრჩეველთა საბჭოს სხდომებზე განიხილება სკოლისთვის აქტუალური საკითხები, რომელთა გათვალისწინება ხდება სკოლის საქმიანობაში. გასაუბრების დროს აღნიშნეს, რომ ამ დრომდე ჩატარებული ღონისძიებების უკუკავშირი და მსგავსი ტიპის დამადასტურებელი დოკუმენტაცია სრულად არ აქვთ, ამიტომ მომავალში სკოლა გეგმავს შეიმუშავოს უკუკავშირის ფორმა, კითხვარი, რომელსაც გამოიყენებს თითოეულ აქტივობაში, რომ გაზომოს თუ რამდენად დამაკმაყოფილებელია მონაწილე და დაინტერესებული პირების შემდგომი ნაბიჯები. მაგალითად, თუ სკოლა ჩაატარებს მშობელთა შეხვედრას, მონაწილეებს შეეძლებათ შეაფასონ: რამდენად მიაღწია შეხვედრამ დასახულ მიზანს; რამდენად იყო ინფორმაცია გასაგები და პრაქტიკულად გამოსაყენებელი; რამდენად იგრძნეს საკუთარი ჩართულობა და მნიშვნელობა პროცესში; რა რეკომენდაციებს სთავაზობენ სკოლას მომავალი აქტივობების გაუმჯობესებისათვის. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*
მოსწავლეთა ადაპტაციის წესი
ტრანზიციისა და რემედიაციის წესი

**4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის**

სკოლა ზრუნავს, რომ კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომი იყოს თითოეული მოსწავლისათვის. სკოლაში ტარდება შეხვედრები სკოლის წარმატებულ კურსდამთავრებულებთან, რაც საშუალებას აძლევს მოსწავლეებს გაითვალისწინონ კურსდამთავრებულთა გამოცდილებები და რეკომენდაციები. ასევე

სკოლას აქვს შედგენილი სპეციალური კითხვარი, რომელიც ითვალისწინებს სკოლის კურსდამთავრებულთა კმაყოფილების/დასაქმების, სწავლის გაგრძელების კვლევას. სასკოლო საზოგადოების წევრების გამოკითხვისა და შემდეგში შედეგების ანალიზის საფუძველზე სკოლა გეგმავს დახმარება გაუწიოს მოსწავლეებს პროფესიული უნარების სწორად განსაზღვრაში. ასევე სკოლას გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტთან, რომლის ერთ-ერთი მიზანია სკოლის მოსწავლეებში მეცნიერების პოპულარიზაცია და წარჩინებულ კურსდამთავრებულთა დასაქმებაზე ზრუნვა. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

2. **სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით**

სკოლა ზრუნავს, რათა მოსწავლეები და მშობლები ინფორმირებული იყვნენ შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით. სთავაზობს მათ ინფორმაციას პროფესიული და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და მათი საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ. ინფორმაციის გავრცელების წყაროდ იყენებენ სოციალურ ქსელსა და საინფორმაციო დაფას. სკოლა სოციალურ ქსელში ავრცელებს პროფორიენტაციის კურსის ფარგლებში განხორციელებულ ღონისძიებებსა და აქტივობებს, აცნობენ მოსწავლეებს საგანმანათლებლო პროგრამებს, მოთხოვნად პროფესიებსა და დასაქმების შესაძლებლობებს. მოსწავლეებისთვის პროფესიული არჩევანის გაკეთების გამოცდილების გაზიარების მიზნით სკოლაში მოიწვია სკოლის წარმატებული კურსდამთავრებულები, რომლებმაც კითხვა- პასუხის რეჟიმში გაუზიარეს მოსწავლეებს თავიანთი გამოცდილება, თუ როგორ დაისახეს მიზნები და როგორ გავიდნენ შედეგზე, რა სიძნელეები შეხვდათ და როგორ დაძლიეს ისინი, რა უნარები იყო საჭირო პროფესიაში წარმატებისთვის და სხვა. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

3. **სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს**

სკოლა მოსწავლეებისთვის შეთავაზებული კარიერული დაგეგმვის სერვისის გაუმჯობესების მიზნით გეგმავს განახორციელოს კარიერული განვითარების შესაძლებლობების კვლევა; სკოლა კვლევებიდან მიღებული მონაცემების ანალიზის საფუძველზე გეგმავს გადახედოს საკუთარ კარიერული განვითარების მომსახურების პრაქტიკას, რათა მოიპოვოს ინფორმაცია რამდენად დაეხმარა მოსწავლეს სკოლაში მიღებული კარიერული დაგეგმვის სერვისი მისი

უნარების და ინტერესების შესაბამისი პროფესიული არჩევანის გაკეთებაში ან უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის გაგრძელებაში. თუ რამდენად შედეგიანი იყო სკოლის მიერ განხორციელებული პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მომსახურება და შემდგომში საჭიროების შემთხვევაში, მომსახურების გაუმჯობესების მიზნით განახორციელოს შესაბამისი ცვლილებები. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

არაფორმალური აქტივობები

მემორანდუმი

კითხვარი

პროექტები

**4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი**

სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაცია და ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმა, რაც უზრუნველყოფს სსსმ პირთათვის ინდივიდუალურად მორგებული სასწავლო პროცესისა და საჭირო სპეციალურ საგანმანათლებლო მომსახურებას. მოსწავლეებს ემსახურებიან სპეციალური მასწავლებლები. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მიზნით შექმნილია სამუშაო ჯგუფი. თითოეული სსსმ მოსწავლისათვის შემუშავებულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომელიც მაქსიმალურად ითვალისწინებს სსსმ მოსწავლის ყველა საგანმანათლებლო საჭიროებას და მისი მიღწევის გზებს, მოსწავლის ინტერესებსა და ინდივიდუალურ შესაძლებლობებს. სასკოლო სასწავლო გეგმით ასევე განსაზღვრულია ინკლუზიური განათლების ზოგადი პრინციპები. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

**2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს**

დაწესებულება უზრუნველყოფს სსსმ პირებისათვის ინდივიდუალურ საჭიროებებზე ორიენტირებულ მომსახურებას, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსების ხელმისაწვდომობას. ინდივიდუალური სამოქმედო გეგმების შედგენასა და განხორციელებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოების დიდი ნაწილი. დირექტორის ბრძანებით ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მიზნით შექმნილია სამუშაო ჯგუფი, რომელიც შედგება მშობლისა და პედაგოგებისგან, რაც უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს. ისგ ჯგუფის ერთობლივი მუშაობა და მიზნობრივი ინტერვენციები მიმართულია მოსწავლეთა შედეგების გაუმჯობესებაზე. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

სასკოლო სასწავლო გეგმა

მოსწავლეთა ადაპტაციის წესი

სსსმ პირთათვის სერვისების მიწოდების რეგულაცია

სამუშაო ჯგუფის შექმნის ბრძანება

სამუშაო ჯუფის ოქმები

სამოქმედო გეგმის დამტკიცების ბრძანება

ინდივიდუალური სასწავლო გეგმა

**4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით.** ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

სკოლის მოსწავლეები სარგებლობენ ,,საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფის“ პროგრამის ფარგლებში საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ დაფინანსებული ტრანსპორტირების მომსახურებით. მომსახურება ითვალისწინებს ორი კილომეტრის და მეტი მანძილიდან მოსწავლეთა ტრანსპორტირებას. პროგრამას მონიტორინგს უწევს ადგილობრივი მუნიციპალიტეტი. სკოლა აწარმოებს ყოველდღიურ ტაბელს და განსაზღვრული ჰყავს ტრანსპორტით მომსახურების მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირი. ასევე სკოლას სამინისტროს თანხმობის საფუძველზე იჯარის ხელშეკრულებით აქვს ფართი გაცემული საკვებით მომსახურებისთვის. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

2. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას**

სკოლა ამ ეტაპზე მოსწავლეებს არასავალდებულო მომსახურების სახით სთავაზობს მხოლოდ ტრანსპორტით მომსახურებას, სხვა დამატებით (არასავალდებულო) სახის მომსახურებას სკოლა ამ ეტაპზე არ ახორციელებს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

3. **შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს**

სკოლის მოსწავლეების სატრანსპორტო მომსახურეობა ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესებით, უსაფრთხოების ყველა მექანიზმის დაცვით და გათვალისწინებულია მოსწავლის საუკეთესო ინტერესები. სამუშაოს შესრულების ტაბელს ყოველდღიურად ხელმოწერით ადასტურებენ სკოლის დირექტორი და მძღოლი. ასევე სკოლას სამინისტროს თანხმობის საფუძველზე აქვს გაფორმებული იჯარის ხელშეკრულება კვების ობიექტის ფუნქციონირების მიზნით, სადაც მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*
ტრანსპორტის ტაბელი
ბუფეტის იჯარის ხელშეკრულება

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელიამხოლოდერთიშეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

# ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

## I. ავტორიზაციის მეორე სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

**ცხრილი ივსება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე**

| სტანდარტი 2 | ექსპერტთა ჯგუფის შეფასება<br><br>*(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|
| სასკოლოკურიკულუმი<br><br>(დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო | ☐ შეესაბამება |

| | |
|---|---|
| პროგრამა) | ☒ **მეტწილად შეესაბამება**<br><br>☐ **ნაწილობრივ შეესაბამება**<br><br>☐ **არ შეესაბამება** |
| **კომპონენტი 2.1**<br><br>კურიკულუმის შემუშავება | ☒ შეესაბამება<br><br>☐ მეტწილად შეესაბამება<br><br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br><br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.2**<br><br>კურიკულუმის განხორციელება | ☐ შეესაბამება<br><br>☒ მეტწილად შეესაბამება<br><br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br><br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.3**<br><br>კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება | ☒ შეესაბამება<br><br>☐ მეტწილად შეესაბამება<br><br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br><br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.4**<br><br>კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია | ☒ შეესაბამება<br><br>☐ მეტწილად შეესაბამება |

| | |
|---|---|
| | ☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br><br>☐ არ შეესაბამება |

## I. ავტორიზაციის მეორე სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

**ცხრილი ივსება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე**

| **სტანდარტი 2** | **ექსპერტთა ჯგუფის შეფასება**<br><br>*(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|
| **სასკოლოკურიკულუმი**<br><br>(საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა) | ☒ შეესაბამება<br><br>☐ მეტწილად შეესაბამება<br><br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br><br>☐ არ შეესაბამება |

| | |
|---|---|
| **კომპონენტი 2.1**<br><br>კურიკულუმის შემუშავება | ☒ შეესაბამება<br><br>☐ მეტწილად შეესაბამება<br><br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br><br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.2**<br><br>კურიკულუმის განხორციელება | ☒ შეესაბამება<br><br>☐ მეტწილად შეესაბამება<br><br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br><br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.3**<br><br>კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება | ☒ შეესაბამება<br><br>☐ მეტწილად შეესაბამება<br><br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br><br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.4**<br><br>კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია | ☒ შეესაბამება<br><br>☐ მეტწილად შეესაბამება<br><br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br><br>☐ არ შეესაბამება |

## I. ავტორიზაციის მეორე სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

**ცხრილი ივსება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე**

| სტანდარტი 2 | ექსპერტთა ჯგუფის შეფასება<br>*(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|
| **სასკოლოკურიკულუმი**<br>(საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა) | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.1**<br>კურიკულუმის შემუშავება | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება |

| | |
|---|---|
| | ☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.2**<br>კურიკულუმის განხორციელება | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.3**<br>კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.4**<br>კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

## II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

*ინდიკატორისმოთხოვნებთანშესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა დაანალიზითითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის იწერება გაერთიანებული სახით. ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის იდენტიფიცირება ხდება, მაშინ როდესაც იწერება ხარვეზი/რეკომენდაცია/რჩევა.*

### 2. სასკოლო კურიკულუმი
### 2.1. კურიკულუმის შემუშავება
### 2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა დაანალიზი:

1. **კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას**

სკოლას შემუშავებული აქვს კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია, რომელიც იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესების, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას.

**ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

2. **კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები**

სკოლის მიერ შემუშავებულ საგნობრივ კურიკულუმებში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები. საგნობრივი კათედრები თავად არიან ჩართული სასკოლო კურიკულუმის შემუშავების პროცესში, ხოლო მშობლებისგან და მოსწავლეებისგან ინფორმაციის მისაღებად სკოლა იყენებს პირისპირ შეხვედრებს, მშობელთა კრებებს, სოციალურ ქსელში შექმნილ დახურულ ჯგუფებს. სასკოლო საზოგადოებისგან მიღებულ ინფორმაციის დამუშავების შემდეგ ხდება მათი ინტერესების ასახვა კურიკულუმში. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

3. **კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. მის შემუშავებაში არიან ჩართული, როგორც მასწავლებლები და მოსწავლეები, ასევე მშობლები. მნიშვნელოვანია, რომ კურიკულუმის შემუშავების პროცესში სასკოლო საზოგადოების ინტერესების გათვალისწინებისას სასკოლო საზოგადოების წევრებს აქვთ მიკუთვნებულობის განცდა, რომ

შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს თანამონაწილეობით შექმნილ პროდუქტს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

4. **კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. რათქმაუნდა მნიშვნელოვანია სკოლის მიერ შექმნილი თითოეული დოკუმენტი გაზიარებულ იქნა სასკოლო საზოგადოებისთვის, რათა სასკოლო საზოგადოების თითოეულ წევრს ჰქონდეს მკაფიო წარმოდგენა იმ საგნობრივ კურიკულუმებთან დაკავშირებით, რაც შექმნილია სკოლაში. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

სკოლის დირექტორის ბრძანება - მისია, ხედვა, ღირებულებები, მეთოდოლოგია;
ესთეტიკური კათედრის ოქმი;
ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრის სხდომის ოქმი;
საბუნებისმეტყველო კათედრი ოქმი;
მათემატიკისა და კომპიუტერული ტექნოლოგიების კათედრის ოქმი;
საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის ოქმი;
უცხოური ენების კათედრის ოქმი;

**2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას**

| | |
|---|---|
| საბუნებისმეტყველო მეცნიერებები | სკოლის მიერ შემოთავაზებული კურიკულუმები საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში სტრუქტურირებულია ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად. ასახულია თემატური დაგეგმვა სამიზნე ცნებებთან მიმართებაში. მოსწავლეთა დაინტერესების და შინაგანი ძალების გააქტიურების მიზნით, საკითხების უკეთ გააზრებისთვის განსაზღვრულია კონტექსტმაგალითები, ქიმიის საგნობრივ კურკულუმებში არის ასევე მაგალითები შედარებისთვის. სასწავლო რესურსები წარმოდგენილია როგორც ბეჭდური, ასევე ციფრული შინაარსის რესურსები და პლატფორმები.<br><br>სამივე საფეხურის მასწავლებლებს მიეცათ რჩევა, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კათედრაზე შემუშავდეს კურიკულუმის ჩარჩოს ერთიანი ვერსია, გადაიხედოს კონტექსტმაგალითების შინაარსი, განისაზღვროს შედარების მაგალითები საკითხების სიღრმისეულად გააზრების და დეკონტექსტუალიზაციის მიზნით. მაგ. ბიოლოგიის საბაზო საფეხურის კურიკულუმში კონტექსტმაგალითში წერია - მონაცემების განსჯა და ანალიზი. შესასწავლ საკითხად წარმოდგენილია - თავის ტვინი/ზურგის ტვინი. ამ საკითხების შესწავლის მიზნით კონტექსტად განისაზღვროს რაიმე შემთხვევა ადამიანის ყოველდღიური ცხოვრებიდან. მონაცემების განსჯა და ანალიზი იქნება საეტაპო აქტივობების ჩამონათვალში.<br><br>ასევე - ფიზიკის კურიკულუმში კონტექსტმაგალითში მითითებულია - არათანაბარი მოძრაობა, საშუალო სიჩქარე. ეს არის საკითხების ჩამონათვალი და საკითხების სვეტში არის კიდეც მითითებული. კონტექსტად განისაზღვროს ასევე რაიმე შემთხვევა, სადაც ამ საკითხების ცოდნა იქნება საჭირო.<br><br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.** |
| საზოგადოებრივი | საზოგადოებრივ მეცნიერებებში შემუშავებული კურიკულუმები დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებულ სასწავლო პროცესის |

| | |
|---|---|
| მეცნიერებები | დაგეგმვის და განვითარების გზას. კერძოდ, კურიკულუმში, შესასწავლ საკითხთან დაკავშირებით მოცემულია დავალების იდეები (ფოტოკოლაჟი - დღესასწაულები ჩემსოჯახში, არქეოლოგის დღიურის ჩანაწერები დმანისის არქეოლოგიური გათხრების შესახებ, საგაზეთო სტატია - წყნარი ოკეანის დაბინძურების გავლენა მსოფლიო ოკეანის ეკოსისტემაზე ბუკლეტი - ურჩიე თანაკლასელებს როგორ გამოიყენონ კომპიუტერი უსაფრთხოდ და სასარგებლოდ და სხვა), რომლებიც კომპლექსური ბუნებისაა და ითვალისწინებს მოსწავლეთა წინარე ცოდნას, ახლოსაა მოსწავლეთა ცხოვრებისეულ გამოცდილებასთან და ხელს უწყობს როგორც სასწავლო-შემოქმედებით უნარების განვითარებას, ასევე მოსწავლეთა ჩართვას სწავლა-სწავლების პროცესში.<br><br>მიზანშეწონილია, რომ საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრამ როგორც დაწყებით და საბაზო, ასევე საშუალო საფეხურზე, მომავალი სასწავლო წლის კურიკულუმის შემუშავებისას, გაითვალისწინოს ადგილობრივი კონტექსტი. კერძოდ, დაგეგმოს სასწავლო პროექტები და აქტივობები სოფელში არსებული კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის (ცაიშის საკათედრო ტაძარი და ბალნეოლოგიური კურორტი) საფუძველზე, რომლებიც დაკავშირებული იქნება გაეროს მდგრადი განვითარების მიზნებთან.<br><br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.** |
| უცხოური ენები | სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დინამიკურ გზამკვლევს. დაგეგმარების პროცესში აქცენტი გაკეთებულია მოსწავლის წინარე გამოცდილებაზე, ფუნქციური კონტექსტების შექმნასა და ცოდნის სამივე კატეგორიის ინტეგრირებაზე. კურიკულუმი მიმართულია იმისკენ, რომ პედაგოგებმა სასწავლო პროცესი მოარგოს მოსწავლეთა ინდივიდუალურ ტემპსა და ინტერესებს, რითიც უზრუნველყოფილია თითოეული მოსწავლის მაქსიმალური განვითარება.<br><br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.** |

| | |
|---|---|
| ესთეტიკური აღზრდა | ესთეტიკის კათედრაზე სამივე საფეხურისათვის შემუშავებული საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩო წარმოადგენს სტანდარტის მოთხოვნათა რეალიზების გზებსა და საშუალებებს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარებისათვის. კურიკულუმის ჩარჩო ორიენტირებულია სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაზე, საგნობრივი ჯგუფის მიერ შემუშავებულ კურიკულუმში შუალედურ მიზნებად მოაზრებულია კომპლექსური ტიპის დავალებები (კომპლექსური დავალებების იდეები), რომლებიც შემუშავებულია მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობების, ცოდნის, საჭიროებების გათვალისწინებით და რომლებიც ხელს უწყობს ცოდნის ურთიერთდაკავშირებასა და ტრანსფერს, სააზროვნო უნარების განვითარებას, ცოდნის გამთლიანებას, ორგანიზებასა და ურთიერთადაკავშირებას კომპლექსურ პროდუქტის შექმნისას.<br><br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.** |
| სახელმწიფო ენა | ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებს სამივე საფეხურზე შემუშავებული აქვთ საგნობრივი კურიკულუმები. შემუშავების პროცესში აქტიურადაა ჩართული სასკოლო საზოგადოება. გასაუბრებით ცნობილი გახდა, რომ სკოლა მოსწავლის და მშობლის ბარათებს აზიარებს სოციალური ქსელის დახურულ ჯგუფებში. პედაგოგები ერთმანეთს უზიარებენ საკუთარ გამოცდილებას. წინა სასწავლო წლის რეფლექსიით ხდება ახალი კურიკულუმის შემუშავება და სასწავლო პროცესის დაგეგმვა.<br><br>საგნობრივ კურიკულუმებში სავალდებულო სასწავლო თემების ფარგლებში გამოკვეთილია საკითხები, შერჩეულია შემოქმედებითი ტიპის დავალებები. ძირითადად ორინტირება ხდება ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისიწინებულ გრძელვადიან მიზნებზე. დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებენ მოსწავლის ინდივიდუალურ საჭიროებებს და ინტერესს შესასწავლი საკითხების მიმართ. |

| | |
|---|---|
| | **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.** |
| მათემატიკა | დაწესებულებამ წარმოადგინა საგნობრივი კურიკულუმები ყველა კლასისათვის. დოკუმენტი ძირითადად სტრუქტურულად და შინაარსობრივად გამართულია ( გარდა მესამე კლასის კურიკულუმისა), თუმცა საჭიროებს დახვეწას და კიდევ უფრო მეტად მორგებას მოსწავლეთა ინტერესებსა და საჭიროებებზე. (მაგ. V, VII და IX კლასების კურიკულუმებში დასაკონკრეტებელია შემოქმედებითი დავალების იდეა, X კლასის კურიკულუმში არ არის მითითებული ელექტრონული რესურსები, XI კლასის კურიკულუმში - სახელმძღვანელოდან გვერდები). კურიკულუმები ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე და ძირითად ორიენტირს წარმოადგენს მასში გაწერილი შემოქმედებითი დავალებები. მასწავლებლებმა ინტერვიუზე აღნიშნეს რომ შუალედური მიზნების განსაზღვრისას იხელმძღვანელეს სასწავლო პროცესში გამოკვეთილი მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობების, წინარე ცოდნის და საჭიროებების შესაბამისად.<br><br>დაწყებითი საფეხური:<br><br>მე-3 კლასის კურიკულუმში დასაზუსტებელია ყველა თემის შესაბამისი სამიზნე ცნებები და ქვეცნება, ყველა თემის ფარგლებში მუშავდება ერთი და იგივე სამიზნე ცნებების ქვეცნებები, კერძოდ, მათემატიკური მოდელი - ზომის ერთეულები, კანონზომიერება- საერთო საზომ სისტემაში გადაყვანა, ლოგიკა- მსჯელობა, დასკვნის გამოტანა. რესურსებში არ არის მითითებული ბმულები, ასევე სახელმძღვანელოდან- გვერდები. დოკუმენტში არ არის გაწერილი არცერთი შემოქმედებითი დავალება.<br><br>პედაგოგებთან გასაუბრებისას გავამახვილე ყურადღება ყოველივე ზემოაღნიშნულზე და გავეცი შესაბამისი რჩევები, თუმცა ვიზიტის ფარგლებში განახლებული დოკუმენტის მოწოდება სკოლის მხრიდან არ/ვერ მოხერხდა.<br><br>შესაბამისად, გამოიკვეთა რომ დაწყებითი კლასების კათედრის მიერ წარმოდგენილი მე-3 კლასის კურიკულუმი ვერ უზრუნველყოფდა მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის |

| | |
|---|---|
| | დაგეგმვისა და განვითარების გზას.<br><br>თუმცა, სკოლამ არგუმენტირებული პოზიციის შესაბამის მტკიცებულებებში წარმოადგინა მე-3 კლასის კურიკულუმი. დოკუმენტი ბევრად სრულყოფილია, ვიდრე წინა ეტაპზე იყო. სამიზნე ცნებები და ქვეცნებები დაზუსტებულია, რესურსების გრაფაში ასახულია, როგორც მატერიალური, ისე ელ. რესურსები. მითითებულია რამდენიმე შემოქმედებითი დავალების იდეა. დოკუმენტი უზრუნველყოფს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. შესაბამისად, ინდიკატორი რომელიც სკოლის არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო როგორც შეუსაბამო, შეფასდა, როგორც შესაბამისი.<br><br>**რჩევა:** სასურველია, მასწავლებლებმა მომავალი სასწავლო წლიდან ისე დაგეგმონ სასწავლო პროცესი, რომ მეტი აქცენტი გააკეთონ თემის ფარგლებში უფრო მეტი შემოქმედებითი ბუნების დავალების განხორციელებაზე ყველა სამიზნე ცნების გააქტიურებით. კურიკულუმების შემდგომი განვითარების მიზნით აუცილებელია შინაარსობრივად დაიხვეწოს დავალების იდეა. ყურადღება მიექცეს ელექტრონული რესურსების უფრო ხშირ გამოყენებას.<br><br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.** |
| სპორტი | ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებლების მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები მორგებულია მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზებზე. კურიკულუმის ფორმა ისე არის დაგეგმილი, რომ გათვალისწინებულია მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწიებილი სტანდარტის მოთხოვნები და პრინციპები. კურიკულუმში გაწერილი თემები მორგებულია სკოლაში არსებულ მატერიალურ ბაზასა და ინვენტარს, რასაც ადასტურებენ ინტერვიუს მსვლელობის დროს სკოლის პედაგოგები. სკოლის პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ კურიკულუმის შედგენის დროს გათვალისწინებულია მოსწავლის ინტერესები, შესაძლებლობანი და ასაკობრივი თავისებურებანი. |

| | |
|---|---|
| | **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.** |
| ტექნოლოგიები | დაწყებით საფეხურზე, საგან კომპიუტერულ ტექნოლოგიებში წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩო, მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისია. წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩო, (მე-2, მე-3, მე-4, მე-5, მე-6 კლასი) ასახავს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. წარმოდგენილი კომპლექსური დავალების იდეები კომპლექსური ბუნებისაა და ითვალისწინებს მოსწავლეთა წინარე ცოდნას და ახლოსაა მოსწავლეთა ცხოვრებისეულ გამოცდილებასთან. წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლითა და სასკოლო სასწავლო გეგმის შინაარსითა და გახორციელებული სასწავლო პროცესით, იქმნება მოსწავლეების შესაძლებლობების გამოვლენის, სწავლისა და თანაბარი განვითარების ხელშემწყობი გარემო. ჩანს, რომ სკოლას და მასწავლებელს აქვს მზაობა სწორედ დაგეგმონ სასწავლო პროცესი, ორიენტირება მოახდინონ გრძელვადიან მიზნებზე და შედეგები განსაზღვრონ საფეხურის დონეზე.<br><br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.** |
| ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური | დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები ორიენტირებულია მოსწავლეზე. უპირატესობა ენიჭება შემოქმედებითი ტიპის დავალებებს, რომელიც განიხილება შუალედურ სასწავლო მიზნად და თავისთავად გამიზნულია მოსწავლის მრავალმხრივ განვითარებაზე. კათედრები კურიკულუმებს შეიმუშავებენ წინა წლის კურიკულუმების რეფლექსიის საფუძველზე და მზად არიან დახვეწონ ისინი ურთიერთთანამშრომლობისა და გაზიარების, აგრეთვე დანერგვის ეტაპზე გამოვლენილი ხარვეზების საფუძველზე. ამის უზრუნველსაყოფად ისინი თანამშრომლობენ ასევე მშობლებთან, დახურულ სოციალურ ჯგუფებში უზიარებენ კომპლექსური დავალების ბარათებს და იღებენ უკუკავშირს, ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინტერესებს, შესაძლებლობებს, წინარე ცოდნასა და საჭიროებებს.<br><br>ამის მიუხედავად არის მთელი რიგი საკითხები, რომლებიც უფრო მეტ ყურადღებასა და |

| | |
|---|---|
| | დაზუსტებას მოითხოვს.<br><br>**ქართული ენის მე-4 კლასის კურიკულუმის** ჩარჩოში მოცემული სტრუქტურული ერთეულების ფუნქცია არაა მკვეთრად გამიჯნული ერთმანეთისაგან და ხდება მათი აღრევა/გადაფარვა.<br><br>**ბუნებისმეტყველების მე-3 და მე-4 კლასის კურიკულუმებში** დასაზუსტებელია სავალდებულო თემები, რომელთა ნაცვლად ვხვდებით ცნება/ქვეცნებებსა და ზოგჯერ - საკითხებს.<br><br>ზოგიერთი კურიკულუმი კიდევ უფრო საყურადღებოა, მაგ:<br><br>**მე-3 კლასის მათემატიკის კურიკულუმი** საჭიროებს გადამუშავებას: დასაზუსტებელია თემის ფარგლებში ცნება/ქვეცნება, არ შეიცავს არცერთ შემოქმედებითი ტიპის დავალებას, არ მოიაზრებს კონტექსტმაგალითებს, რესურსებში არაა მითითებული სახელმძღვანელოს გვერდები და დამხმარე ბმულები.<br><br>ამ საკითხებზე ყურადღება გამახვილდა მასწავლებელთა ინტერვიუს დროს, მაგრამ, არსებული დროის მონაკვეთში პრობლემა არ/ვერ აღმოიფხვრა.<br><br>დაწყებითი კლასების კათედრის მიერ წარმოდგენილი მე-3 კლასის კურიკულუმი ვერ უზრუნველყოფს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას.<br><br>სკოლის მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციიდან გამომდინარე, ბუნებისმეტყველების მე-3 და მე-4 კლასის კურიკულუმებში მხოლოდ დასაზუსტებელია სავალდებულო თემები, რომელთა ნაცვლად ვხვდებით სახელმძღვანელოს თემატურ ერთეულებს.<br><br>რაც შეეხება მე-3 კლასის მათემატიკის კურიკულუმს, სკოლა პასუხისმგებლობით მოეკიდა აღნიშნული კლასის კურიკულუმის შესახებ რეკომენდაციას, გაითვალისწინა ის და არგუმენტირებული პოზიციის სახით შემოგვთავაზა კურიკულუმი, სადაც ხარვეზი |

| | |
|---|---|
| | აღმოფხვრილია. შესაბამისად, ინდიკატორი რომელიც სკოლის არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო როგორც შეუსაბამო, შეფასდა, როგორც შესაბამისი.<br><br>ასევე სკოლას მიეცა **რჩევა:**<br><br>ქართულ ენაში: ა) მე-4 კლასის კურიკულუმში სწორად ჩამოყალიბდეს სტრუქტურული ერთეულების შინაარსი, გაიმიჯნოს კონტექსტმაგალითები სასწავლო რესურსებისაგან და საკითხი - შემოქმედებითი დავალების იდეისაგან;<br><br>გ) სასურველია, დაწყებით საფეხურზე დაცულ იქნას კურიკულუმების ერთიანი ჩარჩო და საორიენტაციოდ გამოყენებულ იქნას მე-2 კლასის კურიკულუმი.<br><br>დ) მე-3 კლასის ქართულის კურიკულუმი გამდიდრდეს რესურსებით.<br><br>ბუნებისმეტყველებაში: მე-3 და მე-4 კლასის კურიკულუმებში დაზუსტდეს სავალდებულო თემები მოქმედი სტანდარტის შესაბამისად, განისაზღვროს მის ფარგლებში დასამუშავებელი ცნება/ქვეცნება და აღარ გამეორდეს ისინი თემების გრაფაში, ასევე გაიმიჯნოს ისინი საკითხებისაგან.<br><br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.** |

## 2. კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს

| | |
|---|---|
| საბუნებისმეტყველო მეცნიერებები | საბუნებისმეტყველო საგნების კურიკულუმები შექმნილია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად. ცნებაზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის განხორციელების მიზნით, საკითხები სავალდებულო თემების ფარგლებში დალაგებულია კლასტერებად. შუალედური სასწავლო მიზნების მისაღწევად შემუშავებულია შემოქმედებითი დავალებები, რომლებიც უზრუნველყოფს სამივე კატეგორიის ცოდნის |

| | |
|---|---|
| | დაუფლებას.<br><br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.** |
| საზოგადოებრივი მეცნიერებები | წარმოდგენილი კურიკულუმები დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე ძირითადად შემუშავებულია მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად: გრძელვადიანი მიზნები - სამიზნე ცნებები/საფეხურის შედეგები, სასწავლო თემები, საკითხთა კლასტერი, სასწავლო რესურსი, შემოქმედებითი პროდუქტის სახით გაწერილი შუალედური მიზნები.<br><br>შემოქმედებითი ტიპის დავალებები იძლევა შესაძლებლობას პროცესი იყოს ორიენტირებული ფუნქციურ კომპონენტურ უნარებზე. კერძოდ, სასწავლო პროექტები (კულტურული მღავალფეროვნება საქართველოში, ბულინგი და მისი ფორმები) ასევე შემოქმედებითი დავალებების იდეა: ,,პროფესიები ჩემს ირგვლივ" (მე და საზოგადოება მე-3 კლასი), ბუკლეტის მომზადება ქართლით დაინტერესებული ტურისტების მოსაზიდად" (ჩვენი საქართველო, მე-5 კლასი), ,,როგორ მივმართოთ ადგილობრივ თვითმმართველობას მიუსაფარი ძაღლების პრობლემის მოსაგვარებლად" (მოქალაქეობა, მე-8 კლასი), ,,კომიქსი პრეისტორიული ეპოქის შესახებ" (ისტორია, მე-10 კლასი) და სხვა, მიემართება შემდეგ ფუნქციურ უნარებს: შემოქმედობითობა, კრიტიკული აზროვნება, კომუნიკაცია, თანამშრომლობა, ნებელობა.<br><br>თუმცა ცალკეული საგნების კურიკულუმებში, საბაზო და საშუალო საფეხურზე, სასწავლო თემებში სრულად არ მუშავდება სამიზნე ცნებები, ნაწილობრივაა წარმოდგენილი შესასწავლი საკითხები. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.** |
| უცხოური ენები | სასკოლო კურიკულუმის ანალიზის საფუძველზე დგინდება, რომ იგი ვალიდურია ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნებთან მიმართებით. სკოლის მიერ შერჩეული თემები და აქტივობები ემსახურება მოსწავლის მიერ საფეხურებრივი შედეგების მიღწევას. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამივე |

| | |
|---|---|
| | კატეგორიის (რა ვიცი, როგორ შევასრულო და როდის გამოვიყენო) გააქტიურებაზე, რაც სრულ შესაბამისობაშია მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის ფილოსოფიასთან.<br><br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.** |
| ესთეტიკური აღზრდა | სამივე საფეხურის საგნობრივი ჩარჩო კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ საგნის სტანდარტების მოთხოვნებს. ძირითადად, გამოკვეთილია, რომ სასწავლო პროცესი იგეგმება საფეხურების მიხედვით განსაზღვრავრული საგნობრივი მოთხოვნების შესაბამისად, თემატური ბლოკების/თემების ფარგლებში, სადაც მუშავდება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საფეხურის შედეგი და გრძელვადიანი სამიზნე ცნებები, მასთან დაკავშირებული ქვეცნებები. კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები) და დასტურდება ინდიკატორთან შესაბამისობა.<br><br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.** |
| სახელმწიფო ენა | სამივე საფეხურის კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. ესგ-ს მოთხოვნების შესაბამისად, განსაზღვრულია სავალდებულო თემები, თემებში საკითხების საშუალებით მუშავდება სამიზნე ცნებები. თუმცა, რიგ შემთხვევებში იკვეთება მცირე უზუსტობებიც. ამის მიუხედავად, ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ ესგ-ს საგნობრივი სტანდარტით განსაზღვრული შედეგები, ყველა სამიზნე ცნება და მათთან დაკავშირებული ქვეცნებები და მკვიდრი წარმოდგენები, რომლებსაც გაითვალისწინებენ მომდევნო სასწავლო წელს კურიკულუმების შემუშავებისას. მასწავლებლებმა ისაუბრეს განხორციელებულ კომპლექსურ დავალებებზე,სადაც გათვალისწინებულია ისეთი კომპლექსური დავალების პირობები და განსახორციელებელი აქტივობები (მაგ: პრეზენტაცია, საინფორმაციო ბუკლეტის დამზადება, პოსტერების შექმნა, ბუკლეტის შექმნა), რომლებიც გათვლილია |

| | |
|---|---|
| | გრძელვადიან მიზნებზე და მოსწავლეებში ავითარებს იდეების გენერირების, კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების, პრობლემის გადაჭრის უნარებს.<br><br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.** |
| მათემატიკა | შექმნილი კურიკულუმები, გარდა მე-3 კლასისა, ითვალისწინებს საგნობრივ მოთხოვნებს და მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული გრძელვადიანი მიზნებისკენ. სასწავლო კურიკულუმებში გაწერილი სამიზნე ცნებები მოსწავლეებს აძლევს საშუალებას საკუთარ გამოცდილებასთან ინტეგრირებულად გამოიყენოს ახალი ცოდნა და უნარები. შემოქმედებითი ტიპის დავალებები ისეა შედგენილი, რომ მოსწავლე ჩართულია კომუნიკაციაში, უწევს იაზროვნოს კრიტიკულად, პროდუქტის შექმნისას კი შემოქმედებითობა სჭირდება. კურიკულუმში ჩანს სავალდებულო თემატური ბლოკები, მასთან დაკავშირებული თემები, რომლის ფარგლებშიც მუშავდება ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგი და სამიზნე ცნებები/ქვეცნებები, საკითხები.<br><br>გამოიკვეთა შემდეგი გარემოება: მე-3 კლასის კურიკულუმის არასრულყოფილების გამო, დოკუმენტი არ მიემართებოდა ესგ-ით განსაზღვრულ მიზნებს.<br><br>თუმცა, სკოლამ არგუმენტირებული პოზიციის შესაბამის მტკიცებულებებში წარმოადგინა მე-3 კლასის კურიკულუმი. დოკუმენტი ბევრად სრულყოფილია, ვიდრე წინა ეტაპზე იყო. სამიზნე ცნებები და ქვეცნებები დაზუსტებულია, რესურსების გრაფაში ასახულია, როგორც მატერიალური, ისე ელ.რესურსები. მითითებულია რამდენიმე შემოქმედებითი დავალების იდეა. დოკუმენტი მიემართება ესგ მიზნებს. შესაბამისად, ინდიკატორი, რომელიც სკოლის არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო როგორც შეუსაბამო, შეფასდა როგორც შესაბამისი. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.** |
| სპორტი | წარმოდგენილი კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებისაკენ (ფიზიკური თვისებები, ორგანიზებულობა და |

| | |
|---|---|
| | თვითკონტროლი, ცხოვრების ჯანსაღი წესი) (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), სამიზნე ცნებები და შედეგები); სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებში ჩანს სამიზნე ცნებები და მასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები.<br><br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.** |
| ტექნოლოგიები | დაწყებით საფეხურზე, საგან კომპიუტერულ ტექნოლოგიებში წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩო (მე-2, მე-3, მე-4, მე-5, მე-6 კლასი) ძირითადად მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს, რაც აისახება სამიზნე ცნებებსა და მასთან დაკავშირებულ საკითხებში. კომპლექსური ბუნების დავალების იდეებში ჩანს რომ მოსწავლეებს განუვითარდებათ კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნება, ციფრული მოქალაქეობა. ჩანს, რომ მასწავლებლები იაზრებენ საკითხის მნიშვნელობას და შეძლებენ მის მოყვანას საგნობრივ სტანდარტთან შესაბამისობაში.<br><br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.** |
| ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური | დაწყებით საფეხურზე სკოლის მიერ წარმოდგენილ I-IV კლასების საგნობრივ კურიკულუმებში ქართულ ენაში, მათემატიკაში, ბუნებისმეტყველებასა და მე და საზოგადოებაში, ძირითადად, მასწავლებლები ცდილობენ კურიკულუმში გაითვალისწინონ საგნობრივი სტანდარტის მოთხოვნები, თუმცა, გამომდინარე იქიდან, რომ დაწყებით საფეხურზე საგნობრივი სწავლებაა, თითოეულ საგნობრივ ჯგუფში განსხვავებული სურათი გვაქვს, კერძოდ:<br><br>**სახელმწიფო ენაში** კურიკულუმებით გათვალისწინებული საკითხები და თემები შესაბამისობაშია სტანდარდთან, გათვალისწინებულია გრძელვადიანი მიზნები და შუალედური მიზნები, ანუ, ე. წ. შემოქმედებითი ტიპის დავალებები მიემართება მათ მიღწევას. **დასახვეწია მე-4 კლასის კურიკულუმი** სტრუქტურული ერთეულების შესაბამისად.<br><br>**მათემატიკაში მე- 3 კლასის კურიკულუმი** გადასახედია და საჭიროებს განახლებას |

მოქმედი სტანდარტისა და ზემოთ აღწერილი საკითხების გათვალისწინებით.

**ბუნებისმეტყველებაში მე-3 და მე-4 კლასის კურიკულუმებში** დასაზუსტებელია სავალდებულო თემები მოქმედი სტანდარტის შესაბამისად, გასამართია სტრუქტურულად, კერძოდ:

მე-3 კლასის კურიკულუმში მოცემული თემები არ ემთხვევა სტანდარტის მიხედვით გაწერილ ძირითად თემებს, კერძოდ, კურიკულუმში მუშავდება თემა ,,მზის სისტემა“, მაგრამ არ მუშავდება თემა ,,ჩემი ქვეყნის ბუნება“ , მათ ნაცვლად ვხვდებით საკითხთა ჩამონათვალს. აქაც უნდა მოხდეს თითოეული თემის ფარგლებში ყველა სამიზნე ცნების გააქტიურება და ცნებებისა და ქვეცნებების ფორმულირება მე-3 თაობის სტანდარტზე დაყრდნობით. მე-4 კლასში კურიკულუმი უნდა აიგოს 2 ძირითად თემაზე: ,,დედამიწა“ და ,,ციკლური პროცესები ბუნებაში“. მათ უნდა დაუკავშირდეს სწორად ფორმულირებული ცნებები და ქვეცნებები და გაიმიჯნოს საკითხებისაგან.

**,,მე და საზოგადოების“ მე-3 და მე-4 კლასების საგნობრივ კურიკულუმებში** გათვალისწინებულია საგნობრივი სტანდარტის მოთხოვნები. კურიკულუმები მოიაზრება, როგორც სასწავლო მიზნებისა და მოსწავლეთა პიროვნული განვითარების რეალიზების უმნიშვნელოვანეს ინსტრუმენტი. ინტერვიურებისას გამოჩნდა, რომ პედაგოგი შეძლებისდაგვარად ცდილობს ორიენტირებას გრძელვადიან მიზნებზე, ცნებებზე, საფეხურის შედეგებზე და ცდილობს მოსწავლეთა ნამუშევრები, როგორც შუალედური მიზნების ანალიზი, გამოიყენოს მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო მიზნების რეალიზებისათვის.

გამოიკვეთა შემდეგი: **III კლასის მათემატიკის კურიკულუმი** ჩამოუყალიბებელია და არ მიემართება ესგ-ით განსაზღვრულ მიზნებს.

სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციაში წარმოადგინა III კლასის მათემატიკის განახლებული კურიკულუმი, რომელიც ჩამოყალიბებულია ესგ-ის საგნობრივი სტანდარტით განსაზღვრული მიზნების შესაბამისად. შესაბამისად, ინდიკატორი, რომელიც სკოლის არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო როგორც შეუსაბამო, შეფასდა როგორც შესაბამისი.

| | |
|---|---|
| | **რჩევა: ბუნებისმეტყველების III-IV კლასების კურიკულუმები** საჭიროებს სავალდებულო თემებისა და გრძელვადიანი მიზნების ურთიერთშესაბამისობაში მოყვანას, სტრუქტურული ერთეულების გამართვას.<br><br>**განახლდეს და დაიხვეწოს მე-4 კლასის კურიკულუმი სახელმწიფო ენაში** სტრუქტურული ერთეულების შესაბამისად.<br><br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.** |

3. კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას

| | |
|---|---|
| საბუნებისმეტყველო მეცნიერებები | საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კურიკულუმებში მითითებულია გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოები. ასევე წარმოდგენილია ციფრული რესურსები.<br><br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.** |
| საზოგადოებრივი მეცნიერებები | დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე, საგნობრივ კურიკულუმებში ასახულია როგორც ძირითადი რესურსი (გრიფირებული სახელმძღვანელო), ისე დამატებითი ელექტრონული რესურსები: სამეცნიერო ვიდეო-ფილმები, ფოტო მასალა. მათი გამოყენებით მოსწავლე ეცნობა სასწავლო საკითხს და შეუძლია მოამზადოს შემოქმედებითი პროდუქტი.<br><br>მასწავლებლებთან გასაუბრების, საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის ოქმისა და სკოლის თვითშეფასების კითხვარიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე იკვეთება, რომ სკოლაში ყურადღება ეთმობა რესურსების შერჩევას, მოძიებას და მათ მიზნობრივ გამოყენებას სასწავლო პროცესში. ასევე, მომავალი სასწავლო წლიდან იგეგმება რესურსების |

| | |
|---|---|
| | გამრავალფეროვნება.<br><br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.** |
| უცხოური ენები | სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმი უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო რესურსებით, რომლებიც პირდაპირ კავშირშია მისაღწევ შედეგებთან. კათედრის წევრებთან ინტერვიურების დროს გამოიკვეთა, რომ სკოლა არ იფარგლება მხოლოდ გრიფირებული სახელმძღვანელოებით; აქტიურად გამოიყენება სხვადასხვა ტიპის დამხმარე რესურსი (ვიზუალური მასალა, ტექნოლოგიური პლატფორმები, რეალური კონტექსტის მქონე ნივთები), რაც ხელს უწყობს მოსწავლის მიერ საკითხის სიღრმისეულ გააზრებას. რესურსების შერჩევისას დაცულია თანმიმდევრულობა – ისინი ეხმარებიან მოსწავლეს კომპლექსური შინაარსის დავალებების ეტაპების გადალახვასა და საბოლოო პროდუქტის შექმნაში, რაც საბოლოოდ უზრუნველყოფს კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.<br><br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.** |
| ესთეტიკური აღზრდა | სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების კურიკულუმებში წარმოდგენილია მრავალფეროვანი და მოსწავლეზე მორგებული სასწავლო შინაარსის - სასწავლო მასალა და ელ. რესურსები, ილურტრაციები, მასწავლებლის მიერ შექმნილი რესურსები სკოლის სამივე საფეხურზე უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.<br><br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.** |
| სახელმწიფო ენა | კურიკულუმში წარმოდგენილი რესურსები მოსწავლეთა ინტერესებსა და შესაძლებლობებს შეესაბამება. ძირითადი აქცენტი გაკეთებულია შერჩეულ გრიფირებულ სახელმძღვანელოზე. შერჩეული რესურსები სასწავლო პროცესში მოსწავლეთა მაქსიმალურ |

| | |
|---|---|
| | ჩართულობასა და ცოდნის კონსტრუირებას უწყობს ხელს.<br><br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.** |
| მათემატიკა | პედაგოგებთან გასაუბრებისას გაირკვა, რომ სასწავლო პროცესის სრულყოფილად წარმართვისათვის მათემატიკის კათედრა პირველ სხდომაზე არჩევს და შეთანხმებულად განსაზღვრავს გამოსაყენებელი რესურსების ჩამონათვალს- გრიფირებულ და სხვა დამხმარე სახელმძღვანელოებს.( თუმცა ყოველივე ეს მათემატიკის კათედრის სხდომის პირველი ოქმით არ დასტურდება). დაწყებითი კლასების კათედრის სხდომის პირველი ოქმიდან ირკვევა, რომ კათედრა ირჩევს გრიფირებულ სახელმძღვანელოებს. ვიზიტის პერიოდში სკოლამ წარმოადგინა დოკუმენტი, სადაც ყველა კლასისათვის მოცემულია გრიფირებული სახელმძღვანელოები ავტორებისა და გამომცემლობების მითითებით. სწავლა-სწავლებისათვის ასევე გამოყენებული აქვთ ელექტრონული რესურსებიც. ყოველივე ეს ასახულია კურიკულუმების შესაბამის ნაწილში. ზემოაღნიშნული საგანმანათლებლო რესურსები, უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას.<br><br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.** |
| სპორტი | კურიკულუმებში გაწერილი როგორც პრაქტიკული, ასევე თეორიული შინაარსის თემები და მოწყობილი სხვადასხვა სპორტული ღონისძიებები/ფესტივალები/პრეზენტაციები - (მძლეოსნობა, ფრენბურთი, ფრენბურთი, კალათბურთი, ლაშქრობა, ხელბურთი და პროექტული სწავლება, მოძრავი თამაშები სპორტის სათამაშო სახეობების ელემენტების გამოყენებით), რომელშიც ჩართულია ყველა მოსწავლე, რასაც ადასტურებენ მასწავლებლები ინტერვიუს მსვლელობის დროს - იძლევა სწავლების თავისუფალ არჩევანს, თითოეულ ბავშვს აქვს შემოქმედებით პროცესში აქტიური მონაწილეობის შესაძლებლობა საკუთარი შესაძლებლობების, ინტერესებისა და ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით. სასწავლო პროცესში აქტიურად არის გამოყენებული მოსწავლეთა განსხვავებული ხედვები, მათ მიერ პრობლემის იდენტიფიცირებისა და გადაჭრის |

| | |
|---|---|
| | ალტერნატიული გზების ძიება. სკოლაში სწავლა-სწავლების პროცესში აქცენტი კეთდება ისეთი რესურსების გამოყენებაზე, რომლებიც უზრუნველყოფენ მოსწავლეებში განსხვავებული უნარ-ჩვევების და ფიზიკური თვისებების გამოვლენას. მოსწავლეები ჩართული არიან ისეთ აქტივობებში, რომლებიც მათ შეძენილი ფიზიკური თვისებების; ორგანიზებულობის და თვითკონტროლის; ჯანსაღი ცხოვრების წესის პრაქტიკაში გამოყენების საშუალებას აძლევს. ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სკოლის პედაგოგების მიერ დაგეგმილი სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს ცოდნის სამივე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული) კატეგორიის წარმოდგენას. კურიკულუმები უზრუნველყოფს მოსწავლეების მიერ თეორიული ცოდნის გამოყენებას ფიზიკურ აქტივობებში და მათ გადატანას ახალი აქტივობების შესწავლის პროცესში. მასწავლებელი უზრუნველყოფს მოსწავლეები ცოდნის ორიენტირებას მარტივიდან რთულისაკენ. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.** |
| ტექნოლოგიები | დაწყებით საფეხურზე, საგან კომპიუტერულ ტექნოლოგიებში წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩოში (მე-2, მე-3, მე-4, მე-5, მე-6 კლასი) განთავსებულია მრავალფეროვანი რესურსი, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით განსაზღვრულ შედეგების მიღწევას.<br><br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.** |
| ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური | მასწავლებლებთან გასაუბრებისას ირკვევა, რომ სასწავლო წლის დასაწყისში კათედრებზე განიხილავენ რესურსების ვალიდაციას. მათ აქვთ წარმოდგენილი გრიფირებული სახელმძღვანელოების ჩამონათვალი, მაგრამ, არ წარმოუდგენიათ დამხმარე რესურსების ნუსხა, რომელთა გამოყენებაც დაგეგმილია კურიკულუმების შესაბამისად, თუმცა, ზოგიერთ საგანში, მაგ: ქართულ ენაში მე-3 კლასის კურიკულუმი მოითხოვს შევსებას და გამდიდრებას ელექტრონული რესურსებით, ხოლო მე-4 კლასის კურიკულუმში აუდიო-ვიდეო მასალა არ არის მოცემული შესაბამისი ფორმატით. რაც შეეხება საგან ,,მე და |

| | |
|---|---|
| | საზოგადოებას“, ის შეიცავს ყველა საჭირო რესურსს, რათა მოსწავლეებმა მიიღონ ამომწურავი ინფორმაცია საკითხების დასამუშავებლად. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.** |

## 4. სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს

| | |
|---|---|
| საბუნებისმეტყველო მეცნიერებები | საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კათედრამ წარმოადგინა ინდივიდუალური სასწავლო გეგმები. ასევე, კურიკულუმებში ჩანს მოსწავლის ინტერესებსა და შესაძლებლობებზე ორიენტირება.<br><br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.** |
| საზოგადოებრივი მეცნიერებები | მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ მათ აქვთ მზაობა და წინარე გამოცდილება დიფერენცირებულ სწავლებასა და ინკლუზიური განათლების პრინციპებთან მიმართებაში.<br><br>კურიკულუმში გათვალისწინებული შემოქმედებითი ტიპის დავალებების პირობა და ფორმა იძლევა მოდიფიცირების საშუალებას მოსწავლეების ინტერესებისა და საჭიროების შესაბამისად (ამბავის/მოთხრობის შექმნა ქვის ხანის ადამიანის ყოფა-ცხოვრების შესახებ; ისტორიული თხზულება/სტატია ბიზანტიასა და სასანიდური ირანის დაპირისპირების შესახებ; საინფორმაციო ბუკლეტი/კედლის გაზეთი მევენახეობა- მეღვინეობის ტრადიციების შესახებ კახეთში და სხვა), რაც დიფერენცირებული მიდგომის ელემენტებია.<br><br>სკოლას შემუშავებული აქვს შესამაბისი ინდივიდუალური სასწავლო გეგმები სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთათვის. |

| | |
|---|---|
| | **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.** |
| უცხოური ენები | წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ინტერვიუების საფუძველზე დასტურდება, რომ სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ეფუძნება დიფერენცირებულ მიდგომებს. კურიკულუმი იძლევა შესაძლებლობას, მასწავლებელმა მოახდინოს სასწავლო აქტივობებისა და რესურსების მოდიფიცირება მოსწავლეთა მზაობის, ინტერესებისა და სწავლის სტილის გათვალისწინებით.<br><br>სსსმ მოსწავლეებისათვის შემუშავებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმები თანხვედრაშია კურიკულუმის თემებთან, რაც უზრუნველყოფს მათ სრულფასოვან სოციალურ და აკადემიურ ინკლუზიას სასწავლო პროცესში.<br><br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.** |
| ესთეტიკური აღზრდა | სამივე საფეხურის კურიკულუმებში წარმოდგენილია მრავალფეროვანი, მოსწავლეზე ორიენტირებული დავალებები, რაც მათ საგაკვეთილო პროცესში მაქსიმალურ ჩართულობასა და ცოდნის ეტაპობრივად კონსტრუირებას უწყობს ხელს. წლის დასაწყისში, სამივე საფეხურზე პედაგოგებს მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით კურიკულუმში შეაქვთ ცვლილებები, მოსწავლეებს სთავაზობენ დიფერენცირებულ მიდგომებს. სსსმ მოსწავლეებისთვის, საჭიროებისამებრ, შემუშავებული აქვთ ინდივიდუალური გეგმები, რომელთა დახვეწას და სრულყოფას გეგმავენ კომპლექსური ტიპის დავალებების მოდიფიცირების საშუალებით.<br><br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.** |
| სახელმწიფო ენა | სკოლის მიერ მოწოდებული დოკუმენტაციიდან თვალნათლივ ჩანს, რომ მასწავლებლებს გააჩნიათ ინკლუზიური/დიფერენცირებული სწავლების გამოცდილება. გასაუბრებამაც ცხადყო,რომ მასწავლებლები,მოსწავლის საჭიროებიდან გამომდინარე,ახდენენ დავალების |

| | |
|---|---|
| | პირობისა და სასწავლო აქტივობის მოდიფიცირებას სწავლის სტილის გათვალისწინებით. წარმოდგენილია სსსმ მოსწავლის ინდგეგმები, მოკლევადიანი და გრძელვადიანი მიზნები, მოსწავლისათვის მომზადებული ადაპტირებული შემოქმედებითი ტიპის დავალებები. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა ასევე აღნიშნეს, რომ აკვირდებიან მოსწავლეთა პროგრესს.<br><br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.** |
| მათემატიკა | მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ სწავლა-სწავლების პროცესის დაგეგმვისას გათვალისწინებულია თითოეული მოსწავლის ინიდივიდუალური საჭიროებები, შესაძლებლობები და სწავლის პოტენციალი. თითოეული მოსწავლე განიხილება როგორც უნიკალური თავისი უნარ-ჩვევებით, გამოცდილებით, მიმდინარე ცოდნით, საჭიროებებით, სწავლის სტილით, მოტივაციითა და პირადი ინტერესებით. რაც შეეხება ინკლუზიურ მიდგომას, ინტერვიუზე აღინიშნა, რომ სკოლას დაწყებით და საბაზო საფეხურზე ჰყავთ სსსმ მოსწავლე და წარმოადგინა შესაბამისი დოკუმენტაცია. მე-2 კლასის ისგ, ასევე მე-5 და მე-6 კლასების ისგ (ალტერნატიული სასწავლო გეგმა) საჭიროებს გადახედვას და მოსწავლის აქტუალური დონის აღწერას და გრძელვადიანი მიზნების განსაზღვრას ახალ სამიზნე ცნებებთან მიმართებით. პედაგოგებს წარმოდგენილი აქვთ ზემოაღნიშნული აღწერილობა ე.წ ძველ სამიზნე ცნებებთან-რიცხვები და მოქმედებები, კანონზომიერება და ლოგიკა, გეომეტრია და სივრცის აღქმა, მიმართებით. ასევე, გრძელვადიანი სამიზნე ცნებების შესაბამისი აქტივობების მრავალფეროვნებას და მორგებას მოსწავლეთა საჭიროებებზე, მოსწაბლეთა პროგრესის შეფასებას.<br><br>რაც შეეხება მე-7 და მე-8 კლასების ისგ-ს, აქაც პედაგოგებს მოსწავლის აქტუალური დონის აღწერა და გრძელვადიანი მიზნების განსაზღვრული აქვთ ძველ სამიზნე ცნებებთან მიმართებით, მაგრამ განსხვავებით დაწყებითი საფეხურისა, დოკუმენტში არ არის გაწერილი არცერთი აქტივობა, მეთოდი, შემოქმედებითი დავალება, რომელიც უზრუნველყოფს გრძელვადიან მიზნამდე მისვლას. შესაბამისად, წარმოდგენილი |

| | |
|---|---|
| | დოკუმენტით არ არის უზრუნველყოფილი მოსწავლის ინკლუზიური მხარდაჭერა. თუმცა სკოლამ არგუმენტირებული პოზიციის შესაბამის მტკიცებულებებში წარმოდგინა მე-7 და მე-8 კლასის ისგ. დოკუმენტი სრულყოფილია, ვიდრე წინა ეტაპზე იყო. დოკუმენტში ასახულია მოსწავლის ცოდნის აქტუალური დონე, მოკლევადიანი და გრძელვადიანი მიზნები, აღნიშნული მიზნების შესაბამისი აქტივობები, შემოქმედებითი დავალების იდეა და შეფასება. შესაბამისად, ინდიკატორი, რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო როგორც შეუსაბამო, შეფასდა როგორც შესაბამისი.<br><br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.** |
| სპორტი | სკოლა უზრუნველყოფს ფიზიკურ აღზრდასა და სპორტში სასწავლო პროცესის დიფერენცირებულ და ინკლუზიურ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მიდგომებს, რასაც ადასტურებენ სკოლის პედაგოგები იტერვიუს მსვლელობის დროს. საჭიროების შემთხვევაში სკოლა გამოხატავს მზაობას სსსმ მოსწავლეებისათვის ფიზიკურ აღზრდასა და სპორტში ინდივიდუალური სასწავლო გეგმების დამუშავებასა და მოსწავლეების საჭიროებისადმი მორგებისათვის, რაც ჩაშენებულ იქნება კომპლექსურ დავალებებში, სკოლის საჭიროებების შესწავლის შედეგებიდან გამომდინარე, სკოლა მომავალში მეტად უზრუნველყოფს მოსწავლეების მაქსიმალურ ჩართვას სასწავლო პროცესში.<br><br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.** |
| ტექნოლოგიები | სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ პირთათვის ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა. პედაგოგებთან გასაუბრებით ვერ იქნა მოყვანილი კონკრეტულად სასწავლო პროცესში როგორ ხდება მოსწავლეთა ინდივიდალური საჭიროებების გათვალისწინება, დიფერენცირება საგაკვეთილო პროცესში, არ იქნა წარმოდგენილი შესაბამისი დოკუმენტაცია. |

| | |
|---|---|
| | **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.** |
| ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური | დაწყებით საფეხურზე კურიკულუმებში გაწერილი დავალებები იძლევა დიფერენცირებული/ინკლუზიური მიდგომების გამოყენების საფუძველს. სკოლას ჰყავს სსსმ მოსწავლე/მოსწავლეები დაწყებით საფეხურზე და მათთვის შედგენილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმები თითოეულ საგანში. გაწერილია ის მოკლე და გრძელვადიანი მიზნები, რომლის მიღწევასაც ითვალისწინებს აღნიშნული დოკუმენტი. მასწავლებლებთან ინტერვიურებისას იკვეთება, რომ სკოლაში ზოგიერთ პედაგოგს აქვს დიაგნოსტიკური შეფასების გამოცდილება.<br><br>ამდენად, სკოლას ეძლევა რჩევა, ეს პრაქტიკა განავრცოს დაწყებით საფეხურზე, კერძოდ, დაგეგმოს და განახორციელოს სადიაგნოსტიკო შეფასებები, რაც ხელს შეუწყობს საბაზისო უნარების (კითხვა და მათემატიკური წიგნიერება) ზუსტ და დროულ შეფასებას ინტერვენციების ასამოქმედებლად.<br><br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.** |

## 5. მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს

| | |
|---|---|
| საბუნებისმეტყველო მეცნიერებები | სამივე საფეხურზე საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კათედრის მიერ წარმოდგენილია მხოლოდ განმსაზღვრელი შეფასების ნიმუშები, სადაც არ ჩანს სამიზნე ცნებებთან მიმართება. განმავითარებელი შეფასების ნიმუშები არ არის მოწოდებული. სკოლის მიერ მოწოდებულ არგუმენტირებულ პოზიციაში საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კათედრის მიერ წარმოდგენილია, როგორც განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების ნიმუშები. შესაბამისად ინდიკატორი, რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე |

| | |
|---|---|
| | შეფასებული იყო როგორც შეუსაბამო, შეფასდა როგორც შესაბამისი. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან** |
| საზოგადოებრივი მეცნიერებები | სკოლაში გამოიყენება როგორც განმსაზღვრელი (10 ქულიანი), აგრეთვე განმავითარებელი შეფასება - შესაბამისი რუბრიკებით.<br><br>განმავითარებელი შეფასების რუბრიკები სამიზნე ცნებებზეა ორიენტირებული (მე-3 კლასში საკითხი: გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის როლი ჩვენს ქვეყანაში; მე-7 კლასში საკითხი: პალეოლითის ხანა, ნეოლითის ხანა). შეფასებები ემსახურება მოსწავლეთა მიღწევების აღიარებას და მათ განვითარებაზეა ორიენტირებული.<br><br>განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები არ შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. კერძოდ, წარმოდგენილი დოკუმენტაცია: 1. განმსაზღვრელი შეფასების სქემა (შეფასების კრიტერიუმებად გამოყენებულია რუკასთან მუშაობა, ჯგუფური მუშაობა, პრეზენტაციის უნარი) და 2. თვალსაჩინოებების (ბუკლეტის, მაკეტი/ნახატი, პლაკატის შექმნის) შეფასების რუბრიკა, საგნობრივი სტანდარტების შედეგებთან/გრძელვადიან მიზნებთან შესაბამისობაში არაა. მათი გამოყენება სასწავლო პროცესში, მოსწავლეთა შედეგების და ცოდნის გასაზომად საჭიროებს სიღრმისეულ ცვლილებას და ცნებებთან მორგებას.<br><br>საშუალო საფეხურზე შემაჯამებელ დავალებად წარმოდგენილია ტესტები, რომელიც მოიცავს სხვადასხვა ტიპის დავალებებს: ღია და დახურული კითხვები, შესაბამისობის დადგენა, გამოტოვებული სიტყვების ჩასმა, რუკის ანალიზი (გეოგრაფია მე-12 კლასი, ისტორია მე-11 კლასი). მიუხედავად დავალებების მრავალფეროვნებისა, არ არის ორიენტირებული მაღალის სააზროვნო უნარების გაგების შეფასებაზე.<br><br>მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად გაირკვა, რომ კათედრაზე მიმდინარე სასწავლო წელს აპირებენ დიაგნოსტიკური წერების ჩატარებას, წარმაოდგინეს დავალების შაბლონი - კითხვარი, რომელიც მოსწავლის მიერ შესრულებული დავალების ანალიზის საშუალებას |

| | |
|---|---|
| | იძლევა.<br><br>1. დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე, საზოგადოებრივ მეცნიერებებში შემავალ საგნებში (საგანში - ჩვენი საქართველო, მე-5 კლასის მეორე სემესტრიდან), თითოეული სასწავლო თემის ფარგლებში, შესასწავლ საკითხებთან მიმართებით შემუშავდეს განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, საგნობრივ სტანდარტში მოცემული თემის ფარგლებში შედეგების მიღწევების ინდიკატორების მიხედვით. ინდიკატორების შეფასების კრიტერიუმად გარდაქმნისთვის საჭიროა:<br><br>• მათი დაკონკრეტება საკითხებთან მიმართებით;<br><br>• თითოეული მათგანისთვის გარკვეული ქულობრივი წონის მინიჭება;<br><br>• შეფასების რუბრიკა მოიცავდეს ყველა სამიზნე ცნებას, ან ფოკუსირდეს მხოლოდ რამდენიმე მათგანზე.<br><br>2. ისტორია მე-11 კლასი - შემაჯამებელ დავალებას უნდა ახლდეს შეფასების რუბრიკა, რომლის კრიტერიუმებიც შემუშავებულია ისტორიის საშუალო საფეხურის სტანდარტში მოცემული თემის ფარგლებში შედეგების მიღწევის ინდიკატორები სამიზნე ცნებების მიხედვით; სხვადასხვა ტიპის დავალება/დავალებები, რომელიც უზრუნველყოფს საგნის გრძელვადიან მიზნებთან შესაბამისობას და რომელშიც მოსწავლე მსჯელობს, აანალიზებს, არგუმენტირებულად აყალიბებს საკუთარ მოსაზრებას.<br><br>3. გეოგრაფია მე-12 კლასი - შემაჯამებელ დავალებას უნდა ეწეროს სასწავლო თემა, საკითხი/საკითხები; ახლდეს შეფასების რუბრიკა, რომლის კრიტერიუმებიც შემუშავებულია გეოგრაფიის საშუალო საფეხურის სტანდარტში მოცემული თემის ფარგლებში შედეგების მიღწევის ინდიკატორები სამიზნე ცნებების მიხედვით; სხვადასხვა ტიპის დავალება/დავალებები, რომელიც უზრუნველყოფს საგნის გრძელვადიან მიზნებთან შესაბამისობას და რომელშიც მოსწავლე მსჯელობს, აანალიზებს, |

| | |
|---|---|
| | არგუმენტირებულად აყალიბებს საკუთარ მოსაზრებას.<br><br>არგუმენტირებულ პოზიციაში სკოლამ წარმოადგინა დოკუმენტაცია, რომელშიც განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები სამივე საფეხურზე შემუშავებულია თემის ფარგლებში შედეგების მიღწევების ინდიკატორების მიხედვით; შემაჯამებელი დავალებები (ტესტი), უზრუნველყოფს საგნის გრძელვადიან მიზნებთან შესაბამისობას და რომელშიც მოსწავლე მსჯელობს, აანალიზებს, არგუმენტირებულად აყალიბებს საკუთარ მოსაზრებას. შესაბამისად, ინდიკატორი, რომელიც სკოლის არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო როგორც შეუსაბამო, შეფასდა როგორც შესაბამისი.<br><br>**რჩევა:** მომავალი სასწავლო წლის კურიკულუმების შემუშავებისას, საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრამ, სამივე საფეხურზე სასურველია, განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებისა და შემაჯამებელი დავალებების მომზადებისას გაითვალისწინოს შემდეგი:<br><br>1. შეფასების რუბრიკებში კრიტერიუმები მხოლოდ იმ სამიზნე ცნების/ცნებების ინდიკატორებისგან შეიმუშაოს, რომელსაც მიემართება შესასწავლი საკითხი;<br><br>2. ყველა საგანში, თითოეული თემის ფარგლებში, შესასწავლ საკითხებთან მიმართებით შემუშავდეს შეფასების რუბრიკები;<br><br>3. შემაჯამებელი დავალებების მრავალფეროვნების უზრუნველსაყოფად, ტესტის გარდა, გამოყენებულ იქნას ესსე, სტატია, თხზულება და სხვა ალტერნატიული ფორმები.<br><br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.** |
| უცხოური ენები | სკოლის მიერ წარმოდგენილი მოსწავლის შეფასების სისტემა შესაბამისობაშია ეროვნული სასწავლო გეგმის პრინციპებთან. შეფასების პროცესი ორიენტირებულია არა მხოლოდ ფაქტობრივი ცოდნის შემოწმებაზე, არამედ მოსწავლის მიერ სამიზნე ცნებების გააზრების |

| | |
|---|---|
| | დონეების განსაზღვრაზე. სკოლაში დანერგილია განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტები. განსაკუთრებით აღსანიშნავია შეფასების ვალიდურობა კომპლექსური შინაარსის დავალებებთან მიმართებით – შეფასების კრიტერიუმები პირდაპირ გამომდინარეობს სასწავლო მიზნებიდან, რაც უზრუნველყოფს თითოეული მოსწავლის ინდივიდუალური წინსვლისა და განვითარების დინამიკის ასახვას.<br><br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.** |
| ესთეტიკური აღზრდა | სკოლის სამივე საფეხურზე შეფასების სისტემა მოსწავლეზეა ორიენტირებული. მოსწავლეებისათვის და მშობლებისათვის ცნობილია შეფასების რუბრიკები და კრიტერიუმები. მოსწავლეებმა ყოველთვის იციან, რა კრიტერიუმით ხდება მათი შეფასება. შეფასების რუბრიკებში დეტალურადაა გაწერილი შეფასების მიზნები და კრიტერიუმები. შეფასების რუბრიკების შექმნის პროცესი ჩართული არიან თავად მოსწავლეებიც, რაც უზრუნველყოფს შეფასების გამჭირვალობას და ობიექტურობას.<br><br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.** |
| სახელმწიფო ენა | კათედრის მიერ გადმოგზავნილი შეფასების ინსტრუმენტები ზოგადი ხასიათისაა, ემსახურება მხოლოდ ფუნქციური უნარების გაუმჯობესებას და არა საგნის სტანდარტით განსაზღვრულ მიღწევის ინდიკატორებს სამიზნე ცნებებთან მიმართებით. პედაგოგებთან გასაუბრებისას გაირკვა,რომ ისინი არ იყენებენ კონკრეტულ დავალებაზე მორგებულ განმავითარებელი შეფასების რუბრიკებს, მოსწავლეებს უკუკავშირს აწვდიან ძირითადად ვერბალურად (სიტყვიერი უკუკავშირი) ვიზიტის დროს კათედრამ გადმოაგზავნა სოლოტაქსონომიით მოსწავლის შეფასების რუბრიკა მეორე კლასში და პირველი კლასის კონკრეტულ დავალებაზე მორგებული განმავითარებელი შეფასების რუბრიკა. გადმოგზავნილი დოკუმენტაციისა და გასაუბრების შედეგად დადგინდა,რომ დაწყებითი საფეხურის V-VI კლასის შეფასების სისტემა არ შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით |

| | |
|---|---|
| | განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს.<br><br>ა) სამივე საფეხურის შეფასების რუბრიკები არ არის მორგებული კონკრეტულ დავალებებზე;<br><br>ბ) სამივე საფეხურის შეფასების ინსტრუმენტებში არ არის გათვალისწინებული სტანდარტით განსაზღვრული მიზნები, მისაღწევი შედეგები და კრიტერიუმთან მიმართებით დაკონკრეტებული მოლოდინები.<br><br>სკოლის მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის მიხედვით შეიძლება დავასკვნათ, რომ სახელმწიფო ენის კათედრამ გაითვალისწინა მითითებები, შეფასების რუბრიკებში გათვალისწინებულია სტანდარტით განსაზღვრული გრძელვადიანი მიზნები და მისაღწევი შედეგები. შესაბამისად, ინდიკატორი რომელიც სკოლის არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო როგორც შეუსაბამო, შეფასდა როგორც შესაბამისი.<br><br>**რჩევა-** ა) სასურველია, შეფასების რუბრიკები მორგებული იყოს კონკრეტულ დავალებებზე.<br><br>**ბ)**დაწყებითი საფეხურის (I-IV კლასის) შეფასების რუბრიკების შედგენისას იხელმძღვანელეთ 1-ელი კლასის შეფასების რუბრიკით,რომელიც მორგებულია კონკრეტულ დავალებას და დანართის სახით მოჰყვება 1-ელი კლასის კურიკულუმს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.** |
| მათემატიკა | კათედრა იყენებს სამკომპონენტიან შეფასებას. მოსწავლეთა შეფასებისას გამოიყენება როგორც განმსაზღვრელი, ისე განმავითარებელი შეფასება. განმავითარებელი შეფასებას პედაგოგების თქმით, ძირითადად აქვს ზეპირი ხასიათი. კათედრამ წარმოადგინა ორივე სახის შეფასების რუბრიკების ნიმუშები დაწყებითი და საბაზო საფეხურისათვის. საშინაო დავალების, საკლასო მუშაობის, პროექტის შეფასების, დისკუსიის შეფასების და შემაჯამებელი სამუშაოს განმავითარებელი შეფასების რუბრიკები არის ზოგადი და |

| | |
|---|---|
| | საჭიროებს მეტ კონკრეტიკასა და მორგებას კონკრეტულ თემებსა და სამიზნე ცნებებს.<br><br>რაც შეეხება მე-5 კლასის განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, ასევე, მე-9 კლასის შემაჯამებელი დავალების, მე-9 და მე-10 კლასის შემოქმედებითი დავალების შეფასების რუბრიკები არის კონკრეტული და ძირითადად პასუხობს შეფასების პრინციპებს.<br><br>კათედრას არ ჰქონდა წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები საშუალო საფეხურზე, ამიტომ რთული იყო იმის მტკიცება და ვერ დასტურდებოდა, თუ რამდენად შეესაბამებოდა მოსწავლის შეფასების სისტემა ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს.<br><br>სკოლამ არგუმენტირებული პოზიციის შესაბამის მტკიცებულებებში წარმოადგინა საშუალო საფეხურზე საკლასო მუშაობის, საშინაო დავალების, პრეზენტაციისა და შემოქმედებითი დავალების (მე-12 კლ) შეფასების ოთხდონიანი რუბრიკები. წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები არ შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს.<br><br>შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში დაწესებულებას გაწერილი აქვს, რომ მათემატიკის კათედრა უზრუნველყოფს საშუალო საფეხურზე სამიზნე ცნებებზე ორიენტირებული შეფასების რუბრიკების შექმნას და წარმოდგენას 2026 წლის სექტემბრის პერიოდში. შესაბამისად, ინდიკატორი რომელიც სკოლის არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო როგორც შეუსაბამო, შეფასდა როგორც მეტწილი.<br><br>**რჩევა:** სასურველია, შეიქმნას და გამრავალფეროვნდეს რუბრიკები ან შეფასების კრიტერიუმები თითოეული კომპლექსური დავალებისთვის, რომლებშიც ნათლად იქნება გაწერილი, რა დონეზეა მიღწეული სამიზნე ცნებები და ქვეცნებები. სასურველია, სკოლამ განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკის შედგენისას იხელმძღვანელოს სამივე საფეხურის სტანდარტში მითითებული ინდიკატორებით, შეარჩიოს სამიზნე |

| | |
|---|---|
| | ცნებისთვის ყველაზე ადეკვატური ერთი ან რამდენიმე ინდიკატორი და დააკონკრეტოს დავალების პირობის გათვალისწინებით.<br><br>**ინდიკატორი საშუალო საფეხურზე არის მეტწილ შესაბამისობაში სტანდარტთან.** |
| სპორტი | სკოლას აქვს წარმოდგენილი ფიზიკურ აღზრდასა და სპორტში განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, თუმცა არ არის სრულად შესაბამისი სტანდარტთან. შეფასების რუბრიკები უნდა ეყრდნობოდეს სტანდარტში წარმოდგენილი შედეგების მიღწევის ინდიკატორებს. განმსაზღვრელი შეფასება გაწერილი უნდა იყოს თემის მიხედვით და მიემართებოდეს სამიზნე ცნებებისაკენ. ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ ფიზიკურ აღზრდასა და სპორტში განმავითარებელი შეფასების რუბრიკა მიზანმიმართულად გამოიყენება, საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე განსაკუთრებით აქტიურად გამოიყენება საგაკვეთილო პროცესში სიტყვიერი კომენტარები, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლის განვითარებას. მასწავლებლის მიერ გამოყენებული სიტყვიერი კომენტარი გამომდინარეობს თემის ფარგლებში ტექნიკის შესრულების დროს სწორ და ზუსტ მითითებებში თუ როგორ უნდა შესრულდეს კონკრეტულ მომენტში შეთავაზებული ტექნიკა სწორად, რომელიც მოსწავლეთა ინდივიდუალურ შესაძლებლობებზეა მორგებული და ორიენტირებული.<br><br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.** |
| ტექნოლოგიები | სკოლას წარმოდგენილი აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დამტკიცებული მოსწავლეთა აკადემიური მიღწევის შეფასება, როგორც განმსაზღვრელი ასევე განმავითარებელი შეფასებისას. რასაც ადასტურებს წარმოდგენილი განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკებით, რომლებიც პასუხობს სამიზნე ცნებებს და შესაბამისად მიემართება გრძელვადიან შედეგებს. წარმოდგენილი დოკუმენტები ადასტურებს, რომ მასწავლებლებს აქვთ შეფასების რუბრიკების შექმნის გამოცდილება. ჩანს, რომ მასწავლებლებს ზოგადად აქვთ ხედვა როგორ მოხდეს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების წარმოება. |

| | |
|---|---|
| | რაც გვაძლევს იმის თქმის საშუალებას, რომ სკოლას აქვს ხედვა გამოიყენოს როგორც განმსაზღვრელი ასევე განმავითარებელი შეფასება სწავლის პროცესის გაუმჯობესებისთვის. ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.<br><br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.** |
| ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური | დაწყებით საფეხურზე პედაგოგებთან გასაუბრებისას ისინი აღნიშნავენ, რომ ძირითადად, მოსწავლეებს განმავითარებელი ზეპირი კომენტარით აფასებენ, ასევე იყენებენ განმავითარებელი შეფასების რუბრიკებს, თუმცა, მათ მიერ (I-IVკლ.) წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები არის ზოგადი და არ ასახავს თემის ფარგლებში შედეგების მიღწევის ინდიკატორებს სამიზნე ცნებების მიხედვით.  ასევე, ზოგჯერ მიმართავენ SOLO შეფასებას.<br><br>არის ცალკეული შემთხვევები ზოგიერთ საგანში, მაგ: ,,მე და საზოგადოებაში“, ასევე 1-ლი კლასის ქართულ ენაში ცნებაზე დაფუძნებული შეფასების რუბრიკების გამოყენების, რომელიც უნდა გაიხადონ სანიმუშო დოკუმენტად და სტანდარტის შედეგების აღსაწერად სწორედ მასზე დაფუძნებული შეფასების რუბრიკები დანერგონ.<br><br>I-IVკლ. შემოთავაზებული  შეფასების რუბრიკები ზოგადი ხასიათისაა და არ ასახავს თემასთან მიმართებით ცნების ფარგლებში მისაღწევ შედეგებს.<br><br>სკოლას ამ ნაწილში მიეცა რჩევა, რომ ესარგებლა ზოგიერთი საგნის კურიკულუმში (მაგ: ,,მე და საზოგადოებაში“, ასევე 1-ლი კლასის ,,ქართულ ენაში“ ) წარმოდგენილი შეფასების რუბრიკებით, რომლებიც ეფუძნებოდა თემისა და ცნების ფარგლებში შედეგების მიღწევის ინდიკატორებს. ის პასუხისმგებლობით მოეკიდა ამ საკითხს და არგუმენტირებული პოზიციის დროს წარმოადგინა ზოგიერთი საგნის კურიკულუმში ჩაშენებული, სტანდარტზე დაფუძნებული, კონკრეტული დავალების შესაბამისი შეფასების რუბრიკები, ამდენად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მათ შეუძლიათ  შეფასება მოარგონ ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. შესაბამისად, ინდიკატორი რომელიც სკოლის არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო როგორც |

| | |
|---|---|
| | შეუსაბამო, შეფასდა როგორც შესაბამისი.<br><br>**რჩევა:** სასურველია, სკოლამ ეს პრაქტიკა განავრცოს დაწყებითი საფეხურის (I-IV) ყველა საგანზე და შეფასების რუბრიკების შედგენისას ისინი დააფუძნოს ესგ-ს სტანდარტს - ცნების ფარგლებში შედეგების მიღწევის ინდიკატორებს კონკრეტულ თემასთან მიმართებით.<br><br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.** |

დასტურდება (მტკიცებულებები):
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

საგნობრივი კურიკულუმები;
სსსმ მოსწავლისათვის მომსახურეობის მიწოდების წესი;
კომპლექსური დავალება;
განმავითარებელი შეფასების ნიმუშები;
შემაჯამებელი დავალების ნიმუში, განმსაზღვრელი შეფასებით;
შემოქმედებითი დავალების ნიმუში;
ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმა;
სასკოლო სასწავლო გეგმა;
კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
განხორციელებული პროექტების ბმულები;
შეფასების ვერიფიკაციის წესი;
განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;
მოსწავლის ინდ.გეგმა;
ინტერვენციის გეგმა;
ადაპტირებული დავალებების ნიმუშები;
მოსწავლეთა ნამუშევრების ამსახველი ფოტოები და პრეზენტაციები;

სახელმძღვანელოების ნუსხა;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე(მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელიამხოლოდერთიშეფასებისმონიშვნა.*

| *დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* | *საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* | *საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* |
|---|---|---|
| ☒შეესაბამება<br>☐მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒შეესაბამება<br>☐მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☐ შეესაბამება<br>☒მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

## 2.2. კურიკულუმის განხორციელება
## 2.2.1. სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად**

| | |
|---|---|
| საბუნებისმეტყველო | საბუნებისმეტყველო მეცნიერებების სწავლების პროცესი დაგეგმილია კურიკულუმების |

| | |
|---|---|
| მეცნიერებები | შესაბამისად. პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გაირკვა, რომ წინა წლის კურიკულუმების განხორციელების ანალიზის და რეფლექსიის საფუძველზე იგეგმება განახლებული კურიკულუმები და შესაბამისად სასწავლო პროცესი. განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ თანამშრომლობით პროცესს და საგანთაშორისი კავშირების გამოვლენას, რაც ხელს უწყობს შესწავლილი საკითხების გამოყენების არეალის ზრდას.<br><br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.** |
| საზოგადოებრივი მეცნიერებები | სკოლის დოკუმენტაციის ანალიზისა და ჩატარებული ინტერვიუს საფუძველზე ცხადია, რომ სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად.<br><br>გასაუბრების დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ კურიკულუმის განხორციელების პროცესში გამოკვეთილი წინააღმდეგობებისა და მიღწევების შესაბამისად, კათედრაზე იგეგმება ცვლილებების შეტანა საგნობრივ კურიკულუმებში.<br><br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.** |
| უცხოური ენები | სკოლაში სასწავლო პროცესი მიმდინარეობს წინასწარ შემუშავებული და დამტკიცებული სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. შესწავლილი კურიკულუმები, მოსწავლეთა ნამუშევრები და პედაგოგებთან ინტერვიუ ადასტურებს, რომ მასწავლებლები მიყვებიან კურიკულუმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს.<br><br>საგაკვეთილო აქტივობები ლოგიკურადაა დაკავშირებული საკვანძო კითხვებთან და ორიენტირებულია კომპლექსური შინაარსის დავალებების შესრულებაზე. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ დაგეგმვა არ არის ფორმალური; სკოლა იყენებს კურიკულუმს, როგორც სამუშაო დოკუმენტს, რაც საშუალებას იძლევა, სასწავლო პროცესი იყოს თანმიმდევრული, პროგნოზირებადი და ორიენტირებული ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ შედეგებზე. |

| | |
|---|---|
| | **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.** |
| ესთეტიკური აღზრდა | სამივე საფეხურზე სასწავლო პროცესი იმგვარადაა დაგეგმილი, რომ იგი შეესაბამება სასკოლო კურიკულუმის მოთხოვნებს და მიზნებს. სწორი დაგეგმვიდან გამომდინარე სასწავლო პროცესი წარიმართება კურიკულუმის შესაბამისად, რაც უზრუნველყოფს სწავლების პროცესის შედეგიანად წარმართვას.<br><br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.** |
| სახელმწიფო ენა | დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე სასწავლო პროცესი დაგეგმილია და ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. მასწავლებლები საუბრისას აღნიშნავდნენ, რომ სასწავლო პროცესის დაგეგმვისას ითვალისწინებენ სწავლა-სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს. კურიკულუმში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების მიხედვით მოსწავლეებს ეძლევათ შესაძლებლობა აქტიურად იყვნენ ჩართული საკუთარი ცოდნის კონსტრუირებაში ფიქრის, მსჯელობის, პრობლემის გადაჭრის, კრიტიკული აზროვნების, შემოქმედებითი უნარის, მიზნის მისაღწევი ქმედებების დაგეგმვის და განხორციელების გზით. კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას მოსწავლეები ქმნიან შემოქმედებით პროდუქტს და მიღებულ ცოდნას უკავშირებენ რეალურ ცხოვრებისეულ კონტექსტებს. განხორციელებული აქვთ სასწავლო შემოქმედებითი პროექტი ნიკოლოზ ბარათაშვილზე და წიგნიერების მნიშვნელობაზე,პროექტი-,,ადამიანი და გარემო“, ,,ქართული ხელნაწერების კვალდაკვალ“.პროექტების შესახებ მასწავლებლებმა ისაუბრეს ინტერვიუს დროს და წარმოადგინეს მტკიცებულება (ელექტრონული პრეზენტაცია, პოსტერი).<br><br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.** |
| მათემატიკა | კათედრის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმიდან ჩანს, რომ სასწავლო პროცესი იძლევა |

| | |
|---|---|
| | მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას. სასკოლო კურიკულუმის რეალიზება და განხორციელება ხდება საკლასო გარემოში, საგაკვეთილო პროცესში, სადაც საკვანძოდ მნიშვნელოვანია ისეთი აქტივობების განხორციელება, სადაც მოსწავლე არის აქტიური, შემოქმედი და კრიტიკულად მოაზროვნე, რაც ძირითადად მიიღწევა შემოქმედებითი ტიპის დავალებებით.<br><br>**რჩევა**: მოსწავლეთა აქტიურ სასწავლო-შემოქმედებით პროცესებში ჩართულობისათვის, ასევე მოსწავლეებში შინაგანი მოტივაციის გაზრდისათვის, სასურველია კათედრამ განახორციელოს სხვადასხვა პროექტი.<br><br>საშუალო საფეხურის კურიკულუმები იძლევა (ძირითადად მე-12 კლასის) მოსწავლის შემოქმედებით პროცესებში ჩართვის საშუალებას, მაგრამ კათედრას არ წარმოუდგენია არანაირი დოკუმენტი (მოსწავლის ნამუშევარი შემოქმედებითი და შემაჯამებელი დავალებები, პროექტის ან სხვა, შეფასების რუბრიკები), საიდანაც გამოიკვეთებოდა, თუ რამდენადაა დაგეგმილი და მიმდინარეობს სასწავლო პროცესი კურიკულუმის შესაბამისად. სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციაში წარმოადგინა მოსწავლის შემოქმედებით პროცესში ჩართვის ამსახველი დოკუმენტაცია, შესაბამისად ინდიკატორი რომელიც სკოლის არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო როგორც შეუსაბამო, შეფასდა როგორც შესაბამისი. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.** |
| სპორტი | საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას; მასწავლებლის მიერ შეთავაზებული მრავალფეროვანი თეორიული და პრაქტიკული აქტივობები და რესურსი უზრუნველყოფს შემოქმედებითი უნარების განვითარებას. კურიკულუმებში გაწერილი თემები და მასზე დართული ჰიპერლინკები, - რომლებიც ასახავენ სხვადასხვა სპორტის სახეობის ისტორიებს, ზოგადგანმავითარებელ ვარჯიშებს, მოთელვით ვარჯიშებს და ცხოვრების ჯანსაღ წესს, აგრეთვე მასწავლებლის მიერ დაგეგმილი თეორიული სწავლების დროს მოსწავლეების მიერ შესაქმნელი პროექტები: ჯანსაღი ცხოვრების წესის და ლაშქრობის თემატიკიდან გამომდინარე, - ხელს |

| | |
|---|---|
| | შეუწყობენ მოსწავლეთა ფიზიკურ, გონებრივ, ფსიქო-ემოციურ განვითარებას და კეთილდღეობას. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით; სასწავლო პროცესი ისე არის დაგეგმილი, რომ მოსწავლეები ეცნობიან საგნობრივ საკითხებს/თემებს, პირობას, პრაქტიკულად ანხორციელებენ შეთავაზებულ კომპლექსურ დავალებებში მოცემულ ტექნიკის შესწავლას და შემდეგ წინარე ცოდნაზე დაშენებით ხდება ახალი ცოდნის კონსტრუირება. აღნიშნული პროცესი მოსწავლეს დაეხმარება ახალი აქტივობების გააზრებასა და უკეთ ათვისებაში. საბოლოოდ, მოსწავლის მიერ იქმნება კონკრეტული შემოქმედებითი პროდუქტი: შიდა სასკოლო/საკლასო ფესტივალი და შიდა სასკოლო/საკლასო პრეზენტაცია, რომელიც ფასდება შესაბამისი კრიტერიუმებით.<br><br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.** |
| ტექნოლოგიები | სკოლაში სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. სასწავლო პროცესი ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ სწავლა-სწავლების პრინციპებს ეფუძნება, რასაც ადასტურებს კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია და მასწავლებლებთან გასაუბრება.<br><br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.** |
| ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური | წარმოდგენილ შემოქმედებით პროდუქტებზე დაკვირვებით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ კურიკულუმი ხორციელდება დაგეგმილის შესაბამისად. ისინი მოსწავლეებს სთავაზობენ სხვადასხვა ტიპის შემოქმედებით დავალებებს, რომლებიც მიმართულია მოსწავლეთა უნარების განვითარებისაკენ და უბიძგებს მათ კრიტიკული აზროვნების განვითარებისა და შემოქმედებით საქმიანობაში ჩართვისაკენ. გასაუბრებისას პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ სწავლებისას პრიორიტეტულ მნიშვნელობას ანიჭებენ მოსწავლის ინტერესებს, საჭიროებებსა და შესაძლებლობებს. დავალებებს არჩევენ ისე, რომ მისი შესრულება საინტერესო და ამავდროულად დაძლევადი იყოს მოსწავლეებისათვის. ახორციელებენ |

| | |
|---|---|
| | სხვადასხვა პროექტებსა და სადამრიგებლო პროგრამით გათვალისწინებულ ღონისძიებებს, რაც ამაღლებს მოსწავლეთა მოტივაციას და ხელს უწყობს შემეცნებითი პროცესების გააქტიურებას. ამასვე მოწმობს მათ მიერ შემოქმედებითი დავალებისა თუ პროექტის ფარგლებში შექმნილი და გადმოგზავნილი პროდუქტების ფოტო-ვიდეო მასალა. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.** |

2. **სკოლა მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე**

სკოლა მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე. სკოლას აქვს პრაქტიკა სასწავლო პროცესის უწყვეტობის შენარჩუნების მიზნით როგორ უნდა მართოს ადამიანური და მატერიალური რესურსი შემხვედრ საჭიროებებთან მიმართებაში. მაგ: გეგმავს თუ რომელიმე მასწავლებელი არ იქნება სკოლაში, საგაკვეთილო პროცესის უწყვეტობისთვის, ვინ შეიძლება ანაცვლებდეს მას.

**ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

3. **შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი**

| | |
|---|---|
| საბუნებისმეტყველო მეცნიერებები | სამივე საფეხურზე შეფასების სისტემის ვალიდურობის, სანდოობის და ობიექტურობის შესახებ მსჯელობა ვერ ხერხდება სათანადო მტკიცებულებების არარსებობის გამო. სკოლის მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციაში საბუნებისმეტყველო მენიერებათა კათედრის მიერ მოწოდებულია განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების ნიმუშები, რომლებიც ატარებს გამჭვირვალე, ობიქტურ და სამართლიან ხასიათს. შესაბამისად, ინდიკატორი, რომელიც სკოლის არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო როგორც შეუსაბამო, შეფასდა როგორც შესაბამისი. **რჩევა** - შეფასების სისტემის ესგ სტანდართან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, ვალიდურობის და სანდოობის გაზრდის მიზნით შეფასების რუბრიკები გაიწეროს სამიზნე |

| | |
|---|---|
| | ცნებებთან მიმართებაში. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.** |
| საზოგადოებრივი მეცნიერებები | წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და მასწავლებელთან ჩატარებული გასაუბრების საფუძველზე დადგინდა, რომ სამივე საფეხურზე შეფასების სისტემაში შეფასების პრინციპები არ არის სათანადოდ ინტეგრირებული სასწავლო პროცესში და პრაქტიკაში ვერ ასრულებს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს. შედეგად, შეფასების სისტემა ვერ უზრუნველყოფს შეფასების ვალიდურობას, მიზნობრიობასა და კომპეტენციებზე ორიენტირებულობას, რაც მიუთითებს მათ არარელევანტურობაზე სწავლა-სწავლების რეალურ პროცესთან მიმართებით.<br><br>1. სამივე საფეხურზე განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკების შემუშავებისას, კრიტერიუმები მიზნობრივად არ არის გაწერილი საგნობრივი სტანდარტის შედეგებთან შესაბამისობაში;<br><br>2. სამივე საფეხურზე შერჩეული შემაჯამებელი დავალებები არ არის ორიენტირებული მოსწავლის ანალიტიკური აზროვნების განვითარებაზე.<br><br>არგუმენტირებულ პოზიციაში სკოლამ წარმოადგინა დოკუმენტაცია, რომელშიც წარმოდგენილია შემაჯამებელი დავალებების ნიმუშები და შეფასების რუბრიკები. წარმოდგენილი შეფასების სისტემა შესაბამისობაშია საგნობრივ მოთხოვნებთან და ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებთან. შესაბამისად, ინდიკატორი, რომელიც სკოლის არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო როგორც შეუსაბამო, შეფასდა როგორც შესაბამისი.<br><br>შემდგომი განვითარების მიზნით მიზანშეწონილია:<br><br>1. მოსწავლის განვითარებაზე ორიენტირებული შეფასების უზრუნველსაყოფად |

| | |
|---|---|
| | შემაჯამებელი სამუშაოსთვის შერჩეული იყოს მრავალფეროვანი დავალებები, მათ შორის შემოქმედებითი ტიპის, მაგ. ესე, სტატია და სხვა.<br><br>2. ყველა შემაჯამებელი დავალებებისთვის შემუშავდეს შეფასების რუბრიკები, რომელშიც აისახება თემა, საკითხი, დავალების პირობა, საგნობრივი სტანდარტებით თემის ფარგლებში განსაზღვრული მოსწავლის მიღწევების ინდიკატატორებთან ქულობრივი შესაბამისობა.<br><br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.** |
| უცხოური ენები | სკოლაში მოქმედი შეფასების სისტემა აკმაყოფილებს ვალიდურობისა და ობიექტურობის კრიტერიუმებს. შესწავლილი დოკუმენტაცია აჩვენებს, რომ შეფასების კრიტერიუმები პირდაპირ გამომდინარეობს ეროვნული სასწავლო გეგმის სამიზნე ცნებებიდან და მკვიდრი წარმოდგენებიდან, რაც უზრუნველყოფს სისტემის ვალიდურობას.<br><br>პროცესი არის გამჭვირვალე, რადგან მოსწავლეებს აცნობენ შეფასების რუბრიკებს, სადაც დეტალურადაა აღწერილი მოლოდინები. სამართლიანობა დაცულია დიფერენცირებული შეფასების მიდგომებით — სსსმ და განსხვავებული საჭიროებების მქონე მოსწავლეებისთვის გამოიყენება მათი ინდივიდუალური შესაძლებლობების შესაბამისი ინსტრუმენტები. სკოლაში დანერგილი განმავითარებელი შეფასების პრაქტიკა.<br><br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.** |
| ესთეტიკური აღზრდა | სამივე საფეხურზე სკოლაში დანერგილი შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, ობიექტური და სამართლიანი. ამას ადასტურებს ის, რომ ესთეტიკის კათედრის მასწავლებლებს აქვთ გააზრებული, რომ რამდენად მნიშვნელოვანია მოსწავლეებმა და მშობლებმა წინასწარ იცოდნენ შეფასების კრიტერიუმები, რათა სწორად დაგეგმონ საკუთარი სწავლების გზა. შეფასების რუბრიკების და კრიტერიუმების შექმნის პროცესში |

| | |
|---|---|
| | ჩართული არიან თავად მოსწავლეები, რას სისტემას ეფექტურს და სანდოს ხდის.კათედრაზე ეფექტურად იყენებენ როგორც განმსაზღვრელ, ასევე განმავითარებელ კომენტარებს.<br><br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.** |
| სახელმწიფო ენა | შემუშავებული შეფასების ინსტრუმენტები ვერ უზრუნველყოფს ვალიდურ,გამჭვირვალე, სანდო, ობიექტურ და სამართლიან შეფასებას,რადგან არ შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნებს და ვერ ზომავს საგნის სტანდარტის შედეგებს,არ არის წინასწარ შემუშავებული და მორგებული კონკრეტული დავალების შეფასების კრიტერიუმებს.<br><br>სამივე საფეხურის შეფასების რუბრიკები არ შეესაბამება კურიკულუმით გათვალისწინებული შუალედური შეფასების მიზნებს. გასათვალისწინებელია: ყველა შემოქმედებითი ტიპის დავალებას თან დაურთოთ დავალების კრიტერიუმებიდან გამომდინარე შეფასების რუბრიკა.<br><br>სკოლის მიერ გადმოგზავნილი არგუმენტირებული პოზიციის მიხედვით გათვალისწინებულია შეფასების სისტემასთან დაკავშირებული მითითებები. გადმოგზავნილი შეფასების რუბრიკები შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნებს. შესაბამისად, ინდიკატორი, რომელიც სკოლის არუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო როგორც შეუსაბამო, შეფასდა როგორც შესაბამისი.<br><br>**რჩევა:** შუალედური შეფასების მიზნების გამოსაკვეთად,გთხოვთ,ყველა შემოქმედებითი ტიპის დავალებას თან დაურთოთ დავალების კრიტერიუმებიდან გამომდინარე შეფასების რუბრიკა.<br><br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.** |

| | |
|---|---|
| მათემატიკა | ინტერვიუზე პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ შეფასების რუბრიკებს ქმნიან საგნობრივ სტანდარტის ინდიკატორებზე, სამიზნე ცნებებსა და მისაღწევ შედეგებზე დაყრდნობით, ასევე, შეფასების სისტემაზე მუშაობისას გათვალისწინებულია სხვადასხვა საგნის პედაგოგთა გამოცდილებები. მოსწავლეები წინასწარ არიან ინფორმირებული რა კრიტერიუმებით ფასდებიან, მათ გააზრებული აქვთ რა კრიტერიუმები უნდა დააკმაყოფილოს მათმა ნაშრომმა.<br><br>სკოლას წარმოდგენილი აქვს დაწყებით და საბაზო საფეხურზე შეფასების რუბრიკები, საიდანაც ჩანს, რომ შეფასების სისტემა ამ საფეხურებზე არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი. საშუალო საფეხურზე სკოლას არ აქვს წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები.<br><br>სკოლამ არგუმენტირებული პოზიციის შესაბამის მტკიცებულებებში წარმოადგინა საშუალო საფეხურზე საკლასო მუშაობის, საშინაო დავალების, პრეზენტაციისა და შემოქმედებითი დავალების (მე-12 კლ) შეფასების ოთხდონიანი რუბრიკები. წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები ვერ უზრუნველყოფს ვალიდურ, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტურ და სამართლიან შეფასებას.<br><br>შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში დაწესებულებას გაწერილი აქვს, რომ მათემატიკის კათედრა უზრუნველყოფს საშუალო საფეხურზე სამიზნე ცნებებზე ორიენტირებული შეფასების რუბრიკების შექმნას და წარმოდგენას 2026 წლის სექტემბრის პერიოდში. შესაბამისად, ინდიკატორი, რომელიც სკოლის არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო როგორც შეუსაბამო საშუალო საფეხურზე, შეფასდა როგორც მეტწილი.<br><br>**ინდიკატორი საშუალო საფეხურზე არის მეტწილ შესაბამისობაში სტანდარტთან.** |
| სპორტი | მასწავლებლები გაკვეთილის წარმართვის დროს აქტიურად იყენებენ განმავითარებელი შეფასებას-სიტყვიერ კომენტარს, კომპლექსური დავალების შეჯამების დროს, უზიარებენ |

| | |
|---|---|
| | ერთმანეთს გამოცდილებას. ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებელთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ ფიზიკური აღზრდასა და სპორტში მასწავლებლები იყენებენ განმავითარებელ შეფასების რუბრიკას, რომლებიც სრულად აკმაყოფილებს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწიებულ საგნის შეფასების სისტემის ვალიდურობას, რომელიც არის გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი.<br><br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.** |
| ტექნოლოგიები | სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ნაჩვენებია შეფასების რუბრიკების და მექანიზმების განხორციელება სკოლაში და წარმოდგენილია უკვე არსებული შეფასების რუბრიკების ნიმუშები. აღწერის მიხედვით შეფასება უნდა იყოს ვალიდური, გამჭვირვალე, ობიექტური, სამართლიანი. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტს.<br><br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.** |
| ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური | დაწყებით საფეხურზე I-IV კლასებში საგნობრივ დისციპლინებში გამოყენებული შეფასების რუბრიკები არის ზოგადი, აღწერს პროცესს და არა შედეგს, არ არის ვალიდური, სანდო, ობიექტური და სამართლიანი, რადგან ისინი არ გამომდინარეობს ესგ-ს შედეგებიდან. კრიტერიუმის დასაკმაყოფილებლად საჭიროა ისინი მოერგოს სტანდარტს - თემის ფარგლებში შედეგების მიღწევის ინდიკატორებს სამიზნე ცნებების მიხედვით და ისე დაინერგოს პრაქტიკაში.<br><br>დაწყებით საფეხურზე შეფასების რუბრიკები არ ეფუძნება ესგ-ს სტანდარტს. ისინი არ გამომდინარეობს ცნების ფარგლებში შედეგების მიღწევის ინდიკატორებიდან კონკრეტულ თემასთან მიმართებით.<br><br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.** |

4. **სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი**

სკოლას შემუშავებული აქვს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი. ვერიფიკაცია სასწავლო პროცესის მნიშვნელოვანი ნაწილია, რომელიც უნდა ასრულებდეს მოსწავლის მხარდაჭერის ფუნქციას და სწავლა-სწავლების პროცესის საყრდენს წარმოადგენდეს. სკოლაში დირექტორის ბრძანებით შექმნილია მოსწავლეთა შეფასების ვერიფიკაციის ჯგუფი, რომელიც მუშაობს ვერიფიკაციის პროცესის შესაბამისად. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

5. **სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით**

სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას კანონმდებლობით დადგენილი წესით, არანაკლებ სამი წლის ვადით. სკოლაში შექმნილია არქივი, სადაც შენახულია დოკუმენტაცია მატერიალური სახით. კათედრებზე შენახულია მოსწავლეთა ნამუშევრები(შემაჯამებლები, შემოქმედებითი ტიპის დავალებები, კომპლექსური დავალებები), ასევე, მათი შეფასების რუბრიკები. სკოლაში ფუნქციონირებს ელექტრონულ ჟურნალი და ელექტრონული სისტემა უზრუნველყოფს შეფასების აღრიცხვასა და შენახვას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
საგნობრივი კურიკულუმები;
განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;
შემაჯამებელი დავალების ნიმუში, განმსაზღვრელი შეფასებით;
სასკოლო სასწავლო გეგმა;
შეფასების ვერიფიკაციის წესი;
კათედრის სხდომის ოქმები;

### 2.2.2. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია შესაბამისი რესურსით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში**

| | |
|---|---|
| საბუნებისმეტყველო მეცნიერებები | სასწავლო პროცესში გამოიყენება ძირითადი რესურსი გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოების სახით. ასევე დამატებითი რესურსები უმეტესად ციფრული და მედია მასალების სახით.<br><br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.** |
| საზოგადოებრივი მეცნიერებები | კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.<br><br>სასკოლო სასწავლო გეგმაში არსებული ჩანაწერის, ავტორიზაციის ჯგუფის წარმომადგენელთა ადგილზე ვიზიტისა და მასწავლებელთა ინტერვიუს დროს მიღებული ინფორმაციის საფუძველზე იკვეთება, რომ სკოლას საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის გააჩნია შესაბამისი მატერიალური რესურსი და საჭირო ინფრასტრუქტურა (საჭირო რაოდენობის მერხები, სკამები, დაფები, კომპიუტერული ტექნიკა, სხვა რესურსები, წვდომა ინტერნეტთან).<br><br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.** |

| | |
|---|---|
| უცხოური ენები | დოკუმენტაციის შესწავლის საფუძველზე და ინტერვიურების დროს დასტურდება, რომ კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე რესურსები აქტიურად და მიზნობრივად გამოიყენება. მასწავლებლები ეფექტურად ახდენენ გრიფირებული სახელმძღვანელოების კომბინირებას დამხმარე ციფრულ და ვიზუალურ მასალებთან, რაც სწავლის პროცესს უფრო დინამიკურსა და საინტერესოს ხდის. სკოლის მატერიალური ბაზა (ბიბლიოთეკა, კომპიუტერული ლაბორატორია, საგნობრივი კაბინეტები) არის ჩართული კურიკულუმის იმპლემენტაციის პროცესში, რაც უზრუნველყოფს სწავლის შედეგების ეფექტურ მიღწევას.<br><br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.** |
| ესთეტიკური აღზრდა | სამივე საფეხურზე კათედრაზე ეფექტურად იყენებენ კურიკულუმით განსაზღვრულ მრავალფეროვან და მოსწავლეზე ორიენტირებულ ძირითადი და დამხმარე სასწავლო შინაარსის - სასწავლო რესურსს (ელ. რესურსები, ბმულები, ილუსტრაციები, მასწავლებლის მიერ შექმნილი რესურსები). გარდა სამინისტროს მიერ მოწოდებული ციფრული რესურსებისა, მასაწავლებლები თავადაც ქმნიან სხვადასხვა სახის რესურსებს და აქტიურად იყენებენ მიზნის მისღწევად.<br><br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.** |
| სახელმწიფო ენა | დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე სასკოლო კურიკულუმებში წარმოდგენილია ძირითადი და დამხმარე რესურსები საკითხების შესაბამისად, რიგ შემთხვევაში დაკონკრეტებულია სახელმძღვანელოების ავტორები, გვერდები და ელექტრონული რესურსების ბმულები. რესურსის შერჩევა ხდება კათედრის სხდომასა და პედაგოგიურ საბჭოზე განხილვის გზით.<br><br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.** |

| | |
|---|---|
| მათემატიკა | მასწავლებლებთან გასაუბრებაზე გამოიკვეთა და საგნობრივ კურიკულუმებშიც თვალნათლივ ჩანს, რომ სწავლა-სწავლების პროცესში აქტიურად იყენებენ, როგორც ძირითად (სახელმძღვანელო), ასევე დამხმარე სასწავლო რესურსებს. აღნიშნული უზრუნველყოფს პროგრამასთან შესაბამისობას, ზრდის სწავლების ხარისხს, მოსწავლეებისათვის უფრო გასაგები და ხელმისაწვდომი ხდება სასწავლო მასალა, აძლიერებს მათ მოტივაციასა და ინტერესს.<br><br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.** |
| სპორტი | ვინაიდან სკოლას აქვს კომპლექსური დავალებებით მუშაობის გამოცდილება რასაც ადასტურებენ სკოლის მასწავლებლები ინტერვიუს მსვლელობის დროს, სასწავლო პროცესის დაგეგმვისას, გათვალისწინებულია კურიკულუმში თანდართული ჰიპერლინკებისა და გრიფირებული სახელმძღვანელოს გამოყენება. მასწავლებლები ქმნიან ერთგვარ ბანკს და უზიარებენ ერთმანეთს ციფრულ რესურსებს, წინა სასწავლო წლის გამოცდილების საფუძველზე შეიმუშავეს კურიკულუმები და ნერგავენ კომპლექსურ დავალებებს, რომლებიც მორგებულია სკოლის მატერიალურ ბაზაზე და ინვენტარზე.<br><br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.** |
| ტექნოლოგიები | დაწყებით საფეხურზე, საგან კომპიუტერულ ტექნოლოგიებში წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩოში (მე-2, მე-3, მე-4, მე-5, მე-6 კლასი) განთავსებულია მრავალფეროვანი სასწავლო რესურსი, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით განსაზღვრულ შედეგების მიღწევას.<br><br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.** |
| ზოგადი განათლების | კურიკულუმით განსაზღვრულია სხვადასხვა სახის რესურსების გამოყენება სასწავლო |

| | |
|---|---|
| დაწყებითი საფეხური | როცესში, მითითებულია ძირითადი თუ დამხმარე სახელმძღვანელოები ავტორებითა და გვერდებით, ასევე ჩანს რიგ შემთხვევებში გამოსაყენებელი ელ. ბმულები, თუმცა, სასურველია გაამდიდრონ კურიკულუმები მრავალფეროვანი და საინტერესო რესურსებით. მოსწავლეებს ჰქონდეთ წვდომა სხვადასხვა საგანმანათლებლო პლატფორმებზე განთავსებულ რესურსებზე.<br><br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.** |

2. **სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას**

| | |
|---|---|
| საბუნებისმეტყველო მეცნიერებები | დამხმარე სასწავლო რესურსები შეირჩევა სასწავლო მიზნებიდან გამომდინარე, კურიკულუმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისად.<br><br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.** |
| საზოგადოებრივი მეცნიერებები | კათედრის მიერ წარმოდგენილი N1 ოქმისა და კათედრის სამოქმედო გეგმის თანახმად, სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას: სასწავლო წლის დაწყებამდე კათედრის წევრებს შორის კოორდინირებული თანამშრომლობის ფარგლებში განიხილება იმ დამატებით რესურთა სწავლების ეფექტიანობა-შესაბამისობის შეფასება, რომელთა გაწერაც იგეგმება საგნობრივ კურიკულუმში.<br><br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.** |
| უცხოური ენები | შესწავლილი კათედრის ოქმები და კათედრის წევრებთან ინტერვიუები ადასტურებს, რომ რესურსების შერჩევისას ხდება მათი შეფასება რამდენიმე კრიტერიუმით: თავსებადობა ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნებთან, ასაკობრივი შესაბამისობა და ინკლუზიურობა. |

| | |
|---|---|
| | აღნიშნული პროცესი უზრუნველყოფს, რომ სასწავლო პროცესში ვალიდური და მოსწავლის განვითარებაზე ორიენტირებული დამხმარე მასალები იქნას გამოყენებული.<br><br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.** |
| ესთეტიკური აღზრდა | სამივე საფეხურზე სკოლის მიერ უზრუნველყოფილია არსებული და შექმნილი დამხმარე რესურსების ვალიდაცია. ისინი სრულ შესაბამისობაშია სასწავლო მიზნებთან და კურიკულუმით განსაზღვრულ მისაღწევ შედეგებთან. რესურსი შერჩეულია მიზნობრივად თემატური ერთეულების მიხედვით. პედაგოგების მაღალი კომპეტენცია და სტრატეგიების ფლობის დონე, უზრუნველყოფს დამხმარე რესურსების ვალიდაციას.<br><br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.** |
| სახელმწიფო ენა | სკოლის მიერ კურიკულუმებში გაწერილი რესურსები შერჩეულია კათედრის წევრების მიერ და მისი მიზნობრივი გამოყენება განხილულია კათედრის სხდომაზე. (დაწყებითი საფეხურის კათედრის სხდომის ოქმი N2) ინტერვიუში მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ რესურსებს შერჩევას გააგრძელებენ სხვადასხვა საგანმანათლებლო პორტალიდან, არხებიდან, ყოველივე ეს ცხადყოფს რესურსების ვალიდაციას.ინდიკატორი შესაბამისობაშია.<br><br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.** |
| მათემატიკა | ინტერვიუზე აღინიშნა, რომ სასწავლო პროცესში გამოსაყენებელი დამხმარე სასწავლო რესურსების ვალიდაციას ახდენენ მათემატიკის კათედრის წევრები კათედრის პირველ სხდომაზე, თუმცა სხდომის ოქმით ზემოაღნიშნული არ დასტურდება. (მათემატიკის კათედრის პირველი სხდომის დღის წესრიგში ეს საკითხი არ არის განხილული.) ვიზიტის პერიოდში სკოლამ წარმოადგინა დოკუმენტი, სადაც ყველა კლასისათვის მოცემულია გრიფირებული სახელმძღვანელოები ავტორებისა და გამომცემლობების მითითებით. |

| | |
|---|---|
| | ყველა რესურსი, რომელიც გამოყენებულა კონკრეტული აქტივობის განსახორციელებლად, სრულად შეესაბამება ესგ-ით და საგნის სტანდარტით განსაზღვრული მიზნების მიღწევას. რაც შეეხება დაწყებითი კლასების კურიკულუმებში ასახულ რესურსებს- ძირითადი რესურსები, სახელმძღვანელოები, რომლებიც კურიკულუმშია მითითებული გრიფირებულია და შერჩეულია კათედრის პირველ სხდომაზე პედაგოგების მიერ, რაც დასტურდება დაწყებითი კლასების კათედრის სხდომის პირველი ოქმით.<br><br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.** |
| სპორტი | სკოლაში შექმნილია მოსწავლეთა საჭიროებებზე მორგებული სასწავლო გარემო, ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ კურიკულუმებში ჩაშენებული ჰიპერლინკები არის სასწავლო თემის შესაბამისი და ვალიდური.<br><br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.** |
| ტექნოლოგიები | დაწყებით საფეხურზე, საგან კომპიუტერულ ტექნოლოგიებში წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩოში (მე-2, მე-3, მე-4, მე-5, მე-6 კლასი) წარმოდგენილი სასწავლო რესურსი ვალიდურია, რადგან შეესაბამება სასწავლო მიზნებს, საგნობრივ სტანდარტებს და მოსწავლეთა საჭიროებებს. რომელიც განხილულია და დამტკიცებულია საგნობრივი კათედრის მიერ.<br><br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.** |
| ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური | მასწავლებლებთან გასაუბრებისას დადასტურდა, რომ სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე რესურსების ვალიდაციას. კათედრებზე განიხილება ეს საკითხი და მიიღება შეჯერებული გადაწყვეტილება პედ. საბჭოს სხდომაზე. ამას მოწმობს შესაბამისი ოქმის ჩანაწერებიც (დაწყებითი საფეხურის კათედრის სხდომის ოქმი N1) |

| | |
|---|---|
| | **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.** |

3. **კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**

მცირეკონტინგენტიანი სკოლა უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა.

ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/ მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

| | |
|---|---|
| საბუნებისმეტყველო მეცნიერებები | სკოლას პრაქტიკულად არ აქვს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ლაბორატორია, რომელიც აღჭურვილია საგნობრივი მიმართულებების მიხედვით, აქვთ მწირი რაოდენობით ქიმიური რეაქტივები. თუმცა სწავლის შედეგების მიღწევას პედაგოგები ანაცვლებენ სხვადასხვა ციფრული რესურსის გამოყენებით.<br><br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.** |
| საზოგადოებრივი მეცნიერებები | კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.<br><br>სასკოლო სასწავლო გეგმაში არსებული ჩანაწერის, ავტორიზაციის ჯგუფის წარმომადგენელთა ადგილზე ვიზიტისა და მასწავლებელთა ინტერვიუს დროს მიღებული ინფორმაციის საფუძველზე იკვეთება, რომ სკოლას საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის გააჩნია შესაბამისი მატერიალური რესურსი და საჭირო ინფრასტრუქტურა (საჭირო რაოდენობის მერხები, სკამები, დაფები, კომპიუტერული ტექნიკა, პროექტორები, წიგნადი ფონდი, სხვა რესურსები, წვდომა ინტერნეტთან).<br><br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.** |

| | |
|---|---|
| უცხოური ენები | სკოლის ინფრასტრუქტურისა და მატერიალური რესურსების შესწავლის საფუძველზე დგინდება, რომ ისინი სრულ შესაბამისობაშია სასკოლო კურიკულუმის მოთხოვნებთან და მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობასთან. საკლასო ოთახების აღჭურვილობა და სივრცული მოწყობა იძლევა კურიკულუმით გათვალისწინებული ინტერაქციული სწავლების მეთოდების (ჯგუფური მუშაობა, როლური თამაშები, პრეზენტაციები) შეუფერხებლად განხორციელების შესაძლებლობას.<br><br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.** |
| ესთეტიკური აღზრდა | სამივე საფეხურზე სწავლის შედეგების მიღწევას უზრუნველყოფენ სკოლაში და კათედრაზე არსებული შესაბამისი მატერიალური რესურსები: გრიფირებული სახელმძღვანელოები, დამხმარე ციფრული რესურსები, ილუსტრაციები და სხვა. სკოლაში არსებული ტექნიკური აღჭურვილობა თავის მხრივ საშუალებას აძლევს პედაგოგებს აქტიურად და ეფექტურად მიმართონ მრავალფეროვანი სასწავლო რესურსების გამოყენება.<br><br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.** |
| სახელმწიფო ენა | მასწავლებლებთან საუბრისას გამოიკვეთა, რომ სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსებით. მოსწავლეებს შეუძლიათ საკუთარი ინტერესების შესაბამისად გამოიყენონ რესურსები.<br><br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.** |
| მათემატიკა | სკოლა უზრუნველყოფს მატერიალური რესურსით კურიკულუმით განსაზღვრული შედეგების მიღწევას, მოსწავლეთა რაოდენობის გათვალისწინებით.<br><br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.** |

| | |
|---|---|
| სპორტი | სკოლაში მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობა განსაზღვრულია ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, ინვენტარი და დამხმარე მასალები შეესაბამება მოსწავლეთა რაოდენობას, რაც საბოლოო ჯამში უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის გეგმაზომიერად განხორციელებას.<br><br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.** |
| ტექნოლოგიები | სკოლაში არსებული კომპიუტერული ლაბორატორია განახლებულია, სკოლას მიღებული აქვს ახალი კომპიუტერები და სხვა ტექნიკა. კომპიუტერულ ლაბორატორიაში განთავსებული კომპიუტერების რაოდენობა შეესაბამება კლასში მოსწავლეთა რაოდენობას. კომპიუტერების რაოდენობა საკმარისია იმისთვის, რომ საგაკვეთილო პროცესი მიმდინარეობდეს სრულფასოვნად.<br><br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.** |
| ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური | სკოლას აქვს საჭირო მატერიალური რესურსი სასწავლო პროცესის ფუნქციონირებისათვის. მასწავლებლებს აქვთ პირადი ლეპტოპები, რაც მათ საშუალებას აძლევს კლასში, პროექტორის დახმარებით, უზრუნველყონ სხვადასხვა დამხმარე მასალის გამოყენება საკითხების ძირეული შესწავლისა და მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლების მიზნით.<br><br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.** |

4. **სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი**

სკოლას საბაზო და საშუალო საფეხურზე ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი: პედაგოგები, სპეც.მასწავლებელი, რომელთაც შესაბამისი კვალიფიკაცია გააჩნიათ. თუმცა, სკოლას ჰყავს 3 მასწავლებელი, რომლებიც დაწყებით საფეხურზე ასწავლიან ქართულს, მათემატიკას,

ბუნებისმეტყველებას, მუსიკას და ხელოვნებას, რომელთა კვალიფიკაცია არ შეესაბამება საკანონმდებლო მოთხოვნებს. შესაბამისად, ადამიანური რესურსი სრულად არ არის შესაბამისობაში კანონმდებლობასთან. სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციაში წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, სადაც აღნიშნა, რომ უზრუნველყოფს კანონმდებლობის შესაბამისად, კონკურსის წესით სათანადო კვალიფიკაციის პედაგოგების შერჩევას 2026 წლის სექტემბრისთვის. შესაბამისად, ინდიკატორი, რომელიც სკოლის არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო როგორც შეუსაბამო, შეფასდა როგორც მეტწილი. **ინდიკატორი დაწყებით საფეხურზე მეტწილ შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

სკოლის ციფრული განვითარების გეგმა;
კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობის განრიგი;
სასკოლო სასწავლო გეგმა
მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი;
საგნობრივი კურიკულუმები;
განხორციელებული პროექტების ბმულები;
კათედრის სამუშაოგეგმა;
განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები დაწყებითი საფეხურისათვის.

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელიამხოლოდერთიშეფასებისმონიშვნა.*

| *დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* | *საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* | *საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* |
|---|---|---|
| ☐შეესაბამება<br><br>☒მეტწილად შეესაბამება<br><br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br><br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br><br>☐მეტწილად შეესაბამება<br><br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br><br>☐ არ შეესაბამება | ☐შეესაბამება<br><br>☒ მეტწილად შეესაბამება<br><br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br><br>☐ არ შეესაბამება |

**2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება**
**2.3.1. მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა დაანალიზი:

1. **მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად**

სკოლას შემუშავებული აქვს კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია, რომელშიც გაწერილია კურიკულუმის მონიტორინგის მექანიზმები. სწორედ ამის მიხედვით ხორციელდება კურიკულუმის მონიტორინგი. სკოლა აცნობიერებს რამდენად მნიშვნელოვანია კურიკულუმის განხორციელების დროს მონიტორინგი, რათა დროულად მოხდეს პრობლემების იდენტიფიცირება და პრობლემის გადაჭრის გზების ძიება. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

2. **მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას**

სკოლის პედაგოგებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ, ისინი აცნობიერებენ კურიკულუმის მონიტორინგის მნიშვნელობას. ისინი ფიქრობენ, რომ ეს ყველაფერი ემსახურება ერთ მიზანს- ეს არის მხარდაჭერა იმ გამოწვევების და პრობლემების მოსაგვარებლად, რასაც აწყდებიან კურიკულუმის დანერგვის პროცესში. სკოლაში დანერგილია და წარმატებით

მუშაობს ,,კრიტიკული მეგობრის'' ინსტიტუტი, რაც ხელს უწყობს პრობლემის იდენტიფიცირებას და ეფექტური უკუკავშირის საშუალებით პრობლემების მოგვარებას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

3. **მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას**

სკოლის დირექციასთან და პედაგოგებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ სკოლას გათავისებული აქვსკურიკულუმის მონიტორინგის მნიშვნელობა. ისინი აღნიშნავდენ, რომ მონიტორინგი და შეფასება ეფექტურია მაშინ, თუ ის მიზნობრივადაა განხორციელებული და ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას. სკოლაში შექმნილია ხარისხის განვითარების ჯგუფი, რომელიც გარკვეული პერიოდულობით ესწრება მასწავლებლებს გაკვეთილებზე და აძლევს შესაბამის განმავითარებელ უკუკავშირს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
სასკოლო სასწავლო გეგმა;
საგნობრივი კურიკულუმები.

**2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს**

სასწავლო პროცესის შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს, ეს იქნება მასწავლებლის,კლასის ხელმძღვანელის მიერ განხორციელებული დაკვირვებები, ჩანაწერები, გამოკითხვები. პედაგოგებმა გასაუბრების დროს აღნიშნეს, რომ მოსწავლეების შეფასების დროს ითვალისწინებენ არა მხოლოდ მოსწავლეთა აკადემიურ მიღწევებს, არამედ მის შესახებ მოპოვებულ სხვა ინფორმაციასაც, მაგალითად: ეს შეიძლება იყოს ოჯახური თუ სოციალური პირობები, მოსწავლის შესაძლებლობები და

საჭიროებების შესახებ მოპოვებული ინფორმაცია. მასწავლებლებსკათედრებზე შემუშავებული აქვთ შეფასების სხვადასხვა ფორმა: განმსაზღვრელი, განმავითარებელი, ურთიერთშეფასების რუბრიკები, შემაჯამებელი დავალების შეფასების რუბრიკებიდა ა.შ. მასწავლებლები ცდილობენ რომ ხელი შეუწყონ მოსწავლის ინდივიდუალურ წინსვლასა და განვითარებას.

**ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

2. **შეფასება ხორციელდება მრავალიკონტექსტის გათვალისწინებით**

გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები აცნობიერებენ მრავალი კონტექსტის გათვალისწინებას შეფასების პროცესში. ისინი ახდენენ მოსწავლეებზე დაკვირვებას არა მხოლოდ ფორმალურ გარემოში, არამედ, არაფორმალურ გარემოში და მიღებული ინფორმაციის გამოყენება გათვალისწინებულია შეფასების პროცესში.

**ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

3. **შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები**

შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები, ეს მნიშვნელოვანია, რადგან მიღებული ინფორმაციის/მონაცემების გამოყენება მოხდეს შეფასების დროს. ინტერვიუს დროს პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ გეგმავენ მომავალი სასწავლო წლისთვის კიდევ უფრო დახვეწონ მონაცემთა შეგროვების მეთოდები. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

4. **შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით**

გასაუბრებისას პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ მნიშვნელოვანია შეფასების დროს სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინება მოხდეს და ცდილობენ გაითვალისწინონ ყველა ის გარემოება, რამაც შეიძლება გავლენა მოახდინოს მოსწავლეთა შედეგებზე.

**ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

საგნობრივი კურიკულუმები;

შეფასების რუბრიკები;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელიამხოლოდერთიშეფასებისმონიშვნა.*

| *დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* | *საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* | *საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* |
|---|---|---|
| ☒ შეესაბამება<br>☐მეტწილად შეესაბამება<br>☐ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐არ შეესაბამება |

**2.4. კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია**
**2.4.1. წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი**

სასწავლო წლის მანძილზე მუდმივად მიმდინარეობს პროცესებზე დაკვირვება, თუ როგორ მიმდინარეობს კურიკულუმის დანერგვის პროცესი. პედაგოგები ერთმანეთს უზიარებენ საკუთარ გამოცდილებას და აძლევენ რეკომენდაციებს პრაქტიკის გაუმჯობესების მიზნით. ეს ყველაფერი გათვალისწინებულია და იქმნება სარეკომენდაციო საჭიეროებათა პაკეტი.

**ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

**2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს**

სასწავლო წლის ბოლოს სკოლა აკეთებს წლის განმავლობაში განხორციელებული კურიკულუმის მონიტორინგისა და შეფასების შედეგების ანალიზს, იკვლევს რა ფაქტორებმა შეაფერხა კურიკულუმის განხორციელების პროცესი, რა განხორციელდა წარმატებით. პედაგოგები საკუთარ მიგნებებს უზიარებენ ერთმანეთს. შესაბამისად, კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია სრულად ეყრდნობა წინა წლის გამოცდილებას და მასში გათვალისწინებულია კურიკულუმის მონიტორინგისა და შეფასების შედეგები.

**ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

სასკოლო სასწავლო გეგმა;

საგნობრივი კურიკულუმები;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელიამხოლოდერთიშეფასებისმონიშვნა.*

| *დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* | *საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* | *საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* |
|---|---|---|
| ☒ შეესაბამება<br><br>☐მეტწილად შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br><br>☐მეტწილად შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br><br>☐მეტწილად შეესაბამება |

| | | |
|---|---|---|
| ☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br><br>☐არ შეესაბამება | ☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br><br>☐არშეესაბამება | ☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br><br>☐არ შეესაბამება |

# ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;
2. დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები;
3. საბაზო საფეხურის კურიკულუმები;
4. საშუალო საფეხურის კურიკულუმები;
5. კათედრის ოქმები;
6. სასკოლო სასწავლო გეგმა;
7. სსსმ მოსწავლისთვის მომსახურების გაწევის წესი;
8. კათედრის სხდომის ოქმი;
9. პედ. საბჭოს სხდომის ოქმი;
10. ისგ სსსმ მოსწავლეებისათვის;
11. მატერიალური რესურსების გამოყენების წესი;
12. სკოლის ციფრული განვითარების გეგმა;

თარიღი: 08/04/2026 წ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

Rusudan Niparishvili 24001015864

Digitally signed by Rusudan Niparishvili
Date: 2026.03.19 07:52:28